ცნობილია, რომ, გარდა ენობრივი კომპეტენციისა, მასწავლებელი უნდა ცდილობდეს, განავითაროს უცხოური ენის შემსწავლელთა საკომუნიკაციო კომპეტენცია, რომელიც მოიცავს სოციალურ ცოდნას იმის შესახებ, თუ რომელი გამონათქვამის ხმარება მართებული ამა თუ იმ სიტუაციაში (ჰაიმსი). ამდენად, მოხსენების მეორე ნაწილში განხილულია თავაზიანობისა და სამტყველო ეტიკეტის ნორმების სწავლებასთან დაკავშირებული საკითხები, რადგან ზოგიერთი გამონათქვამი, რომელიც სრულიად მისაღებია ქართულ ყოფაში, უცხოელებთან ურთიერთობისას შეიძლება იქცეს „სახის შემლახველ აქტად“ (ბრაუნნი და ლევისონი), ამდენად, მრავალწლიან კვლევაზე დაყრდნობით (რომელიც მოიცავს მონოგრაფიას) და საენათმეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნებულ არაერთ ნაშრომს), მოხსენებაში მოცემულია რჩევები, თუ როგორ უნდა ვასწავლოთ სტუდენტებს თავაზიანობის ნორმები, მიმართვის ფორმები, არაპირდაპირი სამეტყველო აქტების სწორად აღქმა, ფატიკური კომუნიკაციის წარმართვა და უცხოურ კულტურასთან დაკავშირებული სხვა ენობრივი ფაქტორები.

ინგლისური ენის ქართველ შემსწავლელთა მიერ ხშირად დაშვებული შეცდომების ანალიზმა ცხადყო, რომ აუცილებელია ქართველ ავტორთა მიერ შემუშავებული სახელმძღვანელოების გამოცემა და გამოყენება. ასეთი სახელმძღვანელოები უნდა მოიცავდეს სპეციალურ ახსნა-განმარტებებს და სავარჯიშოებს, სადაც ყურადღება გამახვილდება იმ სტრუქტურულ და პრაგმატულ ასპექტებზე, რომლებიც უკავშირდება ინგლისური ენის ქართველ შემსწავლელთა ტიპურ შეცდომებს.

ვფიქრობ, მოცემული კვლევის შედეგები საინტერესო იქნება ინგლისური ენის ქართველი მასწავლებლებისთვის, რომელთა მიზანია, დაეხმარონ სტუდენტებს აუცილებელი ენობრივი და საკომუნიკაციო უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაში.

*იამზე ვაშაკიძე (შსს აკადემიის სამართლის სკოლა, საქართველო)*

**საქართველოს მოქალაქე უმცირესობებისათვის (სომხები, აზერბაიჯანელები) ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის, სწავლების ზოგიერთი საკითხისათვის**

თანამედროვე ეტაპზე – დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს შემდგომი განვითარების პროცესში – განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საქართველოს მოქალაქე უმცირესობებისათვის ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის სწავლებას, რათა მათ, ენობრივი ბარიერის გადალახვის შემთხვევაში, შეძლონ ქართულ საზოგადოებასთან ინტეგრირება, სახელმწიფო სამსახურში დასაქმება და სხვ. ამ კუთხით მნიშვნელოვანია ქართულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების ფუნქციონირება სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში.

მოხსენება მიზნად ისახავს გარკვეული პედაგოგიური დაკვირვების წარმოჩენას, რომელიც შემუშავებულია არაქართულ სკოლადამთავრებული სომეხი და აზერბაიჯანელი სტუდენტებისათვის ქართული ენის სწავლების პროცესში უშუალო მონაწილეობის საფუძველზე.

მონაცემების მოპოვების პროცესი სამ ეტაპად შეიძლება დავყოთ; ესენია: წინასწარი დაკვირვება, მონაცემთა შეკრება და დაკვირვება. კვლევა ორიენტირებულია სწავლების პროცესში მოპოვებული მაგალითების საშუალებით კონკრეტული ლინგვისტური იდეების შემოწმებაზე (ფონეტიკის, ზმნური აფიქსების და სხვ. შესახებ) მათი საბოლოო განზოგადების მიზნით.

1. საქართველოს მოქალაქე სომეხ და აზერბაიჯანელ სტუდენტებს უჭირთ ქართული ბგერებისა და ბგერათკომპლექსების წარმოთქმა; ამ მხრივ, უფრო დიდი სირთულის წინაშე დგანან აზერბაიჯანელი სტუდენტები: მათთვის (განსხვავებით სომხებისგან) ძნელია ქართული მკვეთრი თანხმოვნების აღქმაც და მოსმენაც. შესაბამისად, ჩვენი პრაქტიკიდან გამომდინარე, საუკეთესო საშუალებად მიგვაჩნია

ქართული ტოპონიმებისა და ანთროპონიმების მდიდარი მასალის გამოყენება ფონეტიკური სავარჯიშოების ასაგებად. ამ გზით უფრო ბუნებრივად არის შესაძლებელი ქართული წარმოთქმისათვის „ყურის შეჩვევა“, მისი გათავისება.

2. ქართული ზმნის სწავლების რთულ პროცესს გაცილებით ამარტივებს ზმნური ფორმების ორ დიდ ჯგუფად დაყოფა: ე.წ. ვ-იანი და მ-იანი ზმნები, ანუ ვინის რიგით და მანის რიგით გამოხატული სუბიექტების მქონე ზმნები), რომელთაც ერთმანეთისგან მკვეთრად გამოხატული კონსტრუქცია აქვთ... მ-იანი ზმნების კონსტრუქცია უცვლელია, განურჩევლად დროისა: **S** – მიცემითში, **O** – სახელობითში; რაც შეეხება ვ-იან ზმნებს, მათი კონსტრუქცია ასევე უცვლელია, მხოლოდ პირველი სერიის ფარგლებში: **S** – სახელობითში, **O** – მიცემითში. შესაბამისად, სწავლების **A-1** დონეზე მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ძირითადი ყურადღება დაეთმოს პირველი სერიის ფორმების, კერძოდ: აწმყოს, უწყვეტლისა და მყოფადის ფორმების შესწავლას, რათა შემსწავლელი არ „დაფრთხეს“ – გაურკვევლობაში არ აღმოჩნდეს (გამონაკლისი: იცის მან ის). საკუთრივ, წყვეტილის ფორმას რაც შეეხება, მისი სწავლება სასურველია მყოფადის შემდეგ, აღნიშნული **A-1** დონის ბოლო გაკვეთილიდან.

3. მიზანშეწონილად მიგვაჩნია თავიდანვე ჩვენებით ნაცვალსახელთა სამწევროვანი სისტემის სწავლება, ნაცვლად ორწევროვანისა; ასევე, თავიდანვე უნდა იქნეს გათვალისწინებული მესამე პირის ნაცვალსახელთა ფორმებიც, კერძოდ: არამარტო ის – ისინი, არამედ, ასევე, მან / მას – მათ, რაც დაეხმარება ენის შემსწავლელებს ე.წ. ვ-იანი და მ-იანი ზმნების განსხვავებული კონსტრუქციების შეგნებულად შესწავლა-გააზრებაში.

*დალი ზაუტაშვილი (აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო)*

### **ინტერნეტრესურსების გამოყენება უცხო ენების სწავლებაში**

თანამედროვე საზოგადოების განვითარების პროცესის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს განათლების ინფორმატიზაცია - ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიების დანერგვა განათლების სისტემაში. დღესდღეობით სპეციალისტის ყოველდღიურ



საქმიანობაში ინფორმაციული ტექნოლოგიების სულ უფრო მზარდი როლი განაპირობებს მათ ინტენსიურ დანერგვას უცხო ენების სწავლებაში. ამ მხრივ განსაკუთრებით აქტუალურ საკითხს წარმოადგენს ინტერნეტ რესურსების გამოყენება უცხო ენების სწავლებაში.

ინტერნეტ რესურსების გამოყენება განპირობებულია უცხო ენების სწავლების შემდეგი მნიშვნელოვანი თავისებურებებით: ღიაობა და ხელმისაწვდომობა, ინფორმაციულობა, აქტუალურობა, ავთენტურობა და ინტერაქტიულობა.

ინტერნეტის ქსელის ინფორმაციული რესურსები შეიცავენ სხვადასხვა ენაზე განსასხვავებელი თემატიკის დიდი რაოდენობის ტექსტურ, აუდიო და ვიზუალურ მასალებს. ინტერნეტი საშუალებას აძლევს მასწავლებელს მეცადინეობებზე გამოიყენოს ავთენტური აუდიო, ვიდეო და ტექსტური მასალები, გააცნოს სტუდენტებს შესასწავლ ენაზე მხატვრული ნაწარმოებები, პუბლიკაციები და ა.შ.

გამოყოფენ ინტერნეტ რესურსების ხუთ სახეობას, რომლებსაც სტუდენტები იყენებენ ინდივიდუალური დავალებების შესასრულებლად. ინტერნეტში სტუდენტმა შესაძლებელია შეასრულოს დავალებები ვებ-ქვესტის შემუშავებაზე:

1. Hotlist - შესასწავლ თემაზე ტექსტური მასალის მქონე ვებ-საიტების ჩამონათვალი;

2. Multimedia Scrapbook მულტიმედიური რესურსების კოლექცია, სადაც ტექსტური ვებ-საიტების გარდა არსებობს ფოტოები, აუდიოფაილები, გრაფიკული ინფორმაცია და ვიდეოკლიპები.

ყველა ეს ფაილი შესაძლებელია სტუდენტმა იოლად გადმოიწეროს ინტერნეტიდან და შემდგომში წარმატებით გამოიყენოს გარკვეული თემის შესწავლისას, როგორც საინფორმაციო ან საილუსტრაციო მასალა.

3. Treasure Hunt - შესასწავლ თემაზე ტექსტური მასალის მქონე ვებ-საიტების ბმულების გარდა შეიცავს კითხვებს ყოველი საიტის კონტენტზე.

4. Subject Sampler - შეიცავს ბმულებს ინტერნეტის ქსელის ტექსტურ და მულტიმედიურ მასალებზე. ამავდროულად, სტუდენტი არა მარტო უნდა გაეცნოს მასალას, არამედ უნდა გამოთქვას არგუმენტირებული აზრი შესასწავლ სადისკუსიო საკითხზე.

5. Webquest - ყველაზე რთული სასწავლო ინტერნეტ რესურსის სახეობა. ის წარმოადგენს საპროექტო საქმიანობის ორგანიზაციის სცენარს ნებისმიერ თემაზე ინტერნეტ რესურსების გამოყენებით. სასწავლო პროცესში ინტერნეტ რესურსების გამოყენებით შესაძლებელია

ეფექტურად გადაიჭრას მთელი რიგი დიდაქტიკური ამოცანები: 1. კითხვის უნარ-ჩვევების ფორმირება ინტერნეტში სხვადასხვა სირთულის მასალების გამოყენებით; 2. აუდიოების ჩვევების სრულყოფა ავთენტური ხმოვანი ტექსტების გამოყენებით; 3. წერითი მეტყველების სრულყოფა 4. უცხო ენის ლექსიკური მარაგის შევსება; 5. შესასწავლი ენის ქვეყნის კულტურის, ტრადიციებისა და სამეტყველო ეტიკეტის თავისებურებების გაცნობა 6. სტუდენტის მოტივაციის ამაღლება უცხო ენის სწავლებაში.

უცხო ენების სწავლების პროცესში ინტერნეტ რესურსების გამოყენების ძირითად პრობლემას წარმოადგენს უმაღლესი სასწავლებლების მასწავლებლების ინფორმაციული ტექნოლოგიების ფლობის არასაკმარისი დონე. ასევე აუცილებელია, რომ სტუდენტებიც ფლობდნენ ინფორმაციული რესურსების გამოყენების შესაბამის უნარ-ჩვევებს. მათი ინტერნეტში მუშაობის უნარ-ჩვევები კი მეტწილად შემოიფარგლება კომპიუტერული თამაშების, კლიპებისა და ვიდეორგოლების დათვალიერებით და სოციალურ ქსელებში ურთიერთობით. ხოლო უცხო ენების შესწავლა ინტერნეტის საშუალებით მოითხოვს კოგნიტური ჩვევების შექმნას საჭირო ინფორმაციის მოძიებისათვის.

ამგვარად, ინტერნეტ რესურსების გამოყენება წარმოადგენს ინსტრუმენტს, რომელიც ხელს უწყობს უცხო ენების სწავლების ეფექტურობის ამაღლებას; უზრუნველყოფს სტუდენტის ინდივიდუალური სწავლების უნიკალურ შესაძლებლობებს; შემეცნებითი ინტერესის მაღალი დონის სტიმულირებას, კულტურათმშორისი კომუნიკაციის უნარ-ჩვევების განვითარებას და კრიტიკული აზროვნების უნარების ჩამოყალიბებას.

*რუსუდან ზეკლაშვილი (ოსუ, საქართველო)*

### **ქართული ზმნის სწავლების ზოგიერთი ასპექტი უცხოელებისათვის (ელექტრონული ლექსიკონის დახმარებით)**

ქართული ზმნის სწავლების საკითხები უცხოელებისთვის აქტუალურია, რადგან უღლების ნიუანსებში გარკვევა და ზმნების მართებული გამოყენება მათთვის საკმაოდ ძნელია. ეს კი აუცილებელია ლინგვისტური კომპეტენციის ჩამოსაყალიბებლად, ამიტომ

გასაადვილებლად საჭიროა მოქნილი მეთოდური ხერხების შემუშავება და დამხმარე საშუალებების შექმნა.

ნაშრომის სიახლეა ქართული ენის სწავლებაში ინტეგრირება შერეული ტიპის სასწავლო ლექსიკონისა, რომელიც შეიცავს ზმნურ პარადიგმებსა და მოდელოვანი წინადადებებს. ნაჩვენებია ზმნის სალექსიკონო სტატის აგებულება ლექსიკონში და მისი პრაქტიკული ჩართვა სწავლების პროცესში უცხოელებისათვის.

კვლევის დროს გამოყენებულია დესკრიფციული და დისტრიბუციული ანალიზის მეთოდები, ლექსიკონი შედგენილია სიხშირული მონაცემების გათვალისწინებით, სემური ანალიზის, სემანტიზაციისა და მორფოსინტაქსური ანალიზის მეთოდებზე დაყრდნობით.

ნაშრომის სიახლეა ზმნის წარმოდგენის პრინციპების ჩვენება შერეული ტიპის ელექტრონულ ლექსიკონში და მასალის ინტეგრირების შესაძლებლობა ქართული ენის სასწავლო კომპლექსში არაქართველ-თათვის.

სწავლების დროს ამოსავლად მიჩნეულია კომუნიკაციური მიდგომა შემსწავლელის მიზნის გათვალისწინებით: ენის დაუფლება სურს სასაუბროდ, გაგებინების თუ თეორიულ-კვლევითი მოსაზრებით. პირველ შემთხვევაში აჯობებს ზმნების სწავლება სინქრონიულ დონეზე გრამატიკული ტერმინების გარეშე, კონტექსტური ფორმებითა და ზეპირი ვარჯიშით (ენათმეცნიერული ანალიზის გამოყენებლად), მეორე შემთხვევაში კი აუცილებელია გრამატიკის სისტემატური კურსისა და თეორიული ნაშრომების გაცნობა.

არაქართველებისთვის ენის შესწავლის პროცესში განსაკუთრებით ძნელია ზმნების დამოუკიდებლად გამოყენება. ამის მიზეზი რამდენიმეა: ქართული ენის აგლუტინაციური ბუნება, ზმნურ კატეგორიათა სიმრავლე, პოლიპერსონალურობა, რთული გრამატიკული სტრუქტურა, უღლების არაერთგვაროვნება, დრო-კილოთა ფორმების სიმრავლე და პოლისემიურობა; ამას გარდა, გასათვალისწინებელია ევროპული ენებისაგან განსხვავებული ზმნური კატეგორიების არსებობა (ვერსია, კონტაქტი, აქტი...), გვარის სინთეზური წარმოება, სალექსიკონო ერთეულად განუსაზღვრელი ფორმის ნაცვლად ნაზმნარი სახელის ან პირიანი უღლებადი ფორმის გამოყენება.

სწავლების საწყის ეტაპზე არაა მიზანშეწონილი ქართული ზმნების გრამატიკული ანალიზი და კლასიფიკაცია, რადგან ძნელია ერთი საკლასიფიკაციო პრინციპის მოძებნა. შემდეგ ეტაპზე კი აუცილებელია

ზმნათა დაჯგუფება. მათს კლასიფიკაციას ვხვდებით თეორიულ ნაშრომებში, საქართველოში თუ საზღვარგარეთ გამოცემულ სხვადასხვა სახელმძღვანელოსა და თარგმნითს ლექსიკონებში. საჭიროა ამ გამოცდილების გაზიარება და პრაქტიკული გამოყენება. ზმნების დაჯგუფების დროს გასათვალისწინებელია მათი მორფოსინტაქსური სპეციფიკა: სტრუქტურა, კონსტრუქცია და პოლიპერსონალიზმი.

სამეცნიერო თეორიულ ნაშრომებში ზმნათა კლასიფიკაციის პრინციპი განსხვავებულია: ზოგი მეცნიერისთვის ამოსავალია გვარი და გარდამავლობა, ზოგისთვის - სტრუქტურა და კონსტრუქცია, ასევე - აწმყო/მყოფადის მესამე პირის დაბოლოება ან თემის ნიშნის ქონა-არქონა. მორფოსინტაქსურ საკლასიფიკაციო ნიშნებზე დაყრდნობით საჭიროა ჩანს ინვერსიული ზმნებისა და უწესო (თავისებური) ზმნების უღლების ცალკე შესწავლა, ვარჯიში პირის ნიშნების მართებულ გამოყენებაზე (სხვადასხვა ტიპის კომბინირებული სავარჯიშოების გამოყენებით).

სწავლების მაღალ ეტაპზე რეკომენდებულია ზმნის ძირითადი ფორმებისა (აწმყო/მყოფადი, წყვეტილი და პირველი თურმეობითი) და უღლების პარადიგმის მიწოდება, ნაზმნარი არსებითი სახელისა და მიმღეობათა ფორმების გაცნობა. მასდარის მითითებით შემსწავლელი ეჩვევა ზმნის ფუძის იდენტიფიკაციას უღლებად ფორმასთან და შემდგომ დამოუკიდებლად მის გამოყენებას.

ქართული ზმნის სირთულეების ასათვისებლად უცხოელებისათვის დამხმარე საშუალება იქნება ელექტრონული სასწავლო ლექსიკონი, რომელიც მუშავდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში ქართულის, როგორც უცხო ენის სწავლების ქვეპროგრამა „ირბახის“ ფარგლებში (ვებგვერდი: <http://www.geofl.ge>). ლექსიკონი შეიცავს ქართული ენის შესასწავლად საჭირო ყველა მონაცემს არაქართველებისათვის. შესაძლებელია ზმნების ძიება სხვადასხვა პარამეტრით: ანბანის, სწავლების ზოგადევროპული სტანდარტების შესაბამისი დონეების ან თემატიკის მიხედვით.

სასწავლო ლექსიკონი კომპლექსურია: განმარტებით-თარგმნითი, აუდიო და გრამატიკული. ზმნური სალექსიკონო სტატია მოიცავს რამდენიმე ბლოკს: სემანტიკურს (განმარტება, თემატური კლასიფიკაცია), პარადიგმატულს (სინონიმები, ანტონიმები), გრამატიკულს (გარდამავლობა, გვარი, ძირითადი ფორმები, ნაზმნარი სახელი, უღლების პარადიგმა მწკრივების მიხედვით). სემანტიკა გაშლილია მოდელურ მაგალითებში, რომელთა უმრავლესობა შერჩეულია სასწავლო კომპლექსში შემავალი სახელმძღვანელოებიდან. ზმნები დაჯგუფებულია

თემატურად მათი მიმართებით გარკვეულ რეალიასა და სიტუაციასთან. მაგ., მდგომარეობის, მიმართული მოძრაობის, პროფესიული საქმიანობის, ხმიანობის, გრძნობა-აღქმისა და ემოციის გამომხატველი, მეტყველებასა და მენტალურ პროცესებთან დაკავშირებული, გარესამყაროს მოვლენების აღმნიშვნელი და ა. შ.

სასწავლო ლექსიკონში ზმნების სემანტიკურ-გრამატიკული დახასიათება, უღლების პარადიგმები, მოდელური წინადადებები და ძიების მოქნილი სისტემა გაუადვილებს უცხოელ შემსწავლელს მათს დამოუკიდებელ გამოყენებას ზეპირ და წერიტს მეტყველებაში, რადგან ლექსიკონი ორგანული ნაწილია ერთიანი სასწავლო კომპლექსისა და ინტეგრირებულია მასში.

*ანა თოდუა, რუსუდან ჭუმბურიძე (თსუ, საქართველო)*

### **“ქართული ენისა და სამოქალაქო განათლების ინტეგრირებული სწავლება „1+4“ პროგრამის ფარგლებში”**

უმცირესობათა ინტეგრაცია და სამოქალაქო ჩართულობა ქვეყნის დემოკრატიული განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია. ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის, განათლების ხელმისაწვდომობისა და მათი სამოქალაქო ჩართულობის გაძლიერებისაკენ არის მიმართული განათლების პოლიტიკაში განხორციელებული ცვლილება, რომელიც ძალაში 2009 წლის 19 ნოემბერს შევიდა და რომელიც **უმაღლეს სასწავლებლებში მიღებისას საშედავათო პოლიტიკის** გატარებას გულისხმობს ეთნიკურად სომეხ და აზერბაიჯანელ სკოლადამთავრებულთათვის. ქართულ უმაღლეს სასწავლებლებში უკვე 5 წელია, წარმატებით მიმდინარეობს განათლების საშედავათო პოლიტიკის ფარგლებში უმცირესობათა წარმომადგენელ სტუდენტთა მიღება. ამ ხნის განმავლობაში ქართული ენის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შემუშავდა არაერთი სასწავლო-მეთოდური სახელმძღვანელო, დაინერგა სწავლების სხვადასხვა მეთოდი, თუმცა ქართული ენის სწავლების მეთოდიკური სრულყოფისა და თანამედროვე, სისტემური მიდგომების დანერგვის აუცილებლობა ჯერ კიდევ აქტუალურად დგას. სწავლების პროცესში იკვეთება ენის სწავლებისადმი პრაგმატული მიდგომის აუცილებლობა,

სადაც აქცენტი კომუნიკაციური კომპეტენციის განვითარებაზე გაკეთდება.

ენების სწავლების ამგვარი მიდგომა თემატიკისა და ტექსტის სახეობების მრავალფეროვნებასა და სისტემურ ცვლილებას გულისხმობს. სწავლების ამ მეთოდის ფარგლებში, სტუდენტი არა მხოლოდ პასიურ მონაწილედ, არამედ ცოდნის თანაშემოქმედადაც განიხილება. ინტეგრირების მეთოდი, ენის სწავლებასთან ერთად, სტუდენტების კომპეტენციებს აამაღლებს სხვადასხვა მიმართულებით, სადაც მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სამოქალაქო განათლებას, ასევე, შესძენს მათ პრეზენტაციის, კომუნიკაციის, გუნდური მუშაობის, აზრის თავისუფლად გადმოცემის უნარს, მისცემს საშუალებას, იყოს ინფორმირებული, შეძლოს საკუთარი პოზიციის დაფიქსირება და ხელს შეუწყობს მათ აქტიურ მოქალაქედ ჩამოყალიბებას. ამ კრიტერიუმების შესრულებას კი ყველაზე ეფექტურად ქართული ენისა და სამოქალაქო განათლების ინტეგრირებული სწავლება უზრუნველყოფს.

ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლების მიდგომის დანერგვა, საუნივერსიტეტო დონეზე ენის ათვისების ეფექტურ საშუალებად იქცევა, ამ მიდგომის დახმარებით „1+4“ პროგრამის სტუდენტი ენის შესწავლასთან ერთად გაეცნობა და განივითარებს სამოქალაქო სტანდარტით გათვალისწინებულ თემებს, რომელიც უშუალოდ განხილული იქნება მოხსენებაში.

უმალესი სასწავლებლის დონეზე ენისა და საგნის (სამოქალაქო განათლება) ინტეგრირებული სწავლების მიდგომის ეფექტურობას ადასტურებს ჩვენს მიერ განხორციელებული პროექტი „დედამიწის კალენდარი“, რომელიც დაფინანსდა ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოს“ მიერ, პროექტის ფარგლებში შემუშავდა რესურსი, რომელიც მორგებულია საუნივერსიტეტო დონეზე ენისა და საგნის ინტეგრირებულ სწავლებას. პროექტის ფარგლებში ჩატარდა კვლევა და მასზე დამყარებული ტრენინგების ციკლი, ასევე, საპილოტე რეჟიმში, სემესტრის განმავლობაში დაიტესტა თსუ მოსამზადებელ პროგრამაზე სახელმძღვანელო: „დედამიწის კალენდარი“. შეიძლება ითქვას, რომ მიდგომა წარმატებულად შეფასდა. სემესტრის ბოლოს ჩატარდა უკუკავშირი, რომელმაც დაადასტურა ენისა და სამოქალაქო განათლების ინტეგრირებულად სწავლების ეფექტურობა და სახელმძღვანელოში წარმოდგენილი თემების აქტუალობა.

საკითხი ვრცლად იქნება წარმოდგენილი მოხსენებაში.

*სოფიო თოთიბაძე (თსუ, საქართველო)*

## **მშობლიური ენის როლი უცხო ენის ათვისების პროცესში**

გლობალიზაციას თან მოაქვს უცხო ენის შესწავლის აუცილებლობა. მეორე მხრივ, როგორც ცნობილია, მეორე ან უცხო ენის შესწავლის პროცესი, განსაკუთრებით საწყის ეტაპზე, გარკვეული სირთულით ხასიათდება. ხსენებული პროცესის გაადვილებისა და დაჩქარებისათვის არის მოწოდებული მრავალრიცხოვანი ლინგვისტური და სოციოლინგვისტური ლიტერატურა (მაკვინი, 2008; ლადო, 1957). ლინგვისტიკისა და პედაგოგიკის უახლესი თეორიების მიხედვით, უცხო ენის სტრუქტურა შეიძლება „დაშენდეს“ მშობლიური ენის საფუძველზე (კუმინსი, 2001). მეორე მხრივ, მშობლიური ენა შეიძლება, პირიქით, ანელებდეს უცხო ენის შესწავლის პროცესს. გარდა ამისა, მიიჩნევენ, რომ ორ ენას (L1 და L2) შორის მსგავსება-განსხვავებები დაწვრილებით უნდა ავლხსნათ უცხო ენის შემსწავლელებს (Bybee, 2008).

მოხსენებაში მიმოხილულია მეორე ენის შესწავლის პროცესში მშობლიური ენის მნიშვნელობის როლთან დაკავშირებული ფუნდამენტური თეორიების როლი. მის მეორე ნაწილში კი გაანალიზებულია კვლევის შედეგები, რომლებიც ჩატარდა განსხვავებული ეთნიკური წარმოშობის სტუდენტებში. კვლევა შედგებოდა ორი ნაწილისაგან. პირველი მათგანი მოიცავს ვიდეო ინტერვიუს შედეგებს, რომელიც ჩატარდა ჰააგის საერთაშორისო სკოლის 5 საერთაშორისო სტუდენტთან (International School of the Hague (ISH) და რომლებიც გვიზიარებენ შთაბეჭდილებას მეორე ენის შესწავლაში მშობლიური ენის როლის შესახებ. მოხსენების ავტორი იყო ამ კვლევის მონაწილე. კვლევის მეორე ნაწილი ეთმობა ოთხი განსხვავებული ენობრივი ჯგუფის (ქართული, ლიტვური, ჩინურისა და ინდურის) მატარებელი სტუდენტების მიერ შევსებული კითხვარის პასუხების ანალიზს. სტუდენტებს ევალუბოდათ გაეცათ პასუხი შეკითხვაზე, თუ რა როლს თამაშობს მშობლიური ინგლისური ენის სწავლის პროცესში. გამოკვლევამ მოგვცა განსხვავებული შედეგები, თუმცა სტუდენტთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ მშობლიური ენა თამაშობს დადებით როლს მეორე (უცხო ) ენის შესწავლის პროცესში.

*თეონა კვანჭიანი (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო)*  
**ენობრივი ვითარება თეთრიწყაროს რაიონში მცხოვრებ  
აზერბაიჯანულ მოსახლეობაში**

ქვემო ქართლში ადგილობრივ ქართველებთან ერთად ცხოვრობდნენ და დღესაც ცხოვრობენ უცხო ეთნოსთა წარმომადგენლები, რომელთა შორისაც, რიცხობრივად ყველაზე დიდი ხვედრითი წილი მოდის აზერბაიჯანელებსა და სომხებზე. ქვემო ქართლის მხარეში, თეთრიწყაროს რაიონში აზერბაიჯანელები ცხოვრობენ შემდეგ სოფლებში: ქოსალარში, შიხილოსა და ნაპილნარში. აზერბაიჯანელთა მცირე ნაწილი ცხოვრობს აგრეთვე ქალაქ თეთრიწყაროშიც. კვლევის მიზანია, გამოავლინოს ის ვითარება, რომელიც არსებობს რეგიონში ენობრივი თვალსაზრისით. ამისთვის გამოყენებული კვლევის მეთოდებია: დაკვირვება, ინტერვიუება, ბიოგრაფიული და ისტორიულ შედარებითი კვლევის მეთოდები.

თეთრიწყაროს რაიონში ყველაზე დიდი აზერბაიჯანული სოფელია ქოსალარი, რომლის მოსახლეობაც მოიცავს დაახლოებით 500 ოჯახს. აქ არსებულ სხვა აზერბაიჯანულ სოფლებთან შედარებით, რაიონის მოსახლეობა ამ აზერბაიჯანულ სოფელს ყველაზე იზოლირებულ და კარჩაკეტილ სოფლად ასახელებს. ამის განმაპირობებელი ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, ბუნებრივია, ენის ფაქტორშია საძიებელი. მოსახლეობის დიდი უმრავლესობა აღნიშნავს, რომ სოფელ ქოსალარში მცხოვრებ აზერბაიჯანელებთან კომუნიკაციის პრობლემებს სწორედ ქართული ენის არცოდნა განაპირობებს. ხანშიშესული და შუა ხნის ასაკის მოსახლეობის ნაწილთან რაიონის დანარჩენი მოსახლეობა კომუნიკაციას ამყარებს რუსულ ენაზე, თუმცა ახალგაზრდების დიდმა ნაწილმა არც რუსული იცის. მათ არ იციან აგრეთვე სახელმწიფო ენა - ქართული; რაც შეეხება, სხვა აზერბაიჯანულ სოფლებს: შიხილოსა და ნაპილნარს - აქ ენობრივი ვითარება განსხვავებულია. სოფელი შიხილო შედარებით მცირერიცხოვანი სოფელია, და ამ სოფლის ბავშვები სკოლაში მეზობელ სოფელში, სამღერეთში დადიან, სადაც აჭარიდან მიგრირებული ეკომიგრანტები ცხოვრობენ. აქ სწავლება სკოლაში ქართულ ენაზე მიმდინარეობს, შესაბამისად ამ სოფელში მცხოვრები ახალგაზრდები გარკვეულ დონეზე ფლობენ სახელმწიფო ენას ქართულს.

რეგიონში რამდენიმე წელია მოქმედებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშავებული პროგრამა „ასწავლე



საქართველოსთვის“, რომლის მიზანია სახელმწიფო ენის უკეთ შესწავლა ეთნიკური უმცირესობებისათვის. მოსწავლე ახალგაზრდების დიდი ნაწილი დაინტერესებულია აღნიშნული პროგრამის ფარგლებში საფუძვლიანად დაეუფლოს ქართულ ენას, რათა შემდგომში მიეცეთ საშუალება უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის ქართულ ენაზე გაგრძელებისა. მოსწავლეები სარგებლობენ სახელმწიფოს მიერ შემუშავებული პროგრამით, თუმცა, ჯერჯერობით ეს ვერ იძლევა იმის საშუალებას, რომ სრულფასოვნად დაეუფლონ ქართულს. ამ მხრივ მთავარ პრობლემად მოსწავლეები ასახელებენ მათსა და მასწავლებელს შორის კომუნიკაციის პრობლემას. მოსწავლეებს უჭირთ ქართულ ენაზე ახსნილი მასალის გაგება.

აღსანიშნავია, რომ მხოლოდ უმაღლესში ჩაბარების მსურველ ახალგაზრდებზე ორიენტირება არ იქნება საკმარისი პრობლემის აღმოსაფხვრელად. არც მხოლოდ სკოლაში სახელმწიფო ენის სწავლების ხარისხის ამაღლება გამოასწორებს მდგომარეობას... ამ აზერბაიჯანული სოფლებისა და რეგიონის დანარჩენ მოსახლეობას შორის სავაჭრო-ეკონომიკური კავშირ-ურთიერთობების დამყარების აუცილებლობა სახელმწიფოსგან მეტ ძალისხმევას მოითხოვს.

*მაია კიკვაძე (ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო)*

### **მახვილისა და ინტონაციის საკითხი ქართულის, როგორც მეორე ენის შესწავლის პროცესში**

მოსმენის უნარ-ჩვევას ყველაზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება ენის ათვისების საწყის ეტაპზე. მოსმენით ხორციელდება გაგება, ინფორმაციის აღქმა და გადაცემა, აზრის გამოხატვა, მსჯელობა და სხვა. ყოველივე ეს საკომუნიკაციო სტრატეგიებია, რაც თავისთავად, კომუნიკაციაში ჩართული პირებისაგან მოითხოვს: შეკითხვების დასმას, პასუხის გაცემას, თხოვნას, მობოდიშებას, მადლობის გადახდას, რჩევებისა და რეკომენდაციების მიცემას და ა. შ. ასე იქმნება სხვადასხვა ტიპის დიალოგები, შეტყობინება, ტექსტი. ამდენად, აუცილებელია თითოეული მათგანი ფონეტიკურად, გრამატიკულად და სტრუქტურულად გამართული იყოს. მოსმენა გულისხმობს ერთდროულად მასწავლებლისა და მსმენელის აქტიურ „თანამშრომლობას“. მეორე ენის სწავლების

სტრატეგიები სწორედ მასწავლებელმა უნდა შეიმუშაოს აუდიტორიის შესაძლებლობებიდან გამომდინარე.

ქართული ენის შემსწავლელებს საწყის ეტაპზე ყველაზე მეტად უჭირთ გაბმულ მეტყველებაში სიტყვათა სწორი ფორმით გამოყენება. მათ ჯერ კიდევ არ იციან გრამატიკული წესები. მოსმენით კი აქტიური მსმენელი სწავლობს ენას, აკვირდება მასწავლებლის მიერ წარმოთქმულ სიტყვებსა და მოკლე ფრაზებს. მასწავლებლის მითითებით ცდილობს გაიმეოროს იმავე ფორმით და დაიმახსოვროს, რა, როგორ და როდის გამოიყენოს. ყველა აღიარებს, რომ მოსმენა არის ენის ათვისების ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტი.

ენის შემსწავლელი ეჩვევიან მასწავლებლის ხმას, ხმის ტემბრს, სამეტყველო აპარატს, ვერბალური და არავერბალური საშუალებებით იგებენ ნათქვამს. ამ პროცესში მათ დახმარებას უწევს მახვილი და ინტონაცია. მასწავლებელი გარკვევით გამოთქვამს თითოეულ სიტყვას. მიგვაჩნია, რომ მოსმენისას აუცილებელია ყურადღების რეაქციების გაძლიერება მახვილზე. მართალია, ქართული ენისთვის დამახასიათებელია სუსტი დინამიკური მახვილი, მაგრამ არაქართულენოვან ჯგუფებში მას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. მახვილის საშუალებით ენის შემსწავლელს ყურადღებას ვამახვილებინებთ იმ ბგერებზე, რომელთა წარმოთქმაც უჭირთ (კ-არგად და არა გ-არგად, ყ-ვავილი და არა კ-ვავილი, ჰ-ური და არა ფ-ური...), თითოეული სიტყვის დაბოლოებაზე, ბოლო მარცვლის გამოკვეთაზე (მარიამ-ის ოჯახ-ის წევრებ-ის გაცნობა მინდა). ასეთი მიდგომა ერთგვარად ხსნის იმ პრობლემას, რასაც პრაქტიკული გრამატიკის სწავლება ჰქვია.

მაშასადამე, ზეპირი გზით, მოსმენის საშუალებით ჩვენ ენის შემსწავლელს ვთხოვთ, დაუკვირდნენ ინტონაციურად ამალეულ ადგილებს სიტყვაში, წინადადებასა თუ ტექსტში და შესაბამისად, გამოიყენონ საუბრისას.

დიალოგური მეტყველება ენის შემსწავლელს ყველაზე მეტად ეადვილება. ამ დროს განსაკუთრებით კარგად ჩანს მახვილისა და ინტონაციის როლი. მოკლე, ლაკონურ ფრაზაში გაცილებით ადვილია ამა თუ იმ სიტყვის ფორმის დამახსოვრება, ვიდრე გაბმულ ტექსტში.

მუშაობის პროცესში ყურადღებას ვამახვილებთ იმ მეტყველების ნაწილებზე, რომლებსაც აქტიურად ვიყენებთ კომუნიკაციის დროს, ასეთებია:

ა) ნაცვალსახელები:

შეკითხვა: - შენ სტუდენტი ხარ?      პასუხი: - დიახ, მე სტუდენტი ვარ.  
 შეკითხვა: - ეს შენ-ი წიგნია?      პასუხი: - დიახ, ეს ჩემ-ი წიგნია.  
 როგორ-ი? —> კარგ-ი, ლამაზ-ი, ახალ-ი...  
 რომელ-ი? —> პირველ-ი, მეორე...  
 რომელ-მა —> პირველ-მა, მეორე-მ...  
 რამდენ-ი? —> ორ-ი, ათ-ი, ბევრ-ი, ცოტა...  
 რამდენ-მა? —> ორ-მა, ათ-მა, ბევრ-მა, ცოტა-მ...

ბ) ზმნები:

-დღეს რამდენ-ი ლექცია გ-აქვს?	დღეს ოთხ-ი ლექცია მ-აქვს.
-ის დავლებას წერ-ს, შენ?	მე წიგნს ვ-კითხულობ.
-რა-ს წერ? (შენ)	-წერილ-ს ვ-წერ (მე).
-რა დაწერ-ე? (შენ)	-წერილ-ი და-ვ-წერ-ე (მე).
-რა-ს დაწერ? (შენ)	-წერილ-ს და-ვ-წერ (მე).

გ) ზმნიზედები:

როგო-რ? —> კარგ-ად, ცუდ-ად, ლამაზ-ად...  
 რანაირ-ად —> კარგ-ად, ცუდ-ად, ლამაზ-ად...

მოსმენისა და ლაპარაკის დროს აქტიურად ვიყენებთ მეთოდს, რომელსაც პირობითად „პარალელური დიალოგები“ ვუწოდებთ, რაც დიალოგში დამატებით ახალი მონაწილის ჩართვას გულისხმობს. ინტერაქციული ლექცია თან სახალისოა და პრაქტიკულადაც გამართლებულია. დიალოგის მოსმენა და განმეორება ერთ-ერთი დამხმარე მეთოდია. აქაც მახვილისა და ინტონაციის საშუალებით ვცდილობთ, ვიმუშაოთ სწორი ფორმების წარმოთქმაზე.

ენის შემსწავლელები დიალოგურ მეტყველებაში უპირატესობას ანიჭებენ მოკლე პასუხების გაცემას. ფიქრობენ, „დიახ“ და „არა“ საკმარისია პასუხის გასაცემად. მასწავლებელმა უნდა შეძლოს ამ ნაკლოვანების აღმოფხვრა. ენის შესწავლის საწყის ეტაპზე სასურველია პასუხის გაცემა იმ ფორმით, რა ფორმითაც სვამს შეკითხვას მასწავლებელი. მოსმენის გზით, მახვილისა და ინტონაციის დახმარებით კითხვის დასმის ტექნიკა, სიტყვათა სწორი ფორმების დაუფლება და გამოყენება ენის შესწავლის ერთ-ერთ წარმატებულ სტრატეგიად მიგვაჩნია.

ზაალ კიკვიძე (არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თსუ, საქართველო)

## სოციოლინგვისტური პროფილის ფორმულები და ორ- და სამენოვანი საარჩევნო ბიულეტენები

მეოცე საუკუნის 60-იან წლებიდან სოციოლინგვისტიკაში იყო არაერთი მცდელობა გამოეყენებინათ მრავალენოვანი საზოგადოებების აღსაწერი ადეკვატური მოდელები, რის შედეგადაც შეიქმნა ღირსსაცნობი სოციოლინგვისტური ტიპოლოგიები და ფორმულები.

დადგინდა სამი ზოგადი კატეგორია: Lმაჯ – ძირითადი ენა; Lმინ – არამძირითადი ენა; Lსპეც – სპეციალური სტატუსის ენა.

გამოიყო ხუთი ენობრივი ტიპი: მშობლიური (V), სტანდარტული (შ), კლასიკური (ჩ), პიჯინი (P), კრეოლური (K).

გამოიყო ენათა სოციალური ფუნქციები: ჯგუფური (გ), ოფიციალური (ო), ფართო მოხმარების (წ), განათლების (ე), რელიგიის (რ), საერთაშორისო (ი), სასკოლო საგანი (ს), კუთხური (პ), დედაქალაქის (ც), ლიტერატურის (ლ).

ზემოხსენებული მიდგომის მიხედვით და საქართველოს კონსტიტუციაზე დაყრდნობით („საქართველოს სახელმწიფო ენა არის ქართული, ხოლო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში აგრეთვე – აფხაზური“), ფორმულა იქნება შემდეგნაირი:

### 2Lმაჯ=Lმაჯ1 (შო, შგ, შრ, შე) + Lმაჯ2 (შპ, შგ, შს)

სადაც Lმაჯ1 არის ქართული (სტანდარტიზებული მშობლიური (შ), თავისი ოფიციალური (ო), ჯგუფური (გ), რელიგიური (რ) და საგანმანათლებლო (ე) ფუნქციებით), ხოლო Lმაჯ2 არის აფხაზური (სტანდარტიზებული მშობლიური (შ), თავისი კუთხური (პ), ჯგუფური (გ), სასკოლო საგნის (ს) ფუნქციებით). ეს ფორმულა ძნელად თუ ასახავს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში არსებულ მრავალენოვან სპექტრს. ამიტომაც, უპრიანი იქნება, თუ ფორმულებრივ აღწერთ სხვადასხვა რეგიონში არსებულ ენობრივ სიტუაციას. წინამდებარე ნაშრომში ნიმუშად აღებულია ქვემო ქართლი, რომლისთვისაც ვადგენთ რეგიონული სოციოლინგვისტური პროფილის ფორმულას:

### 1Lმაჯ (შო, შგ, შრ, შე) + 5Lმინ

სადაც 1Lმაჯ არის ქართული, ხოლო 5Lმინ აღნიშნავს რეგიონში გავრცელებულ მინორიტარულ ენებს, რაც შემდეგნაირად დაკონკრეტდება:

## **ცხრილი 1**

ენა	სტატუსი & ფუნქციები
ქართული	Lmaj (So, Sg, Sr, Se)
აზერბაიჯანული	Lmin (Sg, Se)
ურუმული	Lmin (Vg)
სომხური	Lmin (Sg, Se)
რუსული	Lmin (Sw, Se)
არაბული	Lspec (Cr)
კლასიკური სომხური	Lmin (Cr)
პონტოური ბერძნული	Vw
ახალბერძნული	Sl

მიუხედავად ამ უდავოდ სასარგებლო და ცხადი დაზუსტებებისა, არსებული მოდელი მაინც არასაკმარისად გვეჩვენება. მეოცე საუკუნის 90-იანი წლებიდან საარჩევნო ბიულეტენები და ყველა სახის საარჩევნო დოკუმენტაცია იბეჭდებოდა ქართულ ენაზე. ბუნებრივია, რომ ეს ვითარება პრობლემებს უქმნიდა იმ მოქალაქეებს, რომელთაც არ იცოდნენ ქართული. ამგვარად, მათი ენობრივი დეფიციტი გარდაიქმნებოდა მათი სოციალურ-ეკონომიკური კაპიტალის დეფიციტად. ამ გამოწვევის საპასუხოდ ცესკომ დაბეჭდა საარჩევნო ბიულეტენების ოთხი ენობრივი ვერსია:

- 1) ქართული
- 2) ქართულ-აზერბაიჯანული
- 3) ქართულ-სომხური
- 4) ქართულ-აზერბაიჯანულ-სომხური

ეს სიახლე უნდა აისახოს სათანადო სოციოლინგვისტური პროფილის ფორმულაში; შესაბამისად, შემოგვაქვს ახალი ერთეული ფუნქციათა ჩამონათვალში:

11) საარჩევნო (b) – სტანდარტული ენა, რომელიც ფუნქციონირებს საარჩევნო ბიულეტენების ენად როგორც ეროვნული, ისე ადგილობრივ არჩევნებში. ცვლილებები შემდეგნაირად აისახება:

## **ცხრილი 2**

ენა	სტატუსი & ფუნქციები
ქართული	Lmaj (So, Sg, Sr, Se, Sb)
აზერბაიჯანული	Lmin (Sg, Se, Sb)
სომხური	Lmin (Sg, Se, Sb)

*მარიამ კობერიძე (გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი)*

## **პრაქტიკული გრამატიკის უნარ-ჩვევების დაუფლების ზოგი საკითხი (ზმნისწინი) ქართულის, როგორც მეორე ენის, სწავლებისას**

ქართულის, როგორც მეორე ენის, სწავლებისას სამეტყველო უნარ-ჩვევების (მოსმენის, ლაპარაკის, კითხვის, წერის) განვითარებისათვის პრაქტიკული გრამატიკის ელემენტების დაუფლებასა და სწავლებისას წარმოშობილი პრობლემების წინ წამოწევას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. მოხსენებაში გავაანალიზებთ ქართულ ენაში მომზადების პროგრამის ფარგლებში ზმნისწინის სწავლებასთან დაკავშირებულ პრობლემებს და ამ პრობლემების დაძლევის ჩვენეულ მიდგომებს.

ზმნისწინი ზმნის ერთ-ერთი რთული კატეგორიაა. ყველაზე ძნელად დასაძლევ ამოცანას წამოადგენს ზმნისწინის მრავალგვარი ფუნქცია: მიმართულება, ორიენტაცია, მოქმედების დასრულებულობა, ახალი ზმნების წარმოქმნა, ახლანდელი დროიდან მომავალი დროის წარმოება. საგანგებო ყურადღებას საჭიროებს ზმნისწინთან დაკავშირებული პრობლემები: სხვადასხვა მიმართულების ზმნისწინების არასწორი შენაცვლება (ავიდა-გავიდა..); ძველი და ახალი ზმნისწინები განსხვავებულ შინაარსს ანიჭებენ ზმნას (აღზრდა - აზრდა, წარსული-წასული, აღდგომა-ადგომა); თანამედროვე ქართულში ახალი ზმნისწინების გვერდით გვხვდება მათი ძველი ვარიანტები (გარდაცვალება, განმარტება); მართლწერის წესების დარღვევა. პრობლემას ქმნის აგრეთვე შემსწავლელის ენისათვის დამახასიათებელი სპეციფიკა და განსხვავებული ენობრივი საშუალებები ზმნების მიმართულების გამოსახატავად.

ზმნისწინის სწავლებისას ჩვენ მიერ გამოყენებული იქნა სავარჯიშოები: წინადადებაში ზმნისწინიანი და უზმნისწინო ფორმების მოძებნა და შედარება-შეპირისპირება (ფრინავს-მიფრინავს, ხატავს-დახატავს..); საიქეთო და სააქეთო მიმართულების ზმნისწინების გამოყენებით ზმნის ახალი ფორმების წარმოება; ზმნებიდან ზმნისწინების გამოყოფა და გარკვევა, თუ რა ცვლილება განიცადა შინაარსმა ზმნისწინის ჩამოშორებით ან მისი შეცვლით; ზმნის ახლანდელი დროიდან მომავალი დროის წარმოება კითხვების დასმით: რას შვრება? რას იზამს?; მარტივი წინადადების შედგენა ზმნისწინიანი ფორმების გამოყენებით, შეცდომების გასწორება; საშუალო სირთულის ტექსტში

დამოუკიდებლად ზმნისწინიანი ფორმების მოძებნა და ზმნების დაჯგუფება მიმართულების მიხედვით; სტუდენტის მიერ მოკლე ტექსტის შედგენა ოჯახის წევრების შესახებ (აღწერითი სავარჯიშო).

საკითხის დამუშავებისას გამოყენებულია დაკვირვების (აღწერითი და შერჩევითი) მეთოდი. საანალიზო მასალა შეგროვებულია დიალოგის, ინტერვიუებისა და ანკეტირების გზით.

კვლევის შედეგების ანალიზმა აჩვენა: სტუდენტებს გააზრებული აქვთ მეორე ენის შესწავლის მნიშვნელობა; შეუძლიათ შესწავლილი მასალის გამოყენებით საკუთარი აზრის მარტივად ჩამოყალიბება, მცირე ზომის ტექსტის შექმნა, კითხვების დასმა და კითხვებზე პასუხის გაცემა. მათი ჩართვა კვლევით საქმიანობასა და საუნივერსიტეტო ღონისძიებებში ხელს შეუწყობს ქართულენოვან სტუდენტებთან ურთიერთობას, ენობრივი და საკომუნიკაციო უნარების განვითარებასა და ქართულად მეტყველების პრაქტიკას. სასურველია, მასწავლებელი ფლობდეს მინიმალურ ცოდნას მაინც სტუდენტის ენის შესახებ, რომ შედარება-შეპირისპირებით გააზრებინოს ენის შემსწავლელს მშობლიურისა და მეორე ენის გრამატიკული მოვლენების განსხვავება და ასწავლოს შესაბამის სიტუაციაში მათი გამოყენება.

*ივლიტა ლობჟანიძე (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო)*

### **ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ტუტორიუმის პროგრამა**

ნაშრომში წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართულის, როგორც მეორე ენისა და ინტეგრაციის პროგრამის (1+4) წარმატებით განხორციელებისთვის საინტეგრაციო პოლიტიკის ძირითადი ასპექტები, მათ შორის ტუტორიუმის პროგრამის შექმნის, მისიის, სტრუქტურისა და ფუნქციონირების საკითხები.

2010 წელს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში სახელმწიფო ენის შესწავლის მიზნით შეიქმნა ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (1+4), შემდგომში ქართულის, როგორც მეორე ენისა და ინტეგრაციის პროგრამა. სწავლის პროცესში, ენის დაუფლების გარდა, უადრესად მნიშვნელოვანია არაქართულენოვან სტუდენტთა ინტეგრაცია ქართულ საგანმანათლებლო თუ სამოქალაქო სივრცეში. სწორედ ამ მიზნით ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში

შეიქმნა ტუტორიუმის პროგრამა, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს ქართულის, როგორც მეორე ენის პროგრამის სტუდენტთა ინტეგრაციას ქართულენოვან გარემოსთან.

ტუტორიუმის პროგრამა არის არაფორმალური განათლების პროგრამა, რომლის ფარგლებშიც მაღალკურსელი სტუდენტები, ტუტორები, ეხმარებიან ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის არაქართულენოვან სტუდენტებს, აკადემიურ, საუნივერსიტეტო თუ სამოქალაქო სივრცეში ორიენტაციასა და სხვადასხვა პრაქტიკული დავალების მომზადებაში.

2013 წლიდან ამ პროგრამის წარმატებით განხორციელებაში ჩაერთო საქართველოს გაეროს ასოციაცია, რომელმაც ფონდ „ALPE“-სთან ერთად ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში დააფუძნა თბილისის ახალგაზრდული ცენტრი, რომლის წევრები, 18-დან 25-წლამდე ახალგაზრდები, ჩაერთნენ პროგრამაში როგორც ტუტორები.

ნაშრომში წარმოდგენილია ტუტორიუმში ჩართულ ბენეფიციართა სტატისტიკა წლების მიხედვით, ასევე კვლევების საფუძველზე გაანალიზებულია ტუტორიუმის პროგრამის როგორც დადებითი მხარეები, ასევე შემაფერხებელი ფაქტორები და დასახულია პრობლემების მოგვარებისა და გადაჭრის გზები. ეფექტური განხორციელებისათვის შემუშავებულია რეკომენდაციები და დასახულია სამომავლო გეგმები.

*თეა ლორთქიფანიძე (თსუ, საქართველო)*

### **სახელმწიფო ენის შესწავლიდან სამოქალაქო ინტეგრაციამდე**

ნაშრომის მიზანია, საქართველოს მაგალითზე აჩვენოს, თუ რა მიმართება არსებობს მრავალენოვან და მრავალეროვან ქვეყნებში სახელმწიფო ენის შესწავლასა და სამოქალაქო ინტეგრაციას შორის და რა გამოწვევების წინაშე დგას საქართველო ამ თვალსაზრისით. კვლევის მიზნების მისაღწევად გამოყენებულია აღწერითი და შედარებითი მეთოდები.

საქართველო მრავალეროვანი ქვეყანაა. საქართველოში ჩატარებული უკანასკნელი აღწერის მიხედვით, მისი მოსახლეობის 13 პროცენტი ეთნიკურად არაქართველია და ქართული (სახელმწიფო) ენა არ არის მათი პირველი (მშობლიური) ენა. არაქართულენოვანი



მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ვერ ფლობს სახელწიფო ენას (ქართულს) ან არასათანადოდ ფლობს მას.

სახელმწიფო ენა, ერთი მხრივ, ნებისმიერი ქვეყნის სუვერენიტეტის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილია და ცხადია, დღეს სადავო არ გახლავთ. სახელმწიფო ენის სტატუსის განსაზღვრა, მისი უფლებების დაცვა გავრცელების ფორმებზე ზრუნვა - სახელმწიფოს სიმტკიცის ნიშნად აღიქმება. იმ შემთხვევაშიც კი, როცა ესა თუ ის ქვეყანა საკმაოდ მომთხოვნია საკუთარი სახელმწიფო ენის ცოდნის უზრუნველყოფი ღონისძიებების გატარებისას, საერთაშორისო თანამეგობრობა გაგებით ეკიდება ამ ფაქტს და აღნიშნულ ღონისძიებებს ქვეყნის სახელმწიფოებრივი განმტკიცებისა და სამოქალაქო ერთსულოვნების მიღწევის საშუალებად მიიჩნევს (იხ. მაგალითად, ბალტიის ქვეყნების მაგალითი).

მეორე მხრივ, უადრესად ნიშანდობლივია, რომ სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესის ძირითად მაჩვენებლად დღეს სწორედ სახელმწიფო ენის ცოდნაა მიჩნეული. წინამდებარე კვლევა სწორედ საკითხის ამ ასპექტს ეხება.

ცნობილია, რომ სახელმწიფო ენის ფლობასა და სამოქალაქო ინტეგრაციის შორის პირდაპირი მიმართება არსებობს, რადგან, მისი არცოდნის შემთხვევაში, მოქალაქის ქვეყანაში მიმდინარე პროცესებში ჩართულობისა და ინფორმაციაზე წვდომის შანსი მინიმალურია, რაც ლოგიკურად განაპირობებს უმცირესობათა წარმომადგენლებისათვის სოციალურ უთანასწორობას, მათ გარიყვას ქვეყანაში მიმდინარე პროცესებიდან, შრომის ბაზარზე დამკვიდრების ნაკლებ შესაძლებლობებს და ა. შ. ბუნებრივია, ეს ფაქტორები აქტუალურია საქართველოშიც.

სწორედ ამ პრობლემათა დაძლევის გზებია მოცემულია ისეთ საერთაშორისო დოკუმენტებში, როგორებიცაა Language Rights of Language Minorities; Global education monitoring report.

მოხსენებაში განხილულია, თუ ზემოთ მოყვანილ დოკუმენტებზე დაყრდნობით, როგორ შეიძლება ამ სახის პრობლემების დაძლევა ქართულ რეალობაში, რა როლი შეიძლება შეასრულონ ხელისუფლებამ, განათლების სისტემამ, მასმედია, სამოქალაქო სექტორმა ამ პროცესებში. ხაზგასმულია ადგილობრივი თემისა და დომინანტი მოსახლეობის თანამშრომლობის როლიც.

მოხსენებაში საუბარია იმ პოტენციურ საფრთხეზეც, რომელიც სახელმწიფო ენის გავრცელების „დაჩქარებულ“ მიდგომას ახლავს;

კერძოდ, როდესაც ეროვნული უმცირესობები უმნიშვნელოვანესად აღიქვამენ სახელმწიფო ენის სწავლის აუცილებლობას და შვილებს სახელმწიფო ენაზე აძლევენ განათლებას (მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში არსებობს საშუალო სკოლები უმცირესობათა ენებზე). ეს უმცირესობათა ნაწილის საზოგადოებრივ განწყობებებში უკურეაქციას იწვევს. პრობლემის გადასაჭრელად კი საუკეთესო გამოსავალი არაქართულენოვანი მოსახლეობისათვის ბილინგვური განათლების მოდელის შეთავაზება გვესახება.

*მარიამ მანჯგალაძე (თსუ, საქართველო)*

### **მულტიკულტურული გარემო და ენის სწავლების თანამედროვე საშუალებები**

თანამედროვე განათლების სისტემა სერიოზული გამოწვევის წინაშე დგას. თითქმის ყველა ქვეყანას სწავლა-სწავლების თავისებური ხედვა აქვს; ცხადია, მიზანიც აქვს გამოკვეთილი:

სახელმწიფო ინსტიტუცია ცდილობს, ყველა მოქალაქეს ჰქონდეს მთელი სიცოცხლის მანძილზე ხარისხიანი განათლების მიღებისა და თვითრეალიზების თანაბარი შესაძლებლობა; გაუმჯობესდეს განათლების ეროვნული სისტემა და ექვემდებარებოდეს აპრობირებულ სტანდარტებს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, სახელმწიფო ენის სწავლება სათანადო დონეზე ნებისმიერი ქვეყნისთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია - შესაბამისად, პროფესიონალები ცდილობენ შედეგზე ორიენტირებული სწავლება უზრუნველყონ.

დღეისათვის არსებობს არაერთი საინტერესო, ტრადიციული თუ ინოვაციური მეთოდი, რომელთა გამოყენება ენის სწავლების პროცესს აუმჯობესებს; თუმცა, არ არსებობს უნივერსალური მეთოდი, რომელსაც ნებისმიერი ენის მასწავლებელი გამოიყენებს და წარმატებული შედეგიც ექნება. ხშირად ინდივიდუალური მიდგომა სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მთავარი საყრდენია, ინოვაციური რესურსის შეთავაზება შემსწავლელისთვის კი - ეფექტური საშუალება.

ენის შესწავლა ახალი კულტურის შესწავლასაც გულისხმობს, ახალ კულტურულ სივრცეში კი ხშირად განსხვავებულია კულტურული ფასეულობები, რწმენა და წარმოდგენები.

კულტურული კონტექსტის არცოდნამ ენის შემსწავლელი რომ არ მიიყვანოს ფრუსტრაციამდე, საჭიროა ორმხრივი ინტერესის გათვალისწინება: შესასწავლი მასალა უნდა აიგოს, ერთი მხრივ, შესასწავლი ენის კულტურის ამსახველი კომპონენტების მიხედვით, მეორე მხრივ კი - შემსწავლელთათვის ნაცნობი გარემოს ამსახველი მაგალითების საფუძველზე (იგულისხმება თემატური ტექსტები, დიალოგები, სავარჯიშოები... როგორც მოსასმენი, ისე საკითხავი მასალა). ფაქტია, რომ მულტიკულტურულ გარემოში ენის შესწავლა იოლდება სწავლების თანამედროვე საშუალებების გამოყენებით, ვგულისხმობთ ელექტრონული სწავლების კომპონენტებსა და მულტიმედია-ლექსიკონებს. შემსწავლელი უკეთ იმახსოვრებს და აღიქვამს მასალას, თავად არეგულირებს შესასწავლ დროს და, ხშირ შემთხვევაში, აქვს უფრო სწრაფი შედეგი.

შეიძლება ვთქვათ, რომ თანამედროვე სწავლების პრიორიტეტია გააიოლოს შესწავლისა და აღქმის პროცესი, შექმნას ინტელექტუალური და ემოციური კომფორტი და გააუმჯობესოს სწავლა-სწავლების ხარისხი. შესაბამისად, ჩვენ ვიყენებთ ენის სწავლების როგორც უკვე კარგად აპრობირებულ მეთოდებს, როგორებიცაა: აუდიოლინგვური, აუდიოვიზუალური, კომუნიკაციური და სხვ., ისე ინტერკულტურული მიდგომის, შერეული და ელექტრონული სწავლების მეთოდებს. ამგვარი კომბინირებული სწავლების არჩევანი საშუალებას გვაძლევს, უფრო საინტერესო და შედეგზე ორიენტირებული გახდეს სწავლა/სწავლების პროცესი. მოხსენებაში განვიხილავთ კონკრეტულ მაგალითებს და მიღწეულ შედეგებს ჩვენი გამოცდილებიდან.

*მარიამ მარდალავიშვილი (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო)*

## **ინტერკულტურული განათლების მნიშვნელოვანი ასპექტები და გამოწვევები**

21-ე საუკუნის გამოწვევებმა ნიშანდობლივი გახადა განათლების ინტერნაციონალიზაციის საკითხის წინა პლანზე წამოწევა. ეკონომიკური გლობალიზაცია, დივერსიფიკაცია, მარკეტიზაცია - ეს ის უმნიშვნელოვანესი ფაქტორები გახლავთ, რომლებიც უშუალოდ განაპირობებს ინტერკულტურული განათლების ასპექტებსა და მათ მნიშვნელობას.

საქართველო მრავალკონფესიური ქვეყანაა და არამართლმადიდებელთა რიცხვი ქვეყნის მასშტაბით დაახლოებით 16, 1 პროცენტს აღწევს (საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტი, 2002 წლის მოსახლეობის აღწერა) და შესაბამისად, მულტიკულტურული ღირებულებების ჩამოყალიბება და ინტერკულტურული სტრატეგიების სასწავლო პროცესში დანერგვა უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ ფაქტორს წარმოადგენს. არსებულ სიტუაციაში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესის ისე წარმართვა, რომელიც უზრუნველყოფს როგორც ქართველ, ასევე არაქართველ სტუდენტთა საღად, კრიტიკულად მოაზროვნე მოქალაქეებად ჩამოყალიბებასა და ფორმირებას. ნაშრომის მიზანია, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ეთნიკური უმცირესობებისათვის დანერგილი ინტეგრაციის პროგრამის ფარგლებში წარმოებული სასწავლო პროცესის ასპექტების ინტერკულტურულ ჭრილში განხილვა და ანალიზი.

ცხადია, ამ კუთხით ერთ-ერთ დღემდე დაუძლეველ გამოწვევასა და ხელისშემშლელ ფაქტორს პოსტსაბჭოთა სივრცის გადმონაშთები წარმოადგენს, რომლებიც საგანმანათლებლო კუთხითაც დღემდე რუსული ენისა და რუსული საინფორმაციო არხების დომინანტობასა და მასშტაბურობაზე მეტყველებს. შესაბამისად, დღის წესრიგში დგას მთელი რიგი საკითხების ისე სწავლება, რომ შესაძლებელი გახდეს საქართველოში მცხოვრები ეთნიკური სტუდენტებისათვის:

- სახელმწიფოებრივი აზროვნების ჩამოყალიბება;
- სახელმწიფოში მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის სოციოკულტურულ თავისებურებათა დაფასება და პატივისცემა;
- სოციოკულტურული მრავალფეროვნების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულების გამოვლენა;
- ინტერკულტურული კომუნიკაციის ჩამოყალიბებისა და განვითარების ხელშეწყობა (მალაქელიძე, 2013).

ნაშრომის მეცნიერული სიახლე მდგომარეობს შემდეგში: ილიას უნივერსიტეტის ბაზაზე არ მომხდარა ეთნიკური უმცირესობების სასწავლო პროცესის კვლევა. იმ საკითხის ანალიზი, თუ რა ტიპის აქტივობები უწყობს ხელს არაქართულენოვან სტუდენტთა ინტეგრაციასა და ქართულის, როგორც მეორე ენის უკეთ შესწავლას.

საკვლევი პრობლემაა: მიუხედავად იმისა, რომ სალექციო პროცესში ინტენსიურად ხდება სხვადასხვა ტიპის აქტივობების გამოყენება, მაინც გამოწვევად რჩება:

- ეთნიკური უმცირესობის სტუდენტთა ქართულ საზოგადოებასთან ინტეგრაციისა და კომუნიკაციის საკითხები.
- აზერბაიჯანელ და სომეხ სტუდენტთათვის ქართულის ენის შესწავლა, ისე რომ მათ დაუბრკოლებლად შეძლონ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში არჩეული პროფესიების მიმართულებით სწავლის გაგრძელება.

კვლევის მეთოდებად გამოვიყენეთ რაოდენობრივი კვლევა. კითხვარების სახით გამოვიკითხეთ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ენის ინტეგრაციის პროგრამის აზერბაიჯანელი და სომეხი სტუდენტები. გავარკვეეთ, რამდენად უჭირთ მათ ქართულ სივრცეში ინტეგრაცია და ადაპტაცია. როგორ აფასებენ ისინი ქართული ენის პროგრამას. როგორია მათი დამოკიდებულება ამ პროგრამის სწავლებისას გამოყენებულ მეთოდებსა და სტრატეგიებზე.

კვლევის შედეგების ანალიზი საშუალებას მოგვცემს, გავარკვიოთ სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები და დავდოთ რეკომენდაციები: როგორი სწავლების ფორმა უფრო ეფექტურია მათთვის; რომელი მეთოდით მიწოდებული ინფორმაცია უფრო მეტად ადვილად აღსაქმელია, როგორ სწავლობენ უფრო ადვილად და რატომ. ლექცია-სემინარებზე გამოყენებული აქტიური სწავლების ზემოთ ჩამოთვლილი მეთოდები რამდენად პრაქტიკულია აზერბაიჯანელი და სომეხი ახალგაზრდებისათვის ამ ფორმით მიღებული ცოდნა და რამდენად ახდენს ის მათ ინტეგრაციაზე გავლენას. ეს ყოველივე კი საწინდარი იქნება იმისა, რომ შევაჯამოთ არაქართულენოვანი სტუდენტების პრობლემები და მოთხოვნილებები და, შესაბამისად, სასწავლო პროცესი მათ საჭიროებებზე მორგებული სტრატეგიებითა და მეთოდებით გავაჯეროთ.

*თეონა მატარაძე, თეა ქამუშაძე (თსუ, საქართველო)*

## **ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ სტუდენტთა ბარიერები დედაქალაქის ქართულ სოციოლინგვისტურ კონტექსტთან ადაპტაციაში**

დედაქალაქში სასწავლებლად ჩამოსული ეთნიკური უმცირესობების ახალგაზრდა წარმომადგენლები, ენობრივი ბარიერის გარდა ახალ გარემოში სოციალურ ადაპტაციის პრობლემებსაც აწყდებიან. ეთნიკური

უმცირესობების სტუდენტთა ყოველდღიურ ცხოვრებაზე დაკვირვებით ჩნდება განცდა, რომ ისინი ადგილობრივ სტუდენტებთან სოციალური კომუნიკაციას დეფიციტს განიცდიან. ისინი უპირატესობას მათივე ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებთან ურთიერთობას ანიჭებენ, რაც მათთვის მეტად კომფორტულია.

პრეზენტაციის მიზანია იმ წინააღმდეგობების გამოვლენა, რასაც ეთნიკური უმცირესობათა სტუდენტები საქართველოში, თბილისის ქართულ სოციოლინგვისტურ კონტექსტში ხვდებიან. მოხსენება ეყრდნობა სოციოლოგიურ კვლევას, რომელიც 2017 წლის გაზაფხულზე თსუ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების მონაწილეობით ჩატარდა. გამოკითხვის მიზანი იყო: 1) სტუდენტთა სასწავლო გარემოს (უნივერსიტეტი, ლექციები, ქალაქი და ა.შ.) ემიკურია აღქმის შესწავლა; 2) სტუდენტებისათვის პრობლემურ საკითხთა იდენტიფიცირება, ურბანულ კონტექსტში (ჩვენ განვიხილავთ ისეთ შემთხვევებს, როგორცაა საცხოვრებლის ქირაობა, ტრანსპორტით სარგებლობა, ბანკის მომსახურება, საჯარო რეესტრთან, სასწრაფოსთან, პოლიციასთან და სხვა დაწესებულებებთან ურთიერთობა და სხვ.); 3) სხვა სტუდენტებთან, ლექტორებთან და უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან ურთიერთობების სოციალური კონტექსტის შესწავლა; 4) ეთნიკური უმცირესობების სტუდენტთა სტუდენტური ცხოვრებიდან ექსკლუზია. კვლევისათვის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდა თსუ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები. სამიზნე ჯგუფის სრული მოცულობაა 265 სტუდენტი. აქედან გამოიკითხა 75 სტუდენტი. სტუდენტების გულწრფელობის გასაზრდელად ინტერვიუერის მონაწილეობა მინიმუმამდე იყო დაყვანილი.

რესპონდენტთა უმეტესობას (78.6%) მოუწია საცხოვრებელი ადგილის შეცვლა და ბინის დაქირავება. მათგან (3.2%) მარტო, ხოლო 75% მეგობართან ან ნათესავთან ერთად ცხოვრობს. სტუდენტების 28.8% შეექმნა პრობლემა ბინის მეპატრონესთან ენობრივი ბარიერის ან ზოგადი დისკრიმინაციული დამოკიდებულების გამო. სტუდენტთა უმრავლესობა არ გრძნობენ ემოციურ მიჯაჭვულობას დედაქალაქთან ან უნივერსიტეტთან, 61.4% სტუდენტებისა არ თვლის თავს საუნივერსიტეტო ცხოვრებაში ინტეგრირებულად. მათი ნახევარი ამას ენობრივი კომპეტენციის სიმცირით, ხოლო მეორე ნახევარი კი ეთნიკური უმცირესობების მიმართ სტერეოტიპული დამოკიდებულებით ხსნის. დედაქალაქი არ არის მოხერხებული საცხოვრებლად სტუდენტთა 58 %-

ისათვის, რისი მიზნებიც ასევე ენობრივი ბარიერი და მათი ეთნიკური წარმომავლობის მიმართ დისკრიმინაციული განწყობები სახელდება. ლექტორებს ძირითადად ახასიათებენ პოზიტიურად და საგულისხმოა, რომ 10% ხაზს უსვამს მათ მეგობრულ დამოკიდებულებას. ზოგადად უნდა აღინიშნოს, რომ ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი სტუდენტები ფიქრობენ, რომ უნივერსიტეტი ყველას აძლევთ თანაბარ შესაძლებლობას მიიღოს კვალიფიციური განათლება.

*თამარ მახარობლიძე (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო)*

### **სამეტყველო ქართული ენის სწავლება ყრუ ბავშვებისათვის და აგრამატიზმის პრობლემა**

აგრამატიზმი, როგორც კლინიკური ლინგვისტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სამუშაო სფერო, საქართველოში მხოლოდ ზოგადი ლოგოპედიური მოდელების ზედაპირული დამუშავებით შემოიფარგლებოდა. დღემდე არ ჩატარებულა ქართული ენის სრული ანალიზი ამ კუთხით. არ არის გამოვლენილი ქართული ენაში აგრამატიზმის მოვლენის ძირითადი თეორიული მახასიათებლები. საბჭოთა და პოსტსაბჭოთა ლოგოპედია ძირითადად ეყრდნობოდა რუსულ სამეცნიერო ლიტერატურაში გადამუშავებულ ზოგად ფონოლოგიურ მიდგომებს. ენის იერარქიის არც ერთ დონეზე არ იყო განსაზღვრული აგრამატიზმის სპეციფიკა ქართული ენის სისტემის თვალსაზრისით.

რამდენადაც ყრუ ბავშვები მოკლებულნი არიან მეხსიერების აუდიო არხით სამეტყველო ქართული ენის ათვისების ბუნებრივ პროცესს, ქართული სამეტყველო ენა ამ ბავშვებში და ასევე ყრუთა თემის მოზრდილ წარმომადგენლებთანაც ტოტალური აგრამატიზმით ხასიათდება. მიგვაჩნია, რომ შესამუშავებელია ყრუ ბავშვებისათვის ქართული სამეტყველო ენის შემსწავლელი სპეციალური პროგრამები, რომლებიც ორიენტირებული იქნება ვიზუალური არხის აქტიური გამოყენების პროცესზე და აუცილებლად გამოიყენებს ინოვაციურ ტექნოლოგიებსა და ვიზუალურ მულტიმედია პროგრამებს სასწავლო პროცესში.

ფაქტობრივად, წარმოდგენილი ნაშრომი არის პირველი ნაბიჯი ამ მიმართულებით. მოხსენება მოიცავს თეორიულ მსჯელობას ენის იერარქიის ყველა დონეზე. ამრიგად, მსჯელობა შეეხება მეტყველების თერაპიის სავარაუდო ლინგვისტურ სივრცეებს ქართული ენის ფონოლოგიური, მორფოლოგიური, სინტაქსური, ლექსიკური და სემანტიკური დონეების მიხედვით. აქვე ვისაუბრებთ დონეთაშორისი აგრამატიზმების შესახებაც და ყრუ ბავშვებისათვის ქართული სამეეტყველო ენის სწავლების ჩვენეული ხედვის შესახებაც.

იმედი გვაქვს, ქართული ენის სტრუქტურის მიხედვით წარმოდგენილი აგრამატიზმების თეორიული ანალიზი და ზემოთ წარმოდგენილი თემა საფუძველს ჩაუყრის ამ მიმართულების სამომავლო პრაქტიკულ კვლევებს.

*დიანა ნემსიწვერიძე (აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო)*

### **ენის სწავლების კომუნიკაციური მეთოდი**

მოხსენებაში საუბარია „კომუნიკაციურ მეთოდზე“, რომელიც საკმაოდ პოპულარულია ენის სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგიაში, მისი შექმნა 60-იანი წლების ბოლოსათვის ენათმეცნიერებაში მიმდინარე პროცესებმა განაპირობა და, კერძოდ, აქცენტის გადატანამ ნიშნის მესამე – პრაგმატულ განზომილებაზე, რის შედეგადაც ენა აღქმულ იქნა არა როგორც მხოლოდ ენობრივი ფორმების სისტემა, არამედ, პირველ რიგში, როგორც ადამიანის ქმედების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ასპექტი.

მოხსენება თემა მოიცავს საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვების შედეგებს, სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს VIII კლასი, რომელთანაც აქტიურად ვიყენებ ზემოთხსენებულ სტრატეგიას და შედეგი არის გაცილებით უკეთესი, ვიდრე სხვა მიდგომების გამოყენებისას, შესაბამისად ჩემი პოზიცია ასეთია: კომუნიკაციური მეთოდი პასუხობს ყველა იმ მოთხოვნილებას, რაც 21-ე საუკუნემ წამოჭრა სწავლა-სწავლების პროცესში- ენის გამოყენების უნარი და საშუალება, განვითარდეს ოთხივე უნარი (წერა, კითხვა, საუბარი, მოსმენა) თანაბრად.



*ნინო ნიჟარაძე, ნათია ზვიადაძე (აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო)*

## **მოსწავლეთა დედაენის არცოდნის უპირატესობანი: ინგლისური ენის შემსწავლელთა მულტილინგვური ჯგუფის შემთხვევის ანალიზი**

მოხსენებაში აღწერილია საქართველოში, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში განხორციელებული კვლევა (შემთხვევის ანალიზი), რომელიც მიზნად ისახავდა სასწავლო პროცესის მახასიათებლების აღწერას კლასში, სადაც მასწავლებელს და ენის შემსწავლელს არ აქვთ საერთო ენა, გარდა შესასწავლი ენისა. ამ მცირემასშტაბიანი კვლევის მიზანია, ხელი შეუწყოს იმ საგანმანათლებლო კონტექსტის უკეთ გააზრებას, სადაც მულტილინგვურ აუდიტორიასთან მუშაობაში ნაკლებად გამოცდილ პედაგოგებს სწავლის შედეგებზე გასვლა უხდებათ სტუდენტების მშობლიური ენის დახმარების გარეშე და განსხვავებული კულტურული წარმომავლობის პირობებში. მასწავლებლების წინაშე შემდეგი გამოწვევებია: ახალი ლექსიკის, განსაკუთრებით აბსტრაქტული ერთეულების, შეტანისა და განმტკიცების სირთულე, ახალი გრამატიკული სტრუქტურების სუსტი გააზრება ახსნისას გამოყენებული ენის/ენების არასრულყოფილი ფლობის გამო, დისკუსიისას შემსწავლელთა გადართვა მშობლიურ ენაზე, რომელიც სრულიად უცხოა მასწავლებლისთვის, მოსწავლეების დამოკიდებულება მათ მობილურ აპარატებში ჩატვირთულ ლექსიკონებზე, სადისკუსიო თემატიკის შერჩევისას საჭირო ტექტი, განსაკუთრებით, როცა საქმე ეხება გენდერული როლების, ახალგაზრდული პრობლემების და ა. შ. საკითხებს.

კვლევის მონაწილეთა შორის იყო 6 თურქულენოვანი, 1 რუსულენოვანი (თურქული ენის შეზღუდული ცოდნით) და 1 ქართულენოვანი სტუდენტი, რომელთა ენობრივი დონე შეიძლება შეფასდეს, როგორც საშუალო ან საშუალოზე დაბალი. კვლევისთვის გამოყენებულ იქნა დაკვირვების და ინტერვიუების მეთოდები და გაკვეთილების აუდიოჩანაწერების ანალიზი. მოხდა ამ შედეგების შედარება ქართველ შემსწავლელთა მონოლინგვურ ჯგუფებში ჩატარებულ გაკვეთილებზე დაკვირვების შედეგებთან. მიუხედავად იმისა, რომ შორსმდინავალ დასკვნებზე საუბარი არ იქნებოდა

გამართლებული კვლევის მასშტაბიდან გამომდინარე, გამოვლინდა სასწავლო პროცესის რამდენიმე ასპექტი, სადაც მასწავლებლის და მოსწავლეების განსხვავებული ენობრივი წარმომავლობა შესაძლოა სასარგებლოც აღმოჩნდეს. ეს მოიცავს კლასში ინგლისურისა და სხვა ენების გამოყენების ფარდობით სიხშირეს, საკომუნიკაციო სტრატეგიების ფლობას და მათი გამოყენების სიხშირეს, ენობრივი ვარჯიშის მოცულობის გაზრდას დედუქციური პრეზენტაციებისთვის განკუთვნილი დროის შემცირების ხარჯზე, ინფორმაციის გაცვლის ბუნებრივი საჭიროების აუცილებლობას სტუდენტებსა და მასწავლებელს შორის კულტურული განსხვავებების არსებობის გამო.

*ნინო პოპიაშვილი (თსუ, საქართველო)*

### **აფხაზური და ოსური ენების სწავლების ძირითადი საკითხები მეოცე საუკუნის 20-50-იან წლებში**

აფხაზური და ოსური ენების განვითარებაში მეოცე საუკუნის 20-50-იანი წლები მრავალმხრივად მნიშვნელოვანია როგორც ენათმეცნიერული, პოლიტიკური, იდეოლოგიური, ისე პედაგოგიური კუთხით. როგორც ცნობილია, ამ პერიოდში აფხაზური და ოსური ენები სხვადასხვა ენის დამწერლობების გამოყენებით ვითარდებოდა.

კერძოდ, აღსანიშნავია, რომ აფხაზური და ოსური ენები მეოცე საუკუნის დასაწყისიდან რუსული გრაფიკის საფუძველზე ვითარდებოდა. 1923 წლიდან ოსური ენა, ხოლო 1926 წლიდან აფხაზური ენა ლათინური ანბანის საფუძველზე იწყებს განვითარებას, აღნიშნული მოვლენა დაკავშირებულია ნიკო მარის სახელთან. 1938 წლიდან ანბანი ორივე ენისათვის კვლავ შეიცვალა და ჩრდილოეთ ოსეთში ოსური ენის დამწერლობისათვის გამოიყენებოდა რუსული ანბანი, ხოლო სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში ოსური და აფხაზური ენების დამწერლობისათვის - ქართული ანბანი. 1954 წელს კი სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში ქართულ ანბანს კვლავ რუსული ანბანი ჩაენაცვლა.

ნიკო მარის „იფეტური თეორიის“ საბჭოთა სივრცეში აღიარებამ ოსური და აფხაზური ანბანების პირველი ცვლილებები და ლათინიზაცია გამოიწვია. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ლათინურ ანბანს ემყარებოდა მე-20 საუკუნის 20-იანი წლებიდან ცენტრალური აზიის თურქულენოვანი ენების დამწერლობებიც.

ანზანების ცვლილება მტკიცენული და რთული საკითხია, რაც თავისებურად აისახა აფხაზური და ოსური ენების საგანმანათლებლო პროცესებზე, ასევე, ამ ენების ლიტერატურულ პროცესზე და მის განვითარებაზე. მოხსენებაში ვისაუბრებთ აღნიშნული საკითხების ფილოლოგიურ, პოლიტიკურ და პედაგოგიურ ასპექტებზე.

*ნონა პოპიაშვილი (ოსუ, საქართველო)*

## **მოდერატორთა მიერ გამოყენებული ლინგვისტური სტრატეგიები მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ონლაინკურსებზე**

ონლაინკურსების მზარდი პოპულარობა ზოგადად, და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ონლაინკურსების მომრავლება კონკრეტულად, განაპირობებს ონლაინკომუნიკაციების მიმართულებით კვლევის ინტენსივობას ბოლო ათწლეულის განმავლობაში. რა სტრატეგიებს იყენებენ ონლაინ ინსტრუქტორები მულტიკულტურული ონლაინკურსების მოდერირებისას რათა შეინარჩუნონ და წახალისონ მონაწილეთა ჩართულობა და ინტერაქცია კურსის მიმდინარეობისას? რა კონკრეტულ ხერხებს მიმართავენ ინტერპერსონალური დამაბულობის შესამცირებლად და ონლაინკომუნიკაციის დინამიკის შესანარჩუნებლად? როგორც ზოგიერთი მკვლევარი აღნიშნავს, კომპიუტერით მოდერირებულ კომუნიკაციაში არსებობს გარკვეული ბარიერები, რაც ხელს უშლის მონაწილეთა სოციალურ ინტერაქციას. მაგალითად, შესაძლოა კურსის მონაწილენი პირადად არ იცნობდნენ ერთმანეთს კურსის დაწყებამდე (მაღალი სოციალური დისტანცია). ამავდროულად, მნიშვნელოვანია კულტურული და ენობრივი განსხვავებები რა გავლენას ახდენს კურსის დინამიკაზე. ჩვენ მიზანს წარმოადგენდა, დაგვედგინა, როგორ ეხმარება თავაზიანობის სტრატეგიები სოციალური ურთიერთთანამშრომლობის ჩამოყალიბებაში სხვადასხვა კულტურის წარმომადგენელ მონაწილეებს. გამოვიკვლიეთ სოციალურ-ინტერპერსონალური ასინქრონული კომუნიკაციის ნიმუშები ერთი კონკრეტული ონლაინკურსის მასალაზე დაყრდნობით. კვლევის მეთოდად გამოყენებული იქნა დისკურსის ანალიზი. შევეცადეთ გაგვერკვია, როგორ მოახერხეს მონაწილეებმა

ერთმანეთთან ურთიერთობა ჯგუფური სამუშაოს შესრულებისას და, ასევე, როგორ დაამყარეს პირადი ურთიერთობები სოციალური ფორუმის პოსტების მეშვეობით. რა როლს თამაშობდა ამ კომუნიკაციაში მათი კულტურული თავისებურებები?

აღსანიშნავია, რომ შესწავლილი მონაცემების ფარგლებში მონაწილეებსა და ასევე მოდერატორსა და მონაწილეებს შორის კომუნიკაცია ჰარმონიულად მიმდინარეობდა. ჩვენ გამოვყავით და გავანალიზეთ მოდერატორის მიერ გამოყენებული თავაზიანობის სტრატეგიები და ასევე ის ლინგვისტური ხერხები (სოციალური ხასიათის სამეტყველო აქტები), რომელთაც მოდერატორი უმეტესად მიმართავდა მონაწილეთა ჩართულობის გასაზრდელად. ასევე, ის რამდენიმე ლინგვისტური სტრატეგია, რომელთაც მონაწილენი იყენებდნენ ერთმანეთთან კომუნიკაციის დროს.

ნაშრომში გაანალიზებულია ნიმუშები ონლაინმოდერატორთა მოსამზადებელი კურსიდან, რომელიც 10 კვირის განმავლობაში გრძელდებოდა და რომელშიც 15 მონაწილე იყო ჩართული 6 ქვეყნიდან. თითქმის მთელი კურსი მიმდინარეობდა ასინქრონიულ ფორმატში, ორი, სინქრონიულ რეჟიმში მიმდინარე ვიდეოკონფერენციის გამოკლებით. ვფიქრობთ, გამოკვეთილი და შესწავლილი სტრატეგიების ანალიზი დაეხმარებათ ონლაინ ინსტრუქტორებს მულტიკულტურული ონლაინკურსების მოდერირების პროცესში უკეთ გადასცენ ცოდნა მონაწილეებს, რაც გაზრდის ონლაინ კურსების ეფექტიანობას.

*ფატი რამიშვილი, რუსუდან გერსამია, (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი)*

### **ინტერკულტურული კომპეტენციის განვითარება ქართულის, როგორც მეორე ენის/უცხო ენის, სახელმძღვანელოებში**

ენა სოციუმის არსებობის განმსაზღვრელი კომპონენტია და კულტურის ფენომენს წარმოადგენს. საკომუნიკაციო, ექსპრესიული და მაკონსტრუირებელი ფუნქციებთან ერთად, მეოთხე, *მაკუმულირებელი ფუნქცია* სწორედ ეროვნული კულტურისა და კაცობრიობის მიერ შექმნილ ცივილიზაციათა ყველა მონაპოვრის ენაში დაუნჯებას

გულისხმობს, ვინაიდან სწორედ ენის საშუალებით ხდება ამა თუ იმ სოციუმის, ერის მსოფლხედვის, სამყაროს ხატისა და კოგნიტური სურათების რეპრეზენტირება. ამიტომაც, ცხადია, ენის სწავლების უმთავრეს მიზანს ენობრივ-კულტურული კომპეტენციის განვითარება უნდა წარმოადგენდეს. მაგრამ საინტერესოა, როგორ ხდება ქართულის, როგორც მეორე / უცხო ენის სასწავლო სახელმძღვანელოებში ინტერკულტურული კომპეტენციის განვითარება? რა სავარჯიშოები და დავალებათა ტიპები არის წარმოდგენილი ამისთვის? რამდენად ითვალისწინებს ქართულის, როგორც მეორე/უცხო ენის სასწავლო სახელმძღვანელოები, აფექტური სასწავლო მიზნების განვითარებას?

მოცემულ კითხვებზე პასუხის გასაცემად მოხსენებაში:

- ✓ მიმოვიხილავთ კულტურის მრავალგანზომილებიან მოდელს;
- ✓ წარმოვადგენთ სახელმძღვანელოთა ანალიზის ინტერკულტურულ სწავლებაზე ფოკუსირებულ კრიტერიუმებს:
  - რა თემებია წარმოდგენილი სახელმძღვანელოებში და სცდება თუ არა ისინი ფაქტობრივი ქვეყანათმცოდნეობის საკითხებს;
  - არის თუ არა წარმოდგენილი იმგვარ დავალებათა ტიპები, რომლებიც ემსახურება პერსპექტივათა ცვლას;
  - რამდენად არის მოცემული იმგვარი დავალებები, რომლებიც მიზნად ისახავს საკუთარი კულტურისა და ღირებულებების ანალიზს/რეფლექსიას;
  - წარმოდგენილია თუ არა დავალებები, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია უცხო კულტურის წარმომადგენლებთან დიალოგში შესვლა.
- ✓ შინაარსის ანალიზის/კონტენტ ანალიზის მეთოდის გამოყენებით განისაზღვრება დავალებათა რომელი ტიპები უწყობს ხელს ქართულის, როგორც მეორე/უცხო ენის A დონის სახელმძღვანელოებში ინტერკულტურული კომპეტენციის განვითარებას;
- ✓ მოხსენების ფარგლებში გაიცემა ზოგადი რეკომენდაციები ინტერკულტურული კომპეტენციის განმავითარებელ დავალებებთან დაკავშირებით.

*ინგა სანიკიძე, (თსუ, საქართველო)*

## **მეორე ენის სწავლების ძირითადი მეთოდები და პრაქტიკული განხორციელების გზები [ახალშექმნილი პრაქტიკული სახელმძღვანელო „ქართული ენა – სამართალმცოდნეობა“]**

ენობრივი პოლიტიკის მართებული წარმართვა ყოველთვის არის ნებისმიერი ქვეყნის პრიორიტეტი, ამიტომ ჩვენი ქვეყნის თანამედროვე გამოწვევათა შორის აქტუალურ პრობლემად უმცირესობათა ინტეგრირების პრობლემა რჩება. სტრატეგიული მიზანი ე.წ. *გლოტოფაგიური* ხასიათის მოვლენათა (რაც დომინანტი ენის, ქართულის მიერ ქვეყანაში გავრცელებულ სხვა ენებზე ზეწოლასა და მათს შევიწროებას გულისხმობს) თავიდან აცილებაა.

ეთნიკურ უმცირესობებში სახელმწიფო ენის სწავლება მხოლოდ ურთიერთშეთანხმების შედეგად შეიძლება განხორციელდეს. ასეთ შემთხვევაში ერთ მხარეს - სხვადასხვა სოციალურ-ეთნიკური ჯგუფის თავისუფალი ნება და მეორე მხარეს - სახელმწიფო ვალდებულებები მოიაზრება. ფ. დე სოსიური შენიშნავს: „ენებს მეტწილად წერილობითი ფორმით ვიცნობთ“-ო (სოსიური 2002; 34) და, მართლაც, თვით მშობლიურ ენაშიც კი შემეცნების შუალედური რგოლი ძირითადად ის წერილობითი წყაროა, რომელსაც სხვაგვარად სახელმძღვანელოებს ვუწოდებთ. სწორედ ამ საბაზისო ცოდნით იწყება ენის პრაქტიკული და აქტიური გამოყენება, რომელიც საყოფაცხოვრებო, პრეფესიულ თუ სოციალურ-კულტურულ სფეროებში უნდა განხორციელდეს.

ენის სწავლება, თავისთავად, არ არის მარტივი პროცესი, ამიტომ სისტემურ მეთოდოლოგიურ მიდგომას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ენის კომუნიკაციური ფუნქციონირება ცალკეული ენობრივი ნიშნებით ხდება; ეს უკანასკნელნი კი საკუთარ თავში ლექსიკურ-გრამატიკული მოდელირების ქვესისტემებსა და მათი მართებული მიწოდების მეთოდებს მოიაზრებს. ენის სახელმძღვანელოს ოთხკომპონენტთან (1. ტექსტი [ლექსიკა]; 2. ტექსტის გააზრება, 3. მოსმენა, 4. წერა) საყრდენზე აგება შემსწავლელს მოტორული ეტაპისათვის ამზადებს და ფართო სოციალურ გარემოს უხსნის. ეს საერთაშორისო სტანდარტი მას ფსიქოფიზიოლოგიურ განწყობასაც უქმნის – შეიმეცნოს მეორე ენა, როგორც ამ ენაზე მოლაპარაკეთა ეთნოკულტურული მახასიათებელი. ჩვენ მიერ შედგენილ პრაქტიკულ სახელმძღვანელოში გათვალისწინებულია როგორც საერთო დიდაქტიკური, ისე – საკუთრივ

ლინგვისტური მეთოდები. სახელმძღვანელო ემსახურება იმას, რომ შემსწავლელმა სტუდენტმა (//მოსწავლემ) გამოიმუშაოს არაერთი უნარი, მათ შორის, უპირველესად, კომუნიკაციური და წერითი თუ ზეპირი პროდუქციების უნარები.

ჩვენ მიერ სახელმძღვანელოს („ქართული ენა – სამართალმცოდნეობა“ [ზღვრული დონე B1+]) შექმნისას ერთ-ერთი მთავარი მიზანი ქართული ენის სწავლების პროცესის გაიოლება იყო, თუმცა ისე, რომ მორფოლოგიურად მარკირებული კატეგორიები ყურადღების მიღმა არ დარჩენილიყო; ამიტომ გრამატიკული ფორმების მიწოდებისას გავითვალისწინეთ მხედველობითი მეხსიერების როლი და პორცელაციის საფუძველზე შექმნილ სპეციალურ „დაფებზე“ საგანგებოდ შერჩეული მასალა განვალაგეთ. ქართულის, როგორც აგლუტინაციური ენის, ურთულესი აგებულება შემსწავლელს ძირითადად კომუნიკაციური გრამატიკის დონეზე მიეწოდება. ქართული ენის სწავლება დარგობრივ (სამართალმცოდნეობით) კონტექსტშია გადატანილი და კურსის დამთავრების შემდგომ იზრდება არა მხოლოდ კომუნიკაციური, არამედ – დარგობრივი კომპეტენცია.

გავითვალისწინეთ აგრეთვე ეთნოკულტურული (ამ შემთხვევაში - ქართულენოვანი ეთნიკური ჯგუფის) ენობრივი ასპექტები და ყოველი სასწავლო თავის ბოლოს გამორჩეული ადგილი აქტიური გამოყენების ფრაზოლოგიურ შესიტყვებათა (მაგ., „ენა დაება“, „ხელი შეუწყო“ და მისთ.) შესწავლას დავუთმეთ. ასეთი ტიპის ფორმათა მიწოდება სამეტყველო აქტის შემდგომი მოდელირების პროცესს ეხმარება და კომუნიკაციურ კომპონენტს აძლიერებს. ეს და სხვა მრავალი მეთოდოლოგიურად გათვლილი ენობრივი სეგმენტი საფუძვლად უდევს ჩვენ მიერ შექმნილ ქართული ენის სახელმძღვანელოს, რომელშიც თავს იყრის ენის, როგორც პოლიფუნქციური კონცეპტის, არაერთი წახნაგი.

დარგობრივი სახელმძღვანელო „ქართული ენა - სამართალი“ სიახლეა ქართულ პედაგოგიკურ სივრცეში, ის ქმნის ძირითად ლინგვისტურ ბაზას და, იმავდროულად საქართველოში მცხოვრებ უმცირესობათა წარმომადგენლებს შემდგომი პროფესიული საქმიანობისაკენ უხსნის გზას.

**შენიშვნა:** მოხსენების ფარგლებში იგეგმება შედგენილი სახელმძღვანელოს პრეზენტირებაც.

რუსუდან სალინაძე (აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

## ზმნის პირთა მიმართების სწავლება არაქართულენოვანთათვის

ენის სწავლების საწყის ეტაპზე, როცა მთელი ყურადღება მიმართულია საკომუნიკაციო ფრაზების ათვისებისაკენ, განსაკუთრებულ მიდგომას საჭიროებს პრობლემა: რა დოზით უნდა მიეწოდოს ენის შემსწავლელს გრამატიკის თეორიული მასალა. ცალმხრივად, სხვადასხვა გარემოების გათვალისწინების გარეშე, საკითხი ვერ გადაწყდება. აუცილებელია მხედველობაში იქნეს მიღებული სუბიექტური და ობიექტური გარემოებანი. კერძოდ: ენის შემსწავლელის კატეგორია (შესასწავლი ენის ფლობის დონე, შესწავლის ხანგრძლივობა...) და ენის შესწავლის მოტივაცია. ყველა შემთხვევაში მიგვაჩნია, რომ საწყის ეტაპზე სწავლება მიმართული უნდა იყოს საკომუნიკაციო კომპეტენციის გაძლიერებისკენ, ანუ გრამატიკული მასალა უნდა მიეწოდოს იმ დოზით, რაც აუცილებელია პრაქტიკული კომუნიკაციისათვის. ეს შესაძლებელია აისახოს მზა სახით მიწოდებულ საკომუნიკაციო ფრაზებში, სავარჯიშოებში, სქემებში...

ერთ-ერთი რთული პრობლემა, რაც თავს იჩენს არაქართულენოვანთათვის ენის სწავლების პროცესში, არის ქართული ზმნის ნაირგვარ ფორმათა, განსაკუთრებით კი ზმნის პირთა რელაციის, ზმნის პირთა კომბინაციების, გაგება-გააზრება და კომუნიკაციაში გამოყენება. სრულიად განსხვავებული სისტემის ენის მატარებელ არაქართულენოვანს, ქართული ზმნის პოლიპერსონალიზმიდან გამომდინარე, უჭირს ზმნასთან შეწყობილი რამდენიმე პირის აღქმა, ზმნური ფორმით გამოხატვა და აზრის სათანადოდ გადმოცემა. მაგალითად, ენის შემსწავლელებმა შეიძლება თქვან: „წიგნი **მეგობართან** გაუგზავნეთ, თუ შეიძლება!“ ნაცვლად წინადადებისა: „წიგნი **მეგობარს** გაუგზავნეთ, თუ შეიძლება!“ ამ წინადადებაში პირთა მიმართება გამოხატულია **-თან** თანდებულისანი სახელის მეშვეობით, რაც დამახასიათებელია სხვა სისტემის (რუსული, თურქული...) ენებისათვის.

რა მეთოდს უნდა მივმართოთ სწავლების საწყის ეტაპზე იმისათვის, რომ ენის შემსწავლელს გავუადვილოთ ზმნის პირთა რელაციის გაგება. ვფიქრობთ, პირთა მიმართების გამომხატველი ზმნების შერჩევა უნდა მოხდეს მარტივი კომუნიკაციისათვის ისეთი აუცილებელი, აქტიური ფორმების მიხედვით, როგორცაა: **გაკეთება** (ცუკეთებ – მიკეთებს...), **დარეკვა** (გირეკავ-მირეკავ...)... ამ ზმნათა უკეთ ახსნისა და



გაგებინებისთვის შესაძლებელია მოვიშველიოთ თანდებულნი კონსტრუქციები: **მიკეთებს ის მე მას** (მიკეთებს დედა მე საჭმელს) = **აკეთებს ის მას ჩემთვის** (აკეთებს დედა ჩემთვის საჭმელს); **მირეკავს ის მე** (მირეკავს მეგობარი მე) = **რეკავს ის ჩემთან** (რეკავს მეგობარი ჩემთან)... შემდგომ შეიძლება შემოვიტანოთ საიქეთო-სააქეთო ორიენტაციის გამომხატველი ზმნები: **მიწერა-მოწერა** (ვწერ – მწერს...), **მიცემა-მოცემა** (ვაძლევ – მაძლევს...)... აგრეთვე: „მეტყველება წრის“ **ველაპარაკები – მელაპარაკება, ვეუბნები – მეუბნება...** მეშველზმნიანი **მიყვარხარ, ვუყვარვარ...** ეს ზმნები მხოლოდ ახლანდელი დროის ფორმით, ფრაზების საშუალებით უნდა მიეწოდოს ენის შემსწავლელს. მაგალითად: *მე მეგობარს ვურეკავ; დედა ყოველდღე მირეკავს...* ენის შემსწავლელი დიალოგებში, საკითხავ ტექსტებში... ზმნის პირთა კომბინაციების რამდენჯერმე გამოყენებისას, დაიმახსოვრებს ამგვარ ფორმებს, მომდევნო ეტაპზე კი ყურადღებას გაავამახვილებთ იმაზე, თუ ზმნის რომელი პირი რომელ პირთან ქმნის მიმართებას და ამას ვაჩვენებთ პირთა კომბინაციის სქემების სახით.

ზმნის ძირითადი დროების შესწავლის შემდეგ შეიძლება შემოვიტანოთ აქტიური გამოყენების ზმნის პირთა კომბინაციის ცხრილიც, რომელშიც ასახული იქნება მხოლოდ სამი ძირითადი დრო. ამგვარად, ენის სწავლების პროცესში ეტაპობრივად ენის ცოდნის დონეების მიხედვით არავერბალური და ვერბალური საშუალებებით ჯერ ვაძლევთ პირთა კომბინაციების სქემას, შემდეგ – მზა ფრაზებს აღსაქმელად და დასამახსოვრებლად, სწავლების ბოლო ეტაპზე, მოგვიანებით, ზმნათა ჯგუფების მიხედვით, ანუ გადავდივართ შედარებით სისტემურ სწავლებაზე, რაც გულისხმობს პირთა რელაციის გამომხატველ სხვადასხვა ტიპის ზმნათა შესწავლას ცხრილების საშუალებით.

მოხსენებაში უფრო ვრცლად იქნება წარმოდგენილი ის ვერბალური და არავერბალური საშუალებები, რაც ქართული ენის შემსწავლელებს გაუადვილებს ზმნის პირთა მიმართების გააზრებასა და კომუნიკაციაში გამოყენებას.

*ქეთევან სოფრომაძე (აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო)*

## **თარგმანის როლი უცხო ენის სწავლების პროცესში**

რუსული ენის, როგორც უცხო ენის, სწავლების თანამედროვე მეთოდიკა დიდ ყურადღებას უთმობს თარგმანის გამოყენების აუცილებლობასა და შესაძლებლობას რუსული ენის სწავლების პროცესში. საკითხმა თარგმანის გამოყენების შესახებ რუსული ენის სწავლებისას გამოიწვია კამათი, საწინააღმდეგო შეფასებები და საპირისპირო მოსაზრებები.

შეფასებები მერყეობს უკიდურესად დადებითსა და კატეგორიულად უარყოფითს შორის. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, განვსაზღვროთ, რა ადგილი შეუძლია დაიკავოს თარგმანმა რუსული ენის პრაქტიკულ კურსში.

ვფიქრობთ, „სასწავლო თარგმანი“ უნდა გამოეყოს „თარგმანის“ ზოგად კონცეფციას, ვინაიდან სასწავლო თარგმანი გამოიყენება მხოლოდ სასწავლო მიზნით, როგორც უცხო ენის სწავლების ერთ-ერთი ხერხი. სასწავლო თარგმანი უკავშირდება უცხო ენაზე მოცემული ტექსტის განმარტებას და მის გაგებას უცხო ენის შესწავლის პროცესში. ეს ხერხი გვეხმარება, ჩავწვდეთ შესასწავლი ენის საფუძვლებს, გავცნოთ თარგმანის მეთოდიკასა და ტექნიკას, გავაღრმავოთ ენის ცოდნა. სასწავლო თარგმანის გამოყენება სასწავლო-მეთოდური მიზნით გულისხმობს, მაგალითად, უცხო ენაზე მოცემული მასალის (ლექსიკური ერთეულების, გრამატიკული კონსტრუქციების და ა.შ.) სემანტიზაციას. ამდენად, სასწავლო თარგმანი უცხო ენის სწავლებისას გვეხმარება გადავწყვიტოთ ისეთი ამოცანები, როგორებიც არის უცხო ენის ცოდნის გამყარება და სისტემატიზაცია გრამატიკის, ლექსიკის, სინტაქსისა და სტილისტიკის სფეროში; მოსწავლეთა ენობრივი კომპეტენციის გაფართოება; მთარგმნელობითი საქმიანობის ძირითადი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება; თუმცა, ეს უკანასკნელი არ გულისხმობს მთარგმნელობითი საქმიანობის განვითარებას.

სასწავლო თარგმანი უნდა გამოვიყენოთ, როგორც ხერხი, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი გახდება მშობლიური ენიდან რუსულზე

გადატანის უნარ-ჩვევების გააზრება, კორექტირება და ავტომატიზაცია „ბილინგვას“ უნივერსალური შესაძლებლობების განვითარების გზით (როგორებიც არის დევერბალიზაცია, ტრანსფორმაცია, ერთი ენიდან მეორე ენაზე გადართვის უნარი). ამგვარ მიდგომას დადებითი შედეგი მოაქვს ენის სრულყოფილად დაუფლების თვალსაზრისით, რადგანაც ავტომატიზაციას მივყავართ შიგაენობრივი თარგმანის თანდათანობით შემცირებამდე.

შეიძლება ითქვას, რომ სასწავლო თარგმანი ეფექტურია, როგორც სწავლების დამატებითი საშუალება, რომელსაც თან ახლავს ერთენოვანი ენობრივი სავარჯიშოები და მეტყველების პრაქტიკა.

წინამდებარე თემის კვლევისას ჩვენ შევეცადეთ, პასუხი გავცვა რუსული ენის სწავლებისა და ზოგადად უცხო ენის სწავლების მეთოდიკაში წამოჭრილ შეკითხვაზე, რომელიც დღემდე იწვევს აზრთა სხვადასვაობას: რა ადგილი შეიძლება დაიკავოს თარგმანმა რუსული ენის პრაქტიკულ კურსში? სასწავლო თარგმანის გამოყენება აუცილებელი და შესაძლებელია ახალი ენის სწავლების პროცესში, ის ხელს უწყობს უცხო ენის დაუფლებას.

*თამარ სრესელი, ციკო ინაური (თსუ, საქართველო)*

### **ქართული კინო - ქართულის როგორც მეორე ენის შესასწავლად**

მოხსენებაში საუბარი იქნება კინოს საშუალებით ქართულის, როგორც მეორე ენის შესწავლის მეთოდზე. საქართველოში მცხოვრები უცხოენოვანი სტუდენტები, რომლებიც ენას A2 დონეზე მაინც ფლობენ, მას ბევრად უფრო სწრაფად, ხარისხიანად და ეფექტურად შეისწავლიან. მეთოდი მოიცავს: ყურების, მოსმენის, წერისა და საუბარის კომპონენტებს. აღნიშნული მეთოდი უცხოელ სტუდენტებს ენის შესწავლის გარდა, ქართულ გარემოში სწრაფ ადაპტირებაში ეხმარება, რის შედეგადაც ისინი უფრო თავისუფლად ურთიერთობენ სხვა სტუდენტებთან. კინოს, როგორც სასწავლო რესურსის გამოყენება, მსოფლიო პრაქტიკისათვის სიახლეს არ წარმოადგენს. ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში კინო უცხო ენის დაუფლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია (ე.წ. „ცელულოიდის ენები“). მაგალითად, გერმანიაში კინოს საშუალებით ენის შესწავლა ჩვეული პრაქტიკაა.

როგორც გოეთეს ინსტიტუტში აცხადებენ, ენის შემსწავლელი ეს პროგრამა არ ჩამორჩება მსოფლიოში აღიარებულ TestDaf-სადა DSD-ს. მათი აზრით, ენის შესწავლის ეს მეთოდოლოგია ბევრად უფრო სწრაფია და ეფექტური.

ჩვენს მიზანს, ცხადია არ წარმოადგენდა, რომელიმე ქვეყნის ან ინსტიტუტის გამოცდილების პირდაპირი გადმოღება. ეს პროექტი ჩვენს სამუშაო გამოცდილებაში გაჩნდა და თავისებური სახე მიიღო. ვინაიდან სამეტყველო ფუნქციები (მოსმენა/ლაპარაკი) შედარებით რთულად განსავითარებელ კომპეტენციებს წარმოადგენს, მივიჩნიეთ, რომ ამ თვალსაზრისით ქართულ კინოს დადებითი როლი შეეძლო ეთამაშა. კინოს საშუალებით სტუდენტებმა შეიძინეს არა მხოლოდ ენობრივ კომპეტენციები, არამედ გათვითცნობიერდნენ ხელოვნების ამ უმნიშვნელოვანეს მიმართულებაში, რომელმაც, ვფიქრობთ, მათი ინტელექტუალური და ენობრივი შესაძლებლობები გააფართოვა. პროექტის განხორციელებისათვის, რომელიც სწავლების ერთ სემესტრზეა გათვლილი, 15 ქართული ფილმი შეირჩა. ფილმის ჩვენებამდე სტუდენტები, ლექტორის დახმარებით, გარკვეულ ინფორმაციას იღებდნენ ფილმის ისტორიისა და სიუჟეტის შესახებ. ფილმებზე რეფლექსიის სახით დართულია განსხვავებული ტიპის ტექსტები: ინტერვიუ, ბლოგი, სტატია თუ რეცენზია, რომელიც სტუდენტების წარმოდგენებს ფილმებთან დაკავშირებულ თემატიკაზე მნიშვნელოვნად აფართოებს. ფილმის ჩვენების შემდეგ იმართება დისკუსია-საუბარი შესაბამის თემებზე, რომლის მოდერაციასაც ლექტორი საკუთარ თავზე იღებს

დისკუსიის დასრულების შემდეგ სტუდენტები ავსებენ სპეციალურად მომზადებულ ტესტებს. ყოველი ტესტი 20 საკითხს მოიცავს, რომელთაგან ნაწილი სავარაუდო პასუხებით გვხვდება, ნაწილი კი ღია ტიპის შეკითხვების სახითაა დასმული. ტესტი ამოწმებს სტუდენტის სხვადასხვა კოგნიტიურ უნარ-ჩვევას, როგორებიცაა: ცოდნა, გაგება, გამოყენება, ანალიზი, სინთეზი და შეფასება, რაც საერთო სწავლების ხარისხის სტრატეგიებში თავსდება.

*თამარ ტურძელაძე, (მარნეულის დიდი მულანლოს საჯარო სკოლა, საქართველო)*

## **სკოლის ეზო, როგორც სასწავლო გარემო და სასწავლო რესურსი (ლაპარაკის უნარ-ჩვევის განვითარებისათვის).**

მეორე ენის/უცხო ენის სწავლებისას, შესაბამისი ენობრივი გარემოს არარსებობის პირობებში, მთავარი გამოწვევა მოსწავლეთა სამიზნე ენაზე ალაპარაკებაა.

წინამდებარე მოხსენება წარმოადგენს კვლევას, რომლის მიზანია, მიმოვიხილოთ და კოლეგებს გავაცნოთ ჩვენი მცდელობები, დაგვერღვია ტრადიციული საგაკვეთილო ფორმატი, რათა მოსწავლეები გათავისუფლებულიყვნენ დადგენილი საგაკვეთილო ჩარჩოებისგან და შეგვექმნა მათთვის კარგი ატმოსფერო ალაპარაკებისთვის, ასევე, ავთენტურთან ძალიან მიახლოებული საკომუნიკაციო გარემო.

სკოლის ეზო არაჩვეულებრივი ადგილია, სადაც შეგვიძლია მოსწავლეებს ლექსიკა გავუმდიდროთ. ცნობილია, რომ შემსწავლელებს უადვილდებათ ისეთი ლექსიკური ერთეულების შესწავლა, რომელთა წარმოდგენაც შეუძლიათ ვიზუალურად, ასევე, რომლებიც ახლოს დგას მათ ემოციურ სამყაროსთან, სკოლის ეზოში კი თვალსაჩინოებები მზა სახით არის წარმოდგენილი, იქ ყველაფერი ნაცნობი და ახლობელია ჩვენი მოსწავლეებისთვის. გარდა ამისა, როგორც ცნობილია, მეორე/უცხო ენაზე ალაპარაკებას აფერხებს ფორმალური სასწავლო გარემო და მართული სასწავლო პროცესი, სკოლის ეზო კი ყველაზე ხელმისაწვდომი ადგილია, სადაც ბუნებრივად იქმნება არაფორმალური, უშუალო გარემო და სადაც შეგვიძლია მოვახდინოთ უმართავი სასწავლო პროცესის სიმულირება - ბუნებრივ, რეალურ საკომუნიკაციო სიტუაციასთან მაქსიმალურად მიახლოება, ასე რომ ლაპარაკის, როგორც მიზნობრივი უნარ-ჩვევის განვითარების მიზნით, საკმაოდ ეფექტიანია სკოლის ეზოს გამოყენება როგორც სასწავლო რესურსად, ასევე, სასწავლო გარემოდ.

როგორც ცნობილია, შემსწავლელთათვის საკომუნიკაციო კომპეტენციის გამომუშავებაში მნიშვნელოვანი ხელშემწყობი ფაქტორებია ემოცია და ჩართულობა. ნაშრომში გაგაცნობთ და გავაანალიზებთ ჩვენ მიერ მოფიქრებულ სახალისო აქტივობებს, რომლებმაც მოსწავლეებში მძაფრი ემოციები გამოიწვიეს და, შესაბამისად, ჩართულობა იყო მაქსიმალური.

ზემოაღნიშნული აქტივობები წარმოადგენს სხვადასხვა სახის თამაშებს - თამაშით ხდება ახალი ლექსიკის ათვისება; წინადადების კონსტრუირებაში გაწაფვა; მოსწავლეები თამაშობენ მათთვის კარგად ცნობილ თამაშს, რომელიც მცირედ მოდიფიცირებულია. მაგალითად, "დამალობანას" თამაშის დროს წინასწარ ვაძლევთ გარკვეულ ფრაზებს, რომლებიც აუცილებლად უნდა გამოიყენონ, ამგვარად, უწევთ თამაშის დროს ამა თუ იმ სიტუაციაზე სპონტანურად რეაგირება, ანუ ამ თამაშის დროს ხდება მოსწავლეების რეალურ საკომუნიკაციო სიტუაციაში ჩაყენება; მოსწავლეებს ვთავაზობთ ასევე სიტუაციურ თამაშებს, მაგალითად, მოსწავლე ირგებს გიდის როლს, რომელმაც თავის თანატოლ ქართულენოვან სტუმრებს უნდა გააცნოს სკოლის ეზოს „ღირსშესანიშნოებანი“. სიტუაციური თამაშების დროს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სხეულის ენის - ქესტიკულაციის, მიმიკის გამოყენებას, არტისტიზმს; ეზოში მოსწავლეები ასევე აკეთებენ პრეზენტაციას, მაგალითად, საუბრობენ წელიწადის დროებზე, სხვადასხვა სეზონზე აღწერენ გარემოს, აფიქსირებენ სეზონურ ცვლილებებს ბუნებაში, ამინდში.

იმისათვის, რომ შევძლოთ ექსპერიმენტის შედეგების გაანალიზება, სასურველია, ეს აქტივობები ვიდეოზე გადავიღოთ. ძირითადად, ვიყენებთ განმავითარებელ შეფასებას, რადგან ჩვენი მიზანია, ხელი შევუწყოთ მოსწავლეთა ალაპარაკებას - მოსწავლეებს წინასწარ ვაცნობთ აქტივობების შესაბამის რუბრიკებს და აქტივობის დასრულების შემდეგ, ამ რუბრიკების მიხედვით ვაკეთებთ კომენტარებს სიტყვიერად, თუმცა, სიტუაციური თამაშისა და პრეზენტაციის შეფასებისას ვიყენებთ განმსაზღვრელ შეფასებას.

*თეა ფეტელავა, (თსუ, საქართველო); ნინო აბრალავა (თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტი, საქართველო)*

### **გერმანულის როგორც მეორე უცხოური ენის სწავლა/სწავლების თანამედროვე ტენდენციები**

გლობალურ, მულტიკულტურულ და კროსკულტურულ სამყაროში უცხოური ენის თეორიულ და პრაქტიკულ დონეზე შესწავლა აუცილებელი წინაპირობაა ქვეყნებს შორის საერთაშორისო დიალოგის ეფექტურად წარმართვისათვის.

მსოფლიოს კომპიუტერიზაცია-ინტერნეტიზაცია, პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და პრაგმატული მოცემულობები, ასევე საკომუნიკაციო და სასწავლო მოთხოვნილებები, მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე აყენებს უცხოური ენების სწავლებითა და შესწავლით დაინტერესებულ პირებს.

მოხსენება ეხება გერმანული ენის სწავლა/სწავლების ტენდენციებს ტრადიციული და ინოვაციური მეთოდების გამოყენებით როგორც ინტერკულტურულ ასევე მულტიმოდალურ ჭრილში. კონსტრუქტივისტული მიდგომების საფუძველზე მოტივაციის შექმნა / ამაღლება, კომუნიკაციური, შესაბამისად, ინტერკულტურული კომპეტენციის განვითარება და მათი გამოყენება პრაგმატულ კონტექსტში - ნაშრომის მთავარი სადისკუსიო საკითხებია.

რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის საფუძველზე გამოვლენილი ექსპერიმენტული ჯგუფის შედეგების ინტერპრეტაცია, წარმატებული მაგალითების ჩვენება და ემპირიული ცოდნის გაზიარება გააუმჯობესებს ენობრივი პოლიტიკის მენეჯმენტს მეორე ენის სწავლა/სწავლების კონტექსტში.

*ნათია ფუტკარაძე (ენის ამერიკული ცენტრი, საქართველო)*

## **უცხოელთა მიერ ქართული ზმნის შესწავლისას დაშვებული შეცდომები ქართული ენის სწავლებისათვის**

ბოლო პერიოდში უფრო და უფრო ფართოვდება ქართული ენის შემსწავლელ უცხოელთა წრე; შესაბამისად, იზრდება მოთხოვნილება, ქართულის შემსწავლელთ მარტივად მიეწოდოთ ენის იმანენტური ბუნების ამსახველი ლოგიკური წესები შესაბამისი ტერმინოლოგიით.

ჩვენი მიზანია, შევისწავლოთ ქართული ზმნის სწავლებისას გამოვლენილი საინტერესო საკითხები და სტუდენტთა მიერ დაშვებული შეცდომების საფუძველზე დავადგინოთ აღნიშნული საკითხის სწავლების ძლიერი და სუსტი მხარეები.

წინამდებარე გამოკვლევა ეყრდნობა ჩვენ მიერ მოპოვებულ ემპირიულ მონაცემებს - 2013-2018 წწ. ინგლისურენოვან სტუდენტთა მიერ შესრულებულ საშინაო და საკლასო წერით დავალებებს; მასალის რაოდენობიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, კვლევის შედეგები არ არის

რეპრეზენტაციული. აუცილებელია უფრო მომცველობითი მონაცემების შეკრება სრული სურათის წარმოსაჩენად, რაც უკვე ჩვენი სამერმისო კვლევის მიზანია.

სახელმძღვანელოებში მითითებული გრამატიკული წესები ზოგ შემთხვევაში ნაკლებად არის გათვალისწინებული სხვა ენების მცოდნეთა ენობრივ კომპეტენციასა და შესაძლებლობებზე. ამ თვალსაზრისით საინტერესოა უცხოელთა წერით დავალებებში გამოვლენილი ლოგიკური შეცდომები; კერძოდ, მათი გათვალისწინებით გრამატიკული წესების კორექტირება და პრაქტიკულ სავარჯიშოთა შედგენა. მაგ., უცხოელ მოსწავლეთა მიერ აგებული ზმნური ფორმები ცხადყოფს, რომ უჭირთ ვინისა და მანის რიგის პირის ნიშანთა ფუნქციებში გარკვევა, რადგანაც (ტრადიციულ და პოპულარულ) სახელმძღვანელოთა უმრავლესობაში ისინი გრამატიკულ სუბიექტთან და გრამატიკულ ობიექტთან არიან იდენტიფიცირებულნი.

ვფიქრობთ, უფრო ლოგიკურია დატიური სუბიექტისა და ბრუნვაუცვლელი (სახელობითბრუნვიანი) აქტანტის ფუნქციების აღნიშვნა მანის რიგით მარკირებულ დატიური კონსტრუქციის სტატიკურ ზმნურ ფორმებში (*მიყვარს, მენატრები* და სხვ.).

ქართული ენის შესწავლისას უცხოელებს სერიოზულად აბრკოლებს ტერმინოლოგიური სიჭრელე, ქართულ მორფო-სინტაქსურ ცნებათა აღმნიშვნელი ტერმინების საკითხი თუ ერთი და იმავე აფიქსისათვის სხვადასხვა ფუნქციის მინიჭება; მაგ., სრულ დეზორიენტირებას იწვევს ერთი და იმავე ზმნური ხმოვანი პრეფიქსების სხვადასხვა გრამატიკული კატეგორიის ნიშნად მიჩნევა (ქცევის ნიშნად, გვარის ნიშნად, საზედაო სიტუაციის ნიშნად...).

უცხოელთა მიერ ქართულის შესწავლისას დაშვებული შეცდომების ანალიზის საფუძველზე მოხსენებაში წარმოდგენილი იქნება შედარებით იოლად აღსაქმელი წესები და შესაბამის პრაქტიკულ სავარჯიშოთა ნიმუშები.



*ნინო ფხაკაძე, ეკატერინე გაჩეჩილაძე (აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო)*

## **სოციოკულტურული კომპეტენციის განმავითარებელ კოგნიტურ სტრატეგიათა დინამიკა დისკურსულ დონეზე**

სოციოკულტურული კომპეტენცია ძირითადად მეორე ენის/უცხო ენის ათვისების მაღალ საფეხურზე ვლინდება და ადასტურებს ენის სრულყოფილი გამოყენების შესაძლებლობას. ამიტომ აღნიშნული კომპეტენციის განვითარება უმნიშვნელოვანესია. შესაბამისად, მეთოდური, თეორიული, პრაქტიკული თვალსაზრისით განსაკუთრებით საყურადღებოა სოციოკულტურული კომპეტენციის განმავითარებელ სტრატეგიათა განხილვა. ამჯერად შევხებით მხოლოდ კოგნიტურ სტრატეგიებს.

კოგნიტურ სტრატეგიებს განვიხილავთ სამიზნე ჯგუფებზე დაკვირვების შედეგების ანალიზის საფუძველზე.

მიგვაჩნია, რომ სოციოკულტურული კომპეტენცია ვითარდება დისკურსულ დონეზე. დაკვირვებამ აჩვენა, რომ ეს პროცესი თანამიმდევრულია, რაც დაკავშირებულია სტრატეგიათა რეალიზების დინამიკასთან. ჩვენი დაკვირვებით, დისკურსულ დონეზე ეს დინამიკა ვლინდება სხვადასხვა ტიპის ტექსტებში.

დაკვირვება განვახორციელეთ ორ ერთგვარი ენობრივი კომპეტენციის მქონე სამიზნე ჯგუფზე. საანალიზოდ ავიღეთ თხრობის, აღწერისა და ანალიზის ტიპის ტექსტები ერთგვარი თემატიკით. ერთ სამიზნე ჯგუფს მივაწოდეთ ყველა ტიპის ტექსტი, ხოლო მეორეს - მხოლოდ ანალიზის ტიპის ტექსტი. დავაკვირდით თითოეულ ჯგუფში კონკრეტული კონცეპტის აღქმის დონეს საფეხურებრივად, პროცესი დავასრულეთ დავალებით - ახალი ტექსტის შექმნა შეძენილი სოციოკულტურული კომპეტენციის გამოყენებით.

დადგინდა, რომ პირველ სამიზნე ჯგუფში, მეორესთან შედარებით, გაცილებით მაღალი ხარისხის იყო კონცეპტის აღქმის პროცესი, მისი გათავისების დონე, შესაბამისად - სოციოკულტურული კომპეტენცია.

ამდენად, კვლევამ დაადასტურა როგორც მეთოდის - კოგნიტურ სტრატეგიათა დინამიკურობის, ასევე კვლევა-რეალიზების დონის - დისკურსული დონის - შერჩევის უპირატესობა.

მიგვაჩნია, რომ ამ მეთოდით შესაძლებელია სოციოკულტურული კომპეტენციის განვითარება, რაც თავის მხრივ, დაკავშირებულია ენის სრულყოფილ ფლობასთან.

*ნინო ქამუშაძე (თსუ, საქართველო)*

### **დუალური მულტილინგვური განათლების მოდელის პილოტირება დაწყებითი საფეხურის კლასებში**

ბილინგვიზმი გულისხმობს ორი ან მეტი ენის მონაცვლეობით გამოყენებას. ბავშვი ადვილად გადაერთვება ერთი ენიდან მეორეზე. ენების მონაცვლეობა მას ხელს არ უშლის აზროვნებასა და ფიქრში. თუმცა, გარკვეულწილად, არსებობს საფრთხე იმისა, რომ ბილინგვიზმი დროთა განმავლობაში შეიცვალოს გარემოების მიხედვით: მაგალითად, შეძენილი ენა დომინანტი ენა გახდეს...

მრავალი კვლევა ჩატარებულა იმის შესახებ, თუ რა არის ბილინგვიზმი, როგორი შედეგები აქვს მას ზრდასრულ თუ მოზარდ ადამიანში, როგორ გავლენას ახდენს ბილინგვური განვითარება მოზარდზე (ზოგადად, ადამიანზე) და სხვ.

მოხსენებაში წარმოდგენილია ინფორმაცია იმ პრობლემების შესახებ, რომლებიც აქტუალურია საქართველოს სახელმწიფო სკოლების დაწყებით კლასებში მულტილინგვური / ბილინგვური განათლების მხრივ: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ 2009 წელს შეარჩია 40 არაქართულენოვანი სკოლა, სადაც უნდა განხორციელებულიყო მულტილინგვური სწავლების პილოტირება; ერთ-ერთი ამ სკოლათაგანი იყო სსიპ ქალაქ თბილისის 98-ე საჯარო სკოლა. მოხსენებაში შემოგთავაზებთ ჩვენ მიერ ამ სკოლაში ჩატარებული კვლევის შედეგებს: სპეციალური კითხვარების მემშვეობით, განხორციელდა სკოლის მოტივაციის, რესურსების, ბილინგვური სწავლების გამოცდილებისა და პირობების დადგენა. კვლევა ჩატარდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა

ფაკულტეტის მულტილინგვური განათლების საბაკალავრო პროგრამის სტუდენტების მიერ, 2016-2017 სასწავლო წელს.

მოხსენებაში აქცენტი გაკეთდება მულტილინგვური განათლების პროგრამის ეფექტურობის განმსაზღვრელ ფაქტორებზე; როგორც ყველა სხვა სახელმწიფოში, ასევე საქართველოშიც, ბილინგვური განათლების პროგრამების ფართოდ დანერგვას შეიძლება მოჰყვეს ეთნიკური უმცირესობების მხრიდან ნეგატიური დამოკიდებულება. მოხსენებაში შემოგთავაზებთ საქართველოში მოქმედი მულტილინგვური განათლების საპილოტე პროექტების განხორციელებისას წარმოჩენილ პრობლემებს და მათი გადაჭრის გზებს (რეკომენდაციებს).

ბილინგვური სწავლებისთვის სკოლებს არჩეული აქვთ სხვადასხვა პროგრამის ტიპები. 98-ე საჯარო სკოლას არჩეული აქვს დუალური განათლების პროგრამის ტიპი. მოხსენებაში გაეცნობით ამ პროგრამის ეფექტურობას კერძო სკოლის მაგალითზე, განვიხილავთ, თუ რას მოიცავს ზოგადად დუალური განათლების ტიპი და როგორ მიმდინარეობს პრაქტიკულად ამ პროგრამით სწავლება კონკრეტულ სკოლაში: რომელი საგნების სწავლება მიმდინარეობდა ორ ენაზე და რა შედეგები მიიღეს სკოლაში. კლასებში გაკვეთილებზე მიმდინარეობს რუსული და ქართული ენების მონაცვლეობა; პილოტირების საწყის ეტაპზე სკოლას ჰქონდა არჩეული მხოლოდ საქართველოს ისტორია და საქართველოს გეოგრაფია, რომელთა სწავლებაც მიმდინარეობდა მეორე (სახელმწიფო) ენაზე; მომდევნო წლებში სკოლამ თანდათან გაზარდა სახელმწიფო ენაზე მიმდინარე საგნობრივი გაკვეთილების რაოდენობა.

სწავლების პროცესში ძალიან მნიშვნელოვანია მასწავლებლის როლი; მოხსენებაში მოცემულია ინფორმაცია, თუ რა მდგომარეობაა ამ მხრივ 98-ე საჯარო სკოლაში. ცალკე კვლევის საკითხია მშობელთა და თემის ჩართულობა, რომელსაც სასწავლო პროცესში ყველა ბილინგვური სკოლისთვის დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს. კონკრეტული სკოლის მაგალითზე შევეცდებით, მოხსენებაში წარმოვადგინოთ, თუ როგორია მშობელთა ჩართულობა სასწავლო პროცესში, რა მიღწევები და რა პრობლემები იკვეთება ამ კუთხით.

*მანანა ქაჯაია (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თსუ, საქართველო)*

## **წერიტი და ზეპირი მეტყველების ენობრივ სავარჯიშოთა სიტუაციურობა და კომუნიკაციურობა**

ბილინგვური განათლება მნიშვნელოვანია სტუდენტთა სოციალური უნარების განვითარების თვალსაზრისით. ბილინგვალებს აქვთ ორ ენაში კომპეტენცია, რაც ხელს უწყობს სხვა ხალხის კულტურის მიმართ პატივისცემის დამკვიდრებას, ეს კი ჩამოყალიბებას იწყებს არა მხოლოდ სწავლების პროცესში, არამედ ერთმანეთთან ურთიერთობის დროსაც.

მგრძობელობის მხარდასაჭერად ვიყენებთ შემდეგ აქტივობებს:

- დისკუსია/დებატები – ინტერაქტიური სწავლების გავრცელებული მეთოდი;
- ინდუქციური მეთოდი;
- დედუქციური მეთოდი და პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (ახალი ცოდნის მიღებისა და საწყის ეტაპად კონკრეტული პრობლემის გამოყენება).

კვლევის მიზანია პროდუცირების (წერიტი მეტყველების) უნარების განვითარება; აუდიოტექსტის მოსმენის სტრატეგიების სწავლება და ჩაწერის უნარ-ჩვევების განვითარება; წერა-კარნახით სწავლა, ასევე - ზეპირი მეტყველებიდან გამომდინარე მიღებული ინფორმაციის კლასიფიკაციის, ფაქტების შეჯერების, განზოგადების, ანალიზის, კრიტიკული აზროვნების, არგუმენტტირებისა და დასკვნების გაკეთების უნარი.

კომუნიკაციის უნარის განვითარებაში, ზოგადი და ლინგვისტური განვითარების დონისთვის საჭიროა შესაბამისი სავარჯიშოების შერჩევა.

სამეტყველო სავარჯიშოების შესრულების დროს უაღრესად მნიშვნელოვანია მიღწევადი მიზნების დასახვა და მოსალოდნელი შედეგების რეალისტური შეფასება. სავარჯიშოები ისე უნდა იყოს შერჩეული, რომ სტუდენტს შესაბამისი შემეცნებითი მასალა მიეწოდოს.

აუცილებელია სავარჯიშოთა სიტუაციურობა და კომუნიკაციურობა.

ლინგვისტური და ფსიქოლოგიური საფუძვლების განხილვის შედეგად შესაძლებელია ფონეტიკური და გრამატიკული ინტერფერენციის თავიდან არიდება და აღმოფხვრა, სამუშაო სისტემის აგებისათვის მთავარი პრინციპების ფორმულირება.

შეცდომების გამომჟღავნება ენის სწავლების მეთოდოლოგიაში „სუსტ ადგილებს“ წარმოაჩენს შეცდომა კი არის ერთ–ერთი უმთავრესი იარაღი სწორი ნორმალური მეტყველების ფუნქციონირებისა, შინაგანი მეტყველების ჩამოყალიბებისა.

მასალა უნდა შეირჩეს, ისე, რომ დაეხმაროს სტუდენტს შეცდომების დაშვების დასაძლევად და გამართული წერის უნარის გამოსამუშავებლად.

წერითი და ზეპირი მეტყველების განვითარების პირველ ეტაპზე მიწოდებული სავარჯიშოების მიზანი უნდა იყოს ფონეტიკური ინტერფერენციის მოხსნა და მომზადებული ზეპირი და წერითი მეტყველების ორთოგრაფიული უნარის გამომუშავება.

მეორე ეტაპზე გრამატიკული ინტერფერენციის დაძლევა, ფონეტიკური და გრამატიკული მოვლენების დამახსოვრება და ნახევრად მომზადებული ზეპირი და წერითი მეტყველების გამომუშავება.

მესამე ეტაპზე – სავარჯიშოები უნდა იყოს ორიენტირებული შესწავლილი ფონეტიკური და გრამატიკული მოვლენების თავისუფლად გამოყენებისა და წერითი და ზეპირმეტყველებაში ჩართვის განვითარებაზე.

აუცილებელია ორთოგრაფიული უნარის კორექტირებაც. საჭიროა რბილი თანხმოვნების წარმოთქმა; სიტყვათა წყვილების გამოყოფა, არსებითი და ზედსართავი სახელების დამახსოვრება. ყურადღება უნდა გამახვილდეს მოთხრობით ბრუნვაზე და ა. შ.

*ჭაბუკი ქირია, ელისაბედ მაჩიტაძე (თსუ, საქართველო)*

### **მომავალი დროის ფორმათა სწავლების საკითხი არაქართულენოვან კონტინგენტთან მუშაობისას**

ჩვეულებრივ, მყოფადის წრის ნაკვეთებისთვის ამოსავალია აწმყო სათანადო ფორმები; ზმნისწინდართული აწმყო მყოფადია. დღეს მყოფადის ნაკვეთის სისტემური წარმოება მორფოლოგიური საშუალებებით შეუძლებელია ზმნისწინის გარეშე. ზმნათა უმრავლესობაში აწმყოსა და მყოფადის წრის ნაკვეთთა დაპირისპირება მხოლოდ ზმნისწინის საშუალებით ხდება. ფორმათა მყოფადი სხვა საშუალებით არ იწარმოება.

ზმნათა უმრავლესობისთვის ეს არის ახალი ფუნქციის (მომავალი დროის გამოხატვის ფუნქციის) სისტემური გრამატიზაციის გზა.

საზოგადოდ, მომავალი დროის გადმოცემა ზმნის სხვადასხვა მწკრივის/ნაკვეთის საშუალებითაა შესაძლებელი (ამ მხრივ განსაკუთრებით კავშირებითის ფორმები გამოირჩევა). ამჯერად ჩვენი ყურადღების ცენტრშია მყოფადის ფორმები, რომელთაც ცალსახად მომავალი დროის გაგება აქვთ.

როგორ ვასწავლოთ არაქართულენოვანებს ეს ფორმები? რაზე გავაკეთოთ აქცენტი?

პირველ რიგში, ცხადია, საგანგებოდ ვმუშაობთ ზმნისწინების თემაზე (ზმნისწინი პოლიფუნქციური ელემენტია) და ყურადღებას ვამახვილებთ მათგან ფორმაწარმოების თვალსაზრისით განსაკუთრებით გამორჩეულებზე.

სათანადო კონტინგენტთან მუშაობისას ყურადღება უნდა მიექცეს ორ გარემოებას:

1. ცალკეა გამოსაყოფი მოძრაობის გამომხატველი ზმნები (მიდის, მიფრინავს, მიხტის...), რომელთაც საერთოდ არ შეუძლიათ მომავალი დროის ფორმათა წარმოება; ზმნისწინს აქ აბსოლუტურად სხვა ფუნქცია აკისრია - მიმართული გეზის მარკირება.

2. ზმნისწინის ფუნქციით შეიძლება შეგვხვდეს ი- პრეფიქსი: ვახშობს - ივახშობს, სადილობს - ისადილებს, წვიმს - იწვიმებს, თოვს - ითოვებს, ზმნისწინი და ი- პრეფიქსი გრამატიკულ-ფუნქციური თვალსაზრისით ამ შემთხვევაში აბსოლუტურად ერთია.

*ირმა ქურდაძე (სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო)*

### **კულტურათა დიალოგების გამოყენება - მეორე ენის სწავლებაში(სამცხე-ჯავახეთის რეგიონის მაგალითზე)**

სამცხე-ჯავახეთის რეგიონის სპეციფიკიდან გამომდინარე - მულტიკულტურული გარემოს პირობებში, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედ საბაკალავრო და მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებში წამყვან ადგილს იკავებს კურსი - საბუნებისმეტყველო/ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სწავლების დიდაქტიკა.

ასევე, ცალკე დისციპლინად ისწავლება მეორე ენის სწავლების მეთოდიკა.

ამ კურსების სწავლება განპირობებულია იმით, რომ ენის გამოყენების სფეროები მულტიკულტურული გარემოს პირობებში ერთ-ერთი ყველაზე ფართო სფეროა. შესაბამისად, მეორე ენა, მისი სწავლების მიდგომები - მულტიკულტურული განათლების კონტექსტში საკმაოდ ფართოდ უქმდება საბუნებისმეტყველო/კუმანიტარულ მეცნიერებათა სწავლებისას სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

კურსის - მეორე ენის სწავლება/სწავლის მიმართულება მოიცავს „კულტურათა დიალოგის“ მისალწვევ კომპეტენციებს, სასწავლო პროცესის მართვის მიდგომებს, სტუდენტთა ცოდნის შეფასებისა და თვითშეფასების პროცედურებს, დასაქმებისათვის მზაობის ხარისხის ამაღლებას და ამ კუთხით ახალი მიდგომების დახვეწა/ანალიზს.

მომავალი მასწავლებლის მომზადების პროცესში მისი ეფექტური საქმიანობის უზრუნველსაყოფად უნდა მოხდეს უმაღლესი სკოლის პროფესორ/მასწავლებელთა თვითეფექტურობის ამაღლების გზებისა და საშუალებების განმსაზღვრელი მასალებით უზრუნველყოფა.

რამდენად ითვლება ენის სწავლების შემავსებელ ნაწილად კულტურის სწავლება?

ლინგვისტები და ანთროპოლოგები დიდი ხანია აღიარებენ, რომ ენის ფორმები და მათი გამოყენება ასახავს იმ საზოგადოების ღირებულებებს, რომელ ენაზეც ეს საზოგადოება საუბრობს.

მიჩნეულია, რომ სასარგებლოა კულტურული თავისებურებების ჩართვა განხილვებისა და დისკუსიების სახით ლინგვისტურ ფორმებთან ერთად, რათა ლინგვისტურად სწორი ფორმა, კულტურულად შესაბამისი იყოს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მასწავლებლების მომზადებისას, ძირითადი აქცენტების გაკეთებისას, უნდა გავიდეთ სოციალურ ინტეგრაციაზე კულტურათა კონტექსტით - სხვადასხვა ეთნიკურ უმცირესობებთან.

საკითხის შესწავლის პროცესში კვლევის მეთოდოლოგიაში გამოიკვეთა პრაქტიკის კომპონენტი, მაგალითად მეორე ენის შესწავლისას ჩაშენებული პრაქტიკის პერიოდში სტუდენტებმა მოაწყეს საინტერესო ღონისძიება - კულტურათშორისი დიალოგები და, ამის საფუძველზე, მოაწყვეს ახალი წლის რიტუალები მრავალეთნიკურ სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის.

სტუდენტებმა წარმოადგინეს სომხების, უკრაინელების, ებრაელების, პოლონელების, თურქების მიერ ახალი წლის მილოცვის ტრადიციები, ისინი ესაუბრებოდნენ ერთმანეთს თავიანთი ტრადიციების ენით...ყოველი ჯგუფი ცდილობდა ხალხური, ტრადიციული ცეკვებითა და სიმღერებით, სუფრის განსხვავებული ატრიბუტიკით, განსხვავებული კულტურით წარედგინა საკუთარი თავი.

ლონისძიების ეფექტურობაზე მსჯელობა შეგვიძლია ლონისძიებაში მონაწილე სტუდენტების გამოკითხვებით. გამოკითხული 23 სტუდენტი ერთხმად აცხადებს, რომ ერთი ლონისძიების ფარგლებში ჩატარებულმა კულტურათმშორისმა დიალოგმა დიდი გამოცდილება შესძინა მათ.

ასეთი სწავლებისას წინა პლანზე გადმოდის პრაქტიკული სწავლების კომპონენტი/საგნებში ჩაშენებული პედაგოგიური პრაქტიკის სხვადასხვა აქტივობა - არაფორმალური ურთიერთობები, ექსკურსიები.

ამკარად ჩანს, რომ ამ დროს მიღებული ცოდნა სტუდენტებს ძალზედ უადვილებს ურთიერთობას სხვადასხვა სოციუმთან, ხელს უწყობს მათ ინტეგრაციას.

შესაბამისად, მივდივართ დასკვნამდე, რომ ინტერკულტურული სწავლებისას მთავარია არა ინფორმაციის ცოდნა სხვა კულტურის შესახებ, არამედ იმისი ცოდნა, როგორ ჩაერთო ამ კულტურაში საჭიროების შემთხვევაში, როგორ წარმართო საუბარი და საქმიანობა კულტურულ კონტექსტში.

*რამაზ ქურდაძე (თსუ, საქართველო)*

### **არავინა, დღესა, ზეგა ტიპის გავრცობილი ფორმების შესახებ ქართულის როგორც მეორე/უცხო ენის სწავლების დროს**

არაქართველებისა და უცხოელების მიერ ქართული ენის შესწავლის დროს მრავალი სირთულე იჩენს თავს. ერთ-ერთი მათგანია ერთი ტიპის სახელებთან და მორფოლოგიურ ელემენტებთან ხმოვანი -ა-ს გაჩენა „ყოფნა“ ზმნის მხოლობითი რიცხვის აწმყოს მესამე პირის შემოკლებული ფორმისა და -ც ნაწილაკის დართვის დროს: *არავინ არის* → *არავინ-ა-ა*, *არავინ* → *არავინ-ა-ც*.

ასეთი ვითარება შემდეგ მეტყველების ნაწილებსა და მორფოლოგიურ ელემენტებთან გვაქვს: ზოგიერთ ჩენებით ნაცვალსახელთან: *ეგაა, ესაა, ისაა*; ზოგიერთ უარყოფით ნაცვალსახელსა თუ სიტყვასთან: *არაა, ვერაა*,



*ვერავინაა, ნურავინაა;* ზოგ კითხვით ნაცვალსახელთან თუ ზმნიზედასთან: *არსადაა, აქაა, დღესაა, ვერსადაა, ვინაა, ზეგაა, იქაა, მაზეგაა, მანდაა, როდისაა, სადაა, ხვალიაა* და სხვ.; ზოგ ბრუნვის ნიშანთან: *-ის, -ით, -ად: სახლი-ისაა, სახლ-ითაა, სახლ-ადაა;* ზოგიერთ თანდებულთან: *-თან, -ვით, -კენ: სახლ-თანაა, სახლი-ვითაა, სახლსა-ვითაა, სახლის-კენაა* და სხვ.

ამ ხმოვანს არანაირი გრამატიკული ფუნქცია არ აქვს. ვისთვისაც ქართული მშობლიური ენაა, ისინი ენის ბუნებრივი ცოდნის გამო თავისუფლად, ბუნებრივად, იყენებენ ამ ფორმებს, ხოლო არაქართველ და უცხოელ სტუდენტთათვის ზემოაღნიშნულ ფორმებთან „ყოფნა“ ზმნის მხოლოდითი რიცხვის აწმყოს მესამე პირის ფორმის შემოკლება და -ც ნაწილიკის დართვა დაბრკოლებას ქმნის.

ასეთ შემთხვევაში ქართული ენის შემსწავლელ არაქართველ და უცხოელ სტუდენტებს ვამღევეთ ზოგად წესს, რომლის მიხედვითაც *თანხმოვანზე გათავებულ ზოგიერთ კითხვით სიტყვასთან, ნაცვალსახელთან, ზმნიზედასთან და გარკვეულ მორფოლოგიურ ელემენტებთან (ბრუნვის ნიშნები, თანდებულები) „ყოფნა“ ზმნის მხოლოდითი რიცხვის აწმყოს მესამე პირის შემოკლებული ფორმისა და -ც ნაწილაკის დართვის დროს გაჩნდება -ა- ხმოვანი (შევნიშნავთ, რომ ვინ ნაცვალსახელი -ც ნაწილაკის დართვისას დღეს -ა-ს გარეშე გვხვდება: ვინც; ეგ, ეს, ის ნაცვალსახელები კი -ე-, -ი- ხმოვნებს იჩენენ: ეგეც, ესეც, ისიც).*

ბუნებრივია, ამ წესთან ერთად შესაბამისი ფორმების სწავლების დროს სათანადო პრაქტიკულ მეცადინეობასაც მივმართავთ.

მაგრამ, ჩვენი აზრით, ზემოაღნიშნულ ფორმათა უკეთ სწავლებისათვის მნიშვნელოვანია ისიც, თუ როგორაა წარმოდგენილი ეს სიტყვები და მორფოლოგიური ელემენტები ქართული ენის იმ სახელმძღვანელოთა ლექსიკონებში, რომლებიც არაქართველ და უცხოელ შემსწავლელთათვისაა განკუთვნილი. საყურადღებოა, რომ თვით ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ზეგიერთი ზემოაღნიშნული სიტყვისა და მორფოლოგიური ელემენტისათვის პარალელური ფორმებია წარმოდგენილი: *ეს, ესა; ის, ისა; მაშინ, მაშინა, -ვით, -ვითა* და სხვ.

ბუნებრივია, ზემოაღნიშნულ სიტყვათა და მორფოლოგიურ ელემენტთა სალექსიკონო ფორმებშიც თუ აისახება ეს -ა- ხმოვანი, ეს კიდევ უფრო დაეხმარება უცხოელებს აღნიშნული სიტყვებისა და

ფორმების სრულად დამახსოვრებაში და ზემოაღნიშნული წესის გათვალისწინების შემთხვევაში დაძლეული იქნება ის სირთულე, რაზეც მოხსენებაშია საუბარი.

თუმცა ჩვენ სასწავლო სახელმძღვანელოთა ლექსიკონებში არ მგვაჩნია საჭიროდ ზემოთ მოყვანილი ყველა სიტყვისა თუ მორფოლოგიური ელემენტისათვის ორი, პარალელური ფორმის შეტანა, მით უმეტეს, რომ ზოგიერთი მათგანის გავრცობილ ფორმას დიალექტური ელფერი აქვს, მაგ.: *არავინა*.

ჩვენი აზრით, კარგი იქნება, თუ არაქართველთათვის და უცხოელთათვის სასწავლო მასალებში და მათზე დართულ ლექსიკონებში ეს სიტყვები და მორფოლოგიური ელემენტები წარმოდგენილი იქნება გავრცობილი, ხმოვნისანი ფორმით; ოღონდ ხმოვანი ფრჩხილებში უნდა იყოს ჩასმული, რაც იმის მაჩვენებელია, რომ სავრცობი ხმოვნისანი ვარიანტის გამოყენება ზემოთ წარმოდგენილი წესით გათვალისწინებული პირობების დროსაა საჭირო:

*-ად(ა); არ(ა), არსად(ა), აქ(ა), დღეს(ა), ვერ(ა), ვერავინ(ა), ვერსად(ა), -ვით(ა), ვინ(ა), ზეგ(ა), -თან(ა), -ით(ა), -ის(ა), იქ(ა), -კენ(ა), მაზეგ(ა), მანდ(ა), ნურავინ(ა), როდის(ა), სად(ა), ხვალ(ა) და სხვ.*

ხოლო *ეგ, ეს, ის* ნაცვალსახელები კი წარმოდგენილი იქნება ორგვარი სახით, რადგანაც მათ -ც ნაწილაკის დართვისას *-ე,- ი-* ხმოვნისანი ფორმებიც აქვთ: *ეგ(ა) // ეგ(ე), ეს(ა) // ეს(ე), ის(ა) // ის(ი).*

*ნანა შავთვალაძე (საქართველოს უნივერსიტეტი, საქართველო)*

### **დარწმუნების ხელოვნება მულტიკულტურულ სივრცეში**

ქართულის, როგორც უცხო ენის, სწავლებისას გრამატიკისა და ლექსიკის გარდა, ისეთი საკითხები იჩენს თავს, რომლებიც ქართული მენტალობისა და ცნობიერების განმსაზღვრელია. ენა, როგორც ერისა და ეროვნული თვითშეგნების წარმომჩენი, ყველა საკითხისადმი მიდგომას ნათელს ჰფენს. აქტიური და არსებითი ცხოვრებით, როცა იმავე სამყაროს თანამონაწილე ხარ, წარმოუდგენლად რთულია ენის დიფერენცირება, ქმედებების განსაზღვრა და კრიტიკულად მიდგომა. თითოეული ადამიანი თავისი კულტურული მენტალობის წარმომადგენელია, ენობრივი საშუალებები კი -მისი გამომვლენელი.

სამყაროს სახეცვლილება და გლობალიზაციის პროცესი გავლენას ახდენს ერებსა და თითოეულ კულტურულ წარმომადგენელზე. ადამიანი სახეა თავისი ქვეყნისა და გამოყენებული ენობრივი ფორმების საშუალებებისა. რა თქმა უნდა, სხვა ქვეყანაში გადასახლებული ხალხი იძენს ახალი ცხოვრების წესს და ეს კიდევ უფრო საინტერესოდ ავლენს ძველი და ახალი კულტურის თანაშერწყმის პროცესსა და შედეგს. გლობალიზაციისა და საზღვრების განშლისას უმეტესად ერთიანობის სურვილი იქმნება. საზოგადოებრივი ფენის წარმომადგენლის მიხედვით მიმბაძველობისა და მოდის დამკვიდრებისას, ადამიანთა მიდგომები ცხოვრების წესისადმი ერთმანეთს ემთხვევა. ანუ, ფასეულობები და ღირებულებები ერთია, განსხვავდება მხოლოდ კულტურული ხედვა.

კულტურული მიდგომა თითოეულ ერს განსხვავებული აქვს. სწორედ ესაა ეროვნული ნიშან-თვისებისა და თვითმყოფადობის გამომსახველობა. თუ ჩვენ ენაში რაიმე სიტყვა არ გვაქვს და ამას თარგმანისას აღმოვაჩინთ, ე.ი. არ დასჭირვებია ის ჩვენს წინაპარს, არ ყოფილა მისთვის აუცილებელი და არ შეუქმნია ის სიტყვა. ქართული ენა მუდამ ღიაა განვითარებისთვის, იღებს სიახლეებს და თაობის გამოწვევებს. მართალია, კალკი და ბარბარიზმი თანმდევი პროცესია, მაგრამ რა სიახლეც იქმნება, მას სახელი ერქმევა და ენა ან იღებს მას, ან თავის ლექსიკაში აცოცხლებს შესაბამისად.

კულტურული მენტალობის რუკის შექმნისას გათვალისწინებულია თაობათა ხედვა. ყოველი განვლილი ოცი წელი გავლენას ახდენს ერის განვითარებაზე, ხედვასა და მიდგომებზე. ცვლილება გარდაუვალი პროცესია, ტრადიცია სახეშეცვლილია, მკვიდრდება სიახლე და მიმბაძველობა, განსაკუთრებით ახალი თაობის წარმომადგენებთან. მამათა და შვილთა მენტალური ჭიდილი და ბრძოლა გრძელდება. ძველი თაობა უმეტესად უფრო დისტანციური, მორიდებული, უფროსისადმი განსაკუთრებული პატივისცემით გამოირჩეოდა, სხვა ენობრივ საშუალებებსაც იყენებდა. თანამედროვენი უმეტესად პოლილოგურ ფორმას ამჯობინებენ. თუმცა ეს ნიჭიერი თაობა განსაკუთრებულია და ერის გადარჩენისა და აღმავალი გზით განვითარების იმედიც სწორედ მათზეა: „ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასა“.

ამჟამად განსხვავება ძველი და ახალი თაობის მიდგომებს შორის, განსაკუთრებით, დარწმუნებასა და ლიდერობასთან დაკავშირებით. თანამედროვენი უფრო დარწმუნებულები არიან თავიანთ მომავალზე, ადრიდანვე იბრძვიან მიზნისთვის, თვითმუცნება მაღალი აქვთ და თითქმის ყოველი მეორე ახალგაზრდა თავს ლიდერად თვლის.

ყოველი ერის მენტალობისთვის განმსაზღვრელი უდიდესი ფაქტორი სხვადასხვაა. გეოპოლიტიკური მდგომარეობა განმაპირობებელია ერის მენტალობისა, მაგრამ უპირველესი თვისებრივი ფუნქცია ნაირგვარია. ქართველთა მენტალობის მედგარი საყრდენი კი ემოციაა. ემოცია, რომელიც განსაკუთრებულსა და საოცარს ხდის ქართულ თვითშეგნებას. ემოცია ყველა ქართველის მახასიათებელია, განურჩევლად თაობისა. ჩვენთვის საინტერესო იყო კულტურული რუკისთვის ახალგაზრდების აზრი დარწმუნებისა და ლიდერობის, ანუ, წარმართვის პროცესის შესახებ. ამიტომაც შევთავაზეთ შემდეგი გამოკითხვა:


გამოკითხვისას გამოყენებული იქნა:

- კვლევის მეთოდი - რაოდენობრივი კვლევა[
- კვლევის ტექნიკა - დასწრებული, ჯგუფური ანკეტირება[
- სამიზნე სეგმენტი - სტუდენტები[
- შერჩევის ფორმა - მოხერხებული შერჩევა[
- შერჩევის ზომა - ასი სტუდენტი - 1-ლი და მე-2 კურსელები.

SPSS-ის პროგრამის მიხედვით დათვლილია ახალგაზრდების მონაცემები:


1. შეკითხვა: იმისათვის, რომ სხვა დაარწმუნოთ, უპირველესად თქვენს პრინციპებს მიიჩნევთ თუ მოცემული მითითებებით ისარგებლებთ?

81% - პრინციპები უპირველესად; 19% - მითითების საფუძველზე.



2. შეკითხვა: როგორ ლიდერს აძლევთ უპირატესობას, თანასწორთ თუ იერარქიული ფორმის მიმდევართ?

აქ აზრი ზუსტად ორად იყოფა: 50% - თანასწორი; 50% - იერარქიული.



ქართული კულტურული რუკის შესაქმნელად წინ დიდი გზაა. რამდენიმე ცდის შემდეგ ეს ახალი ეტაპია. აშკარაა, რომ ქართველთათვის პრინციპები მნიშვნელოვანია და სულ მცირედით მაინც ზემოდან მითითებული, ანუ სხვისი რეკომენდაციით ვიღებთ გადაწყვეტილებას. სამწუხაროდ, ლიდერობის შესახებ შეკითხვის პასუხის პროცენტი ზუსტად შუაზე გაიყო, ზოგი თანასწორობას ამჯობინებს და ზოგი - იერარქიას. უაღრესად საინტერესო იქნება ენობრივი ლექსიკური საშუალებები, რომლებიც ამ ფუნქციის აღქმის დასამუშავებლად გამოიყენება.

*ნინო შარაშენიძე (თსუ, საქართველო)*

**ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლების საკითხები:  
განუსაზღვრელი ნაცვალსახელები (-მე და -ღაც ნაწილაკებით)**

ქართულში კითხვითი ნაცვალსახელებისაგან ნაწარმოები განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები მწყობრ სისტემას ქმნიან - თითოეულ კითხვით ნაცვალსახელს დაერთვის როგორც **-მე**, ისე **-ღაც** ნაწილაკი. ორივე ნაწილაკის დართვისას მიიღება ერთი ტიპის, დაახლოებით ერთი მნიშვნელობის მქონე ფორმები, რომლებშიც განუსაზღვრელობის სემანტიკაა მთავარი.

**-მე** და **-ღაც** ნაწილაკიანი ფორმები გარკვეულ სისტემას ქმნის. ამდენად, მათ შორის აბსოლუტური სინონიმია ვერ იქნება, რადგან ერთი და იმავე სემანტიკისათვის ენა ორგვარ წარმოებას არ დაამკვიდრებდა. მოსალოდნელია, რომ ამ ფორმებს შორის თუნდაც ნიუანსობრივი სემანტიკური სხვაობა იყოს.

ის სემანტიკური ნიუანსი, რომელიც სისტემურად განასხვავებს ამ ფორმებს, უნდა იყოს **ნაცნობი და უცნობი სიმრავლის** გამოკვეთა. განმსაზღვრელია **მთქმელი** და მისი ხედვა: **-მე** ნაწილაკიანი ფორმები **ნაცნობი სიმრავლის** გამოკვეთას ახდენს, ხოლო **-ღაც** ნაწილაკიანი ფორმებით აღინიშნება მთქმელისათვის **უცნობი სიმრავლე**.

(1) **სადმე წავიდეთ.** - ეს ფრაზა ნიშნავს, რომ ადგილი განუსაზღვრელია, დაუკონკრეტებელია, მაგრამ მთქმელისთვის ის მაინც წარმოადგენს ნაცნობ სიმრავლეს, ანუ გულისხმობს კონტროლს მთქმელის პოზიციიდან. შეიძლება ეს იყოს შემოსაზღვრული სიმრავლე (მაგალითად, გასართობი ადგილები, კვებისა თუ თავშეყრის ადგილები და ასე შემდეგ), ან სხვა მისთვის ნაცნობი ადგილი. ამ განუსაზღვრელი ადგილებიდან მთქმელი ერთ-ერთის შერჩევას გულისხმობს. ესაა განუსაზღვრელობა ნაცნობი სიმრავლის გამოკვეთით (ანუ +კონტროლი).

(2) **ნიკა სადაც წავიდა.** - ეს ფრაზა კი გულისხმობს, რომ ადგილი, სადაც წავიდა ობიექტი, მთქმელისთვის განუსაზღვრელია და ამასთანავე უცნობია, ანუ ის არის უცნობი სიმრავლის ნაწილი. ესაა **განუსაზღვრელობა უცნობი სიმრავლის გამოკვეთით** (ანუ -კონტროლი).

მოხსენებაში განხილული იქნება მსგავსი შემთხვევები და გაანალიზებულია ის მეთოდოლოგია, თუ როგორ უნდა დამუშავდეს აღნიშნული საკითხი მეორე ენის სწავლების სისტემაში და რა მეთოდებითა და სტრატეგიებით უნდა წარიმართოს კონკრეტული საკითხის სწავლება.

*ნინო ჩიტიშვილი (თსუ, საქართველო)*

## **ინგლისური ენის ზეპირი საკომუნიკაციო უნარების განვითარება საჯარო სკოლის საშუალო საფეხურზე**

ინგლისური ენის ზეპირი საკომუნიკაციო უნარების განვითარება საჯარო სკოლის საშუალო საფეხურზე დღეს ერთ-ერთი აქტუალური და პრობლემური საკითხია. მსოფლიოს უმეტეს ქვეყანაში ეს ფაქტი კარგად აქვთ გააზრებული და სახელმწიფო სტრუქტურებიც ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ ინგლისური ენის შესწავლას მოქალაქეებში

ბავშვობიდანვე რიგიანი საფუძველი ჩაუყარონ. არაერთი კვლევა არსებობს იმის თაობაზე, თუ რა მეთოდებით და სტილით ხდება უცხო ენის შესწავლა დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურზე და მოზრდილებშიც.

ჩემი ნაშრომის *მიზანია*, წარმოაჩინოს კვლევის ახალი შედეგები საჯარო სკოლის საშუალო საფეხურზე უცხო ენის სწავლების კუთხით და ყურადღება გაამახვილოს აბიტურიენტების სწავლების მეთოდებზე.

ჩემ მიერ შემუშავებული *ჰიპოთეზა* მდგომარეობს შემდეგში: საჯარო სკოლების საშუალო საფეხურზე, კერძოდ, დამამთავრებელ კლასებში, ინგლისური ენის მოძველებული მეთოდებით სწავლების გამო, არ ხდება ზეპირი საკომუნიკაციო უნარების სათანადოდ განვითარება. შესაბამისად, პირველ კურსელ სტუდენტებს აქვთ პრობლემები ენის პრაქტიკულ გამოყენებაში.

მოხსენებაში ყურადღებას გამახვილებულია ოთხ მთავარ საკითხზე:

- მოსწავლეების ინგლისური ენის ზეპირი საკომუნიკაციო უნარების დონის განსაზღვრა საშუალო განათლების დასრულების შემდეგ.
- ზეპირი საკომუნიკაციო კომპეტენციის დასაშვები მახასიათებლების დადგენა, რაც შეიძლება უკავშირდებოდეს მოსწავლეებში მიღწევის დონეს მასწავლებელთა გადმოსახედიდან.
- ზეპირი საკომუნიკაციო უნარების დასაშვები მახასიათებლების დადგენა, რაც შეიძლება უკავშირდებოდეს განვითარების მათ საკუთარ დონეს, მოსწავლეთა/აბიტურიენტთა გადმოსახედიდან.
- ფაქტორების გამოკვეთას, რასაც შესაძლოა მნიშვნელოვანი კავშირი ჰქონდეს მოსწავლეთა დაბალი ზეპირი საკომუნიკაციო კომპეტენციის დონესა და უცხო ენის სწავლა-სწავლების გარკვეულ მახასიათებლებთან.
- კვლევის პრობლემატიკის სიღრმიდან გამომდინარე, მოხსენება ისახავს შემდეგი *ამოცანების* გადაწყვეტას:
- პირველ და მეორე კურსელ სტუდენტებში ინგლისურ ენასთან დაკავშირებული პრობლემების გამოვლენას კითხვარის გზით, *ძიებითი* კვლევის ფარგლებში.
- აბიტურიენტებში ინგლისური ენის სწავლების მეთოდების და პროცესის შესწავლას *დაკვირვების* გზით (ხარვეზების ან წარმატების წარმოსაჩენად).

- საჯარო და კერძო სკოლებს შორის განსხვავებების გამოვლენას უცხო ენის სასაუბრო კომპეტენციის განვითარების კუთხით.
- საბოლოოდ, საგაკვეთილო პროცესებზე დაკვირვების შედეგად და მასწავლებელთა ინტერვიუს გზით გამოკითხვის შემდეგ, საჭირო რეკომენდაციების შეთავაზებას უცხო ენის მოქმედ მასწავლებელთათვის სალაპარაკო უნარის უკეთ სწავლებისა და პროფესიული ზრდის მიზნით.

**კვლევის პრაქტიკული და თეორიული ღირებულება** განისაზღვრება ჩემი შეთავაზებით გამოცდების ეროვნული ცენტრისადმი, რომ უცხო ენის გამოცდის მოსმენის და წერით ნაწილს დაემატოს სალაპარაკო ნაწილიც.

*დავით ჩოჩიშვილი (გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, საქართველო)*

### **ბილინგვური განათლება - როგორც არაქართულენოვანი სკოლების წარმატების ალტერნატივა**

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონებს ქართულ სახელმწიფოებრივ სივრცეში ინტეგრაცია ძალიან გაუჭირდა. ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი, რამაც ეს პროცესი კიდევ უფრო აშკარა გახადა, ენობრივი ბარიერი იყო. სახელმწიფო დაწესებულებებში ქართულ ენაზე დოკუმენტაციის წარმოებისა და კომუნიკაციის სავალდებულო შემოღებამ ენობრივი ბარიერი წარმოშვა. ეს პრობლემა იმიტომაც იყო კიდევ უფრო თვალსაჩინო, რომ ათწლეულების მანძილზე არაქართულენოვან სკოლებში ქართული ენის სწავლებას სათანადო ყურადღება არ ექცეოდა, რაც კურსდამთავრებულებისთვის ქართული ენის კომპეტენციების ნულოვან ფლობას განაპირობებდა და სახელმწიფოში ახალ მოთხოვნებთან შესაბამისობას ართულებდა. 2004 წლის სექტემბრიდან შვეიცარიულმა არასამთავრობო ორგანიზაცია „სიმერამ“ აქტიურად დაიწყო საქართველოში ენობრივი პოლიტიკის მიმართულებით მუშაობა. 2006-2008 წლებში „სიმერამ“ განახორციელა მულტილინგვური განათლების საპილოტე პროექტი საქართველოში. პროექტის მიზანი იყო, რომ მოსწავლეებს განათლება ერთდროულად ორ ენაზე-მშობლიურსა და სახელმწიფო ენაზე მიეღოთ, ზოგიერთ შემთხვევაში კი რუსულ ენაზეც. აღნიშნული მიდგომა ხელს შეუწყობდა, ერთი მხრივ, მოსწავლეების



კომპეტენციის ამაღლებას სახელმწიფო ენაში და მათ სამოქალაქო ინტეგრაციას და მეორე მხრივ, მშობლიურ ენაზე განათლების მიღების შესაძლებლობასა და საკუთარი იდენტობის შენარჩუნებასა და განვითარებას. 2007 წელს პროექტმა უკვე მოიცვა 12 საპილოტე სკოლა, რომლის მიზანს წარმოადგენდა საინფორმაციო/სასწავლო შეხვედრებს სკოლის დირექტორებისა და რესურსცენტრების ხელმძღვანელებისთვის, პროექტში ჩართული მასწავლებლების სწავლა/სწავლების უნარ-ჩვევების დახვეწას ინტერაქტიულ მეთოდებში და ახლად ჩართული პედაგოგებისთვის ტრენინგების სერიას, ევროსაბჭოს ევროპულ ენათა პორტფოლიოს საფუძველზე ქართული ენის პორტფოლიოს ვარიანტის შექმნას, ვიზუალური სასწავლო რესურსების შექმნას მრავალენოვანი სწავლებისთვის, 2009 წლის 31 მარტის ბრძანებით დამტკიცდა „მულტილინგვური განათლების პროგრამა“, რომლის შესაბამისად შეირჩა 40 არაქართულენოვანი სკოლა ბილინგვური პროგრამის პილოტირებისათვის. სკოლების ნაწილი შეირჩა სპონტანურად, მოტივაციისა და რისკების გათვლის გარეშე, რამაც გამოიწვია გამოყოფილი თანხის არაეფექტური მართვა და პროექტის მდგრადი განვითარების არარსებობა. მოხსენებაში განხილულია მოსწავლეთა შედეგების ანალიზი რამდენიმე საპილოტე სკოლის მაგალითზე, რომელიც შედარებულია იმავე პროფილის სხვა სკოლების მონაცემებთან. კვლევისა და შედეგების შედარებით აღმოჩნდა რომ:

- იმ სკოლებში, სადაც ბილინგვური სწავლება მიმდინარეობდა მოტივაციის მაღალი დონით, ჩართული იყო სკოლის დირექცია, მასწავლებლები და მშობლები, მოსწავლეებს გაცილებით მაღალი შედეგები ჰქონდათ სახელმწიფო ენის კომპეტენციების დაუფლებისას, რაც დადასტურდა კვოტირების სიტემით აბიტურიენტთა საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხვის დროს.
- მოსწავლეთა რაოდენობა გაიზარდა იმავე პროფილის სკოლებთან შედარებით, სადაც არ მიმდინარეობდა ბილინგვური სწავლება.
- მშობლებისთვის უფრო მისაღები იყო ბილინგვურ სკოლაში მიყვანათ შვილები, ვიდრე მიემართათ სწავლების სუბმერსიული ფორმისთვის.
- სკოლებში, სადაც მიმდინარეობდა ბილინგვური გაკვეთილები, უფრო ხშირად ტარდებოდა ინტეგრირებული გაკვეთილები, სხვადასხვა აქტივობები და მაღალი იყო მასწავლებლების თანამშრომლობის ხარისხი. ჩატარებული კვლევიდან გამომდინარე,

გთავაზობთ რეკომენდაციებს, რა შეიძლება გაკეთდეს საქართველოს არაქართულენოვან სკოლებში ხარისხიანი ბილინგვური სწავლების დანერგვისთვის?

- ბილინგვურ სწავლების პროგრამაში უნდა ჩაერთოს სკოლები, რომლებსაც გააჩნიათ მოტივაცია, როგორც სკოლის ადმინისტრაციის, პედაგოგიური კოლექტივისა და მოსწავლეთა მშობლების დონეზე, ასევე უნდა მოხდეს სწავლების ამ ფორმის პოპულარიზაცია თემის დონეზე.
- სასურველია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, არასამთავრობოების ჩართულობა სწავლების ფორმების, მასწავლებელთა კომპეტენციების ამაღლებისა და დონორი ორგანიზაციების თვალსაზრისით, რათა სკოლას ჰქონდეს სტიმული (მათ შორის ფინანსურიც), აქტიურად და ხარისხიანად განახორციელოს სწავლების ეს ფორმა.
- ხელმისაწვდომი გახდეს წარმატებული სკოლების გამოცდილება, რომლებსაც აქვთ სწავლების ეს მოდელი, ასევე ყველა ის რესურსი და რეკომენდაცია, რაც შემუშავდა ბილინგვური სწავლების აქტიურ ფაზაში.
- მოხდეს მულტილინგვური სწავლების პოპულარიზაცია სხვადასხვა ღონისძიებებისა და აქტივობების ჩატარებით, როგორც ლოკალურ, ასევე სახელმწიფოებრივ დონეზე.
- ბილინგვური განათლების ხელშეწყობისთვის გამოყენებული იქნეს იმ ქვეყნების გამოცდილება, სადაც ეს სწავლების ფორმა აქტიურად მუშაობს.

პროცესი განხორციელდეს საერთაშორისო ექსპერტების უშუალო ჩართულობით, რეკომენდაციებითა და მონიტორინგით.

*მარიამ ჩოხარაძე (ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო)*

## **ქართული ენის გაკვეთილები უცხოელთათვის და შეფასების ელექტრონული სისტემა**

ბოლო პერიოდში, სხვა ქვეყნებთან კულტურული, სამეცნიერო, ეკონომიკური ურთიერთობების გაძლიერების კვალობაზე, საგრძნობლად იმატა ქართული ენის შესწავლით დაინტერესებულ პირთა რაოდენობამ. შეიძლება ითქვას, რომ ქართულის, როგორც უცხოური ენის,

სწავლების სტრატეგიებზე მუშაობამ განსაკუთრებული მნიშვნელობა მას შემდეგ შეიძინა, რაც საქართველო ინტენსიურად ჩაერთო საერთაშორისო პროცესებში და, შესაბამისად, შეიქმნა ქართული ენის განხილვის საჭიროება ორი კონტექსტით: ქართული – საქართველოს სახელმწიფო ენა, ანუ შიდა მიმოქცევის ენა და ქართული – მსოფლიო მიმოქცევაში მყოფი ერთ-ერთი ენა. ამავე კონტექსტში უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ მრავალი უცხოელი ახალგაზრდა საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში იღებს განათლებას, ხოლო წარმატების საწინდარი შეიძლება იყოს მხოლოდ სწორად დაგეგმილი სასწავლო პროცესი და სწავლების თანამედროვე სტრატეგიები.

მეორე მხრივ, ჯერ კიდევ არსებობს პრობლემები ქართული ენის სწავლებისას ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში. წარმოდგენილ ნაშრომში განვიხილავთ სწორედ სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ ზოგიერთ სტრატეგიას, უფრო ზუსტად, ინოვაციებს შეფასების სისტემაში.

საკამათო არაა, რომ შეფასებას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სწავლების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში. როდესაც ვსაუბრობთ არაქართულენოვან ჯგუფებზე, „შეფასებაში“ ვგულისხმობთ ადამიანის მიერ ენის გამოყენების უნარის შეფასებას. უნდა გაიმიჯნოს შეთვისების შეფასება ენის ფლობის შეფასებისგან; შეთვისების შეფასება არის გარკვეულ დავალებათა შესრულების შეფასება ანუ იმის შეფასება, რაც ასწავლეს. ეს შეფასება ორიენტირებულია სასწავლო კურსზე. ენის ფლობის შეფასება კი ენის პრაქტიკული გამოყენების ჩვევების შეფასებაა. მასწავლებელმა უნდა იცოდეს, თუ რა, როდის, რატომ ან როგორ უნდა შეაფასოს. მასწავლებელი, პირველ რიგში, გეგმავს, თუ რა შედეგს (ან შედეგებს) სურს, რომ მიაღწიოს; შემდეგ გეგმავს, თუ როგორ შეაფასოს, აღწევს თუ არა იგი ამ შედეგს და ბოლოს, განსაზღვრავს იმ საშუალებებს, რომლითაც იგი ამ შედეგის მიღწევას შეეცდება. აქედან გამომდინარე, შეფასების როლი უმნიშვნელოვანესია. სწორედ იმიტომ, რომ მისი საშუალებით მასწავლებელი განსაზღვრავს და ადგენს იმ საშუალებებს, რითაც მან სასურველ შედეგს უნდა მიაღწიოს.

სიახლე, რომელსაც ნაშრომში ვეხებით, არის ბსუ-ს უწყვეტი განათლების ცენტრში ახლახან დანერგილი შეფასების ელექტრონულ პროგრამა, რომელიც, რა თქმა უნდა, აფასებს მოსწავლის კონკრეტულ ცოდნას, მაგრამ, ამავე დროს, ხელს უწყობს ლექსიკური მარაგის გამდიდრებას, გრამატიკული კატეგორიების ათვისებას, სწორი გამოთქმების დაუფლებას და ა.შ. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული სიახლის

მიმართ ბსუ-ს მიღმაც გაჩნდა ინტერესი: ჩვენ გვექონდა შესაძლებლობა, ტესტირების რეჟიმში გვემუშავა თბილისის, ქუთაისის, ასევე - რიზეს უნივერსიტეტების არაქართულენოვან სტუდენტებთან. შეფასების ელექტრონულ სისტემაში, ბუნებრივია, შეძლებისდაგვარად გათვალისწინებულია სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული თანმიმდევრობა ენის სწავლებისა, ანუ ტესტებისთვის გამოყენებული მასალა „მიბმულია“ სასწავლო კურსზე. სასურველი შედეგი მიიღწევა მხოლოდ სისტემატურობით, რაც ნიშნავს დაგეგმვის მკაცრ ლოგიკას, მასალის თანმიმდევრული წესრიგით განლაგებას, სადაც მომდევნო ემყარება წინამავალს და წინამავალი აუცილებლად მოითხოვს შემდეგს. თუ სწავლება-შეფასების დროს ეს პრინციპი დაირღვა, შესასწავლი მასალის ათვისება საგრძნობლად რთულდება და ზოგჯერ შეუძლებელიც ხდება. შესაბამისად, ყველა ტესტირება დაგეგმილია და მოიცავს კონკრეტულ მასალას. საკონტროლო ტესტის შეკითხვა წარმოდგენილია აუდიო ფაილის სახით ანუ შემსწავლელი ისმენს შეკითხვას და სავარაუდო პასუხებიდან ირჩევს სწორ პასუხს. გამოყენებული ტესტები პირობითად შეიძლება დავყოთ შემდეგ ჯგუფებად: ისმენს სიტყვას ქართულად და თარგმნის მშობლიურ ენაზე ან პირიქით. ისმენს ფრაზას ქართულად და თარგმნის მშობლიურ ენაზე ან პირიქით. ისმენს კითხვას ქართულად და პოულობს სავარაუდო პასუხებიდან სწორ პასუხს. ამგვარი მიდგომა საშუალებას გვაძლევს, გავიგოთ, რამდენად სწორად აღიქვამს მოსწავლე სიტყვას ან ფრაზას, შეუძლია თუ არა ადეკვატური ფორმის შერჩევა და ა. შ.

შეფასების მოცემული სისტემა ორიენტირებულია, უპირველესად, მოსმენის და გაგების უნარის განვითარებაზე. ენის შემსწავლელმა მოსმენილი ტექსტი შეიძლება სხვადასხვანაირად გაიგოს. მოსმენილი ტექსტის გაგება აქტიური, სუბიექტური პროცესია, რომელიც დამოკიდებულია პიროვნულ ფაქტორებზე, როგორცაა: მეორე ენის შესწავლის მოტივაცია, ტექსტის ტიპებისა და აგებულების (სტრუქტურის) ცოდნა, გაგების კომპეტენცია მშობლიურ ენაში, დამახსოვრების უნარი და სხვა.

მოსმენის და გაგების უნარის განსავითარებლად მნიშვნელოვანია სწავლების პროცესში სხვადასხვა კომპონენტის კომპლექსური ჩართვა, მაგრამ ძირითადი საკითხი, რომელსაც მასწავლებლის უწყვეტი კონტროლი სჭირდება, არის თემატიკა რომელსაც არჩევს არაქართულენოვანი ჯგუფებისთვის. იმის მიხედვით, სად გამოავლენს სისუსტეს მოსწავლე, რა უჭირს, რა არ ესმის საერთოდ, რა სიტუაციაში

ვერ ახერხებს ადეკვატურად თვითგამოხატვას, მასწავლებელმა უნდა შეარჩიოს, მოამზადოს და შესაბამისი მასალები, რაც პერმანენტულად აისახება ელექტრონული ტესტირებისთვის განსაზღვრულ მასალაში.

*ქეთევან ციმიჩია (თსუ, საქართველო)*

### **ენობრივი ვითარება მარნეულის რაიონში**

მარნეულის მუნიციპალიტეტი მოიცავს 18 ადმინისტრაციულ ერთეულს. აღსანიშნავია, რომ მარნეულის რაიონში ქართველებთან ერთად ცხოვრობენ ეთნიკური უმცირესობები. შესაბამისად, მარნეულის რაიონი მრავალენოვანია აქ ცხოვრობენ ქართველები, აზერბაიჯანელები, სომხები, ბერძნები. შესაბამისად, არის ქართული, აზერბაიჯანული, სომხური და რუსული სოფლები. ცხოვრობენ შერეულადაც. აქ სკოლებშიც ოთხ ენაზე მიდის სწავლება. რაიონში ერთ-ერთ პრობლემად კვლავ რჩება ენობრივი გარემო და კომუნიკაციის პრობლემა, რაც აფერხებს მათ სრულფასოვან ჩართვას ქვეყნის პოლიტიკურ, კულტურულ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. აქედან გამომდინარე, მოცემული საკითხი აქტუალურია სამეცნიერო თვალსაზრისით, რადგან ეხება უაღრესად მნიშვნელოვან რეგიონში არსებულ ენობრივ ვითარებას და სახელმწიფო ენის სწავლების ეფექტურობას.

არაქართულენოვანი მოსახლეობისთვის ერთმანეთთან საკომუნიკაციო ენას დღესაც წარმოადგეს რუსული. მოსახლეობის საკმაოდ დიდმა ნაწილმა საერთოდ ან ცუდად იცის ქართული...

უმცირესობების განათლება, სახელმწიფო ენის ცოდნა, ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია. ამ საქმისთვის ფუნდამენტური როლი ენიჭება სკოლებს. მარნეულის რაიონში სულ 74 საჯარო სკოლაა. აქ არის ქართული, აზერბაიჯანული, სომხური, რუსული, აზერბაიჯანულ-ქართული, რუსულ-ქართული, აზერბაიჯანულ-რუსული, სომხურ-ქართული, აზერბაიჯანულ-სომხური, სომხურ-აზერბაიჯანული და ქართულ-სომხური სკოლები.

მარნეულის მუნიციპალიტეტში 9 ქართული საჯარო სკოლაა. აქედან 8 სოფლებშია, ხოლო ქალაქ მარნეულში მხოლოდ #5 საჯარო სკოლაა ქართული. 42 აზერბაიჯანული საჯარო სკოლიდან საკუთრივ ქალაქ მარნეულში ხუთი, ხოლო დანარჩენი 37 საჯარო სკოლა სოფლებშია. აზერბაიჯანულ-ქართული 4 საჯარო სკოლაა. რაიონში 7 სომხური

სკოლაა, ასევე, სოფელ წერეთელსა და სოფელ შაჰმიანში (#2 საჯარო სკოლა) - სომხურ-ქართული სკოლებია. 3 რუსული საჯარო სკოლაა რაიონში და ორიც - რუსულ-ქართული; რაიონში ფუნქციონირებს 1 აზერბაიჯანულ-რუსული და ერთიც - სომხურ-აზერბაიჯანული სკოლა.

ზემოთ დასახელებულ არაქართულენოვან სკოლებში ქართული ენის სწავლება თითქმის არ ხდება. ამიტომ მოსახლეობაში სახელმწიფო ენის ფლობის დონე საგრძნობლად დაბალია. მოხსენებაში წარმოდგენილი იქნება ზოგადად ენობრივი ვითარება მარნეულის მუნიციპალიტეტში. დღეისათვის, სკოლებში ქართული ენის სწავლების მასშტაბები და ეფექტურობა. რამდენად დიდია სახელმწიფოს როლი ამ რაიონში სახელმწიფო ენის სწავლების მიმართებით და მოსახლეობის განწყობა, რამდენად ესწრაფვიან ისინი ქართული ენის სწავლას. ბილინგვური განათლების ეფექტურობა და შედეგები, მასთან დაკავშირებული სირთულეები.

კვლევის ფარგლებში, ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენდა პასუხი გასცემოდა შემდეგ კითხვებს: სახელმწიფო ენის სწავლების პარალელურად, ხდება თუ არა ქართული კულტურისა გაცნობა არაქართულენოვანი მოსახლეობისთვის? მხოლოდ ენის ცოდნა გადაჭრის არაქართულენოვანი მოსახლეობის ინტეგრაციის პრობლემას დანარჩენ მოსახლეობასთან? რა სახის ღონისძიებები ხორციელდება სახელმწიფოს მხრიდან ამ პრობლემის მოსაგვარებლად? მოცემულ კითხვებზე პასუხი კვლევას სამეცნიერო სიახლეს სძენს. კვლევის პროცესში კი გამოიკვეთა კულტურული თავისებურებების შეახებ ინფორმაციის ფლობის აუცილებლობა ენის საფუძვლიანად დაუფლებისათვის.

*ლელა ციხელაშვილი (თსუ, საქართველო)*

### **ქართული ენის სწავლება ტარტუს უნივერსიტეტში - გამოწვევები და გამოცდილება**

მარი კიურის პროექტის - „ევროკავშირში გაწევრიანების წინა პროცესის საუკეთესო გამოცდილებისა და პრაქტიკის გაზიარების შესაძლებლობები, შეზღუდვები, დაბრკოლებები და გამოწვევები“ - ფარგლებში სამეცნიერო-შემოქმედებითი მივლინებით ვიმყოფებოდი ესტონეთში, ტარტუს უნივერსიტეტში, კერძოდ, უცხოური ენებისა და კულტურის კოლეჯში, სადაც, სამეცნიერო მუშაობის გარდა, 2016/2017

სასწავლო წლის I სემესტრში ვასწავლიდი ქართულს, როგორც უცხოურ ენას (დონეები:  $0 > A1.1$  და  $A1.1 > A1.2$ ).

მოხსენებაში განხილული იქნება ის გამოწვევები და სირთულეები, რომელთა წინაშეც დავდექით სასწავლო პროცესში, და, ასევე, ის მეთოდები და ხერხები, რომლებიც გამოვიყენეთ წამოჭრილ პრობლემათა გადასაწყვეტად. ჩვენს შემთხვევაში სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის სტუდენტებს (ძირითადად, ესტონელებს) ქართული ენის შესწავლა სურდათ არა წმინდა ლინგვისტური, არამედ პრაქტიკული ინტერესებიდან გამომდინარე.

შესაბამისად, შევეცადეთ, სასწავლო პროცესი მათს ინტერესებზე მორგებული ყოფილიყო. სასწავლო პროცესში დამატებით სირთულეს ქმნიდა ის გარემოება, რომ სტუდენტებთან სამუშაო ენას წარმოადგენდა ინგლისური, შემსწავლელთათვის არამშობლიური ენა, რაც მათგან მოითხოვდა როგორც ინგლისური ენის კომპეტენციას, ისე ამა თუ იმ საკითხის თარგმნასა და გააზრებას მშობლიურ ენაზე. ცნობილი ფაქტია, რომ მეორე ენის სწავლის დროს მშობლიური ენის ყალიბის გამოყენება შესასწავლ ენაში ხშირად ხდება უზუსტობებისა და გადაცდომების (რ. ქურდაძე) მიზეზი. ჩვენს შემთხვევაში კი სტუდენტების ამგვარი გადაცდომების წყაროს წარმოადგენდა როგორც მათი მშობლიური ესტონური, ისე - ინგლისური ენა. ზოგადად, უცხოელებს, რომლებიც ქართულ ენას სწავლობენ, მრავალი სირთულის დაძლევა უწევთ. მოხსენებაში განხილული იქნება ის ტიპური შეცდომები (mistakes) თუ გადაცდომები (errors), რომლებმაც თავი იჩინა ქართული ენის სწავლების I დონეზე (დამწყებთათვის) წერითი თუ ზეპირი მეტყველების დროს, კერძოდ, ამ ეტაპზე განვიხილავთ

პირველ შუალედურ ტესტში დაშვებულ ტიპურ შეცდომებს. სირთულემ ყველა ენობრივ დონეზე იჩინა თავი: 1) ფონეტიკა-ფონოლოგიის დონეზე - სირთულე ყრუ ფშვინვიერ და გლოტალიზებულ თანხმოვნებს შორის განსხვავების დანახვაში (მაგ.: მე მქვია დატო; ქარი დახურე!..); 2) მორფოლოგიის დონეზე - პირის ნაცვალსახელების ჭარბად გამოყენება (მაგ.: არა, მე არ ვიცი; სად თქვენ იქნებით კვირას? რომელი ენა შენ იცი?..); 3) სინტაქსის დონეზე - რიცხვში შეთანხმების წესების დარღვევა (მაგ.: ორი ბიჭები წავიდნენ; ოთხი მაგიდა და ათი სკამები არიან ოთახში; რამდენი სტუდენტები იქნება კლუბში ხვალ? შდრ.: How many students will be at the club tomorrow?); 4) ბრუნვაში არასწორად მართვა და ერგატივის პრობლემა (მაგ.: ელერი იცის სად შენი სახლია; გივი და ლაშა იციან ინგლისური ენა კარგად...); 5) ზმნა-შემასმენლის

გამოტოვება (მაგ.: მე ქართველი, საქართველოდან ვარ, შდრ.: Я Грузин); 6) ასევე სიტყვათა წყობის დარღვევა (მაგ.: იცით სად ჩემი სახლია? როგორი ბავშვი მარიამი არის? რამდენი სტუდენტი კლუბში ხვალ იქნება? (ამ შემთხვევებში ზმნა-შემასმენლის წინადადების ბოლოს დასმას ინგლისური ენის გავლენით ვერ ავხსნით, შდრ.: How many students will be at the club tomorrow?); არის 60 წუთი საათში და 60 წამი წუთში, შდრ.: There are 60 minutes in an hour and 60 seconds in a minute...); 7) კალკირებით გამოწვეული გადაცდომები (მაგ.: სასიამოვნოა თქვენი გაცნობა. თქვენც ასევე, შდრ.: Nice to meet you. You too; იქ არიან ცოტა ბანკი ტარტუში, შდრ.: There are few banks in Tartu; იქ არიან ბევრი მანქანა თბილისში, შდრ.: There are many cars in Tbilisi, რაა მარიამის გვარი? შდრ.: What is Mariam`s last name?..) და სხვ.

მოხსენებაში ასევე წარმოდგენილი იქნება შეცდომების აღმოსაფხვრელად ჩვენ მიერ გამოყენებული მეთოდები და სავარჯიშოები, სწავლების ინდივიდუალური მიდგომები და პრაქტიკული გამოცდილება.

*ანი წამალაშვილი (თსუ, საქართველო)*

## **ენობრივი პოლიტიკა: მისი გავლენა სოციალური უმცირესობების საზოგადოებაში ინტეგრაციაზე**

ენა ერის იდენტობის ერთ-ერთი უმთავრესი კომპონენტია. თუმცა, გლობალიზებულ მსოფლიოში ეთნიკური ჯგუფებისთვის რთულია თავიანთი ენებისა და, მასთან ერთად, კულტურის შენარჩუნება. თანამედროვე მსოფლიოში შექმნილი მდგომარეობის შედეგად კი ტერიტორიების დანაწილება ხდება უფრო მეტად ძალის, ვიდრე ეთნიკური ან კულტურული ნიშნით. ეს კი ეთნიკური ჯგუფებისთვის ნიშნავს ცხოვრებას სხვადასხვა საზღვრებში, რაც ყოველთვის არ არის უფლებრივი თანასწორობის გარანტი. მთავრობის მხრიდან დისკრიმინაციისთვის მთავარი ბერკეტისა და საშუალების ფუნქციას იძენს ენობრივი პოლიტიკა, უფრო ზუსტად კი - ენობრივი პოლიტიკის არაეფექტიანი დაგეგმვა და განხორციელება, მისი მთლიანად მორგება უმრავლესობის ინტერესებზე და უმცირესობების უგულვებლყოფა. რა



თქმა უნდა, ამას არ მივყავართ წარმატებულ შედეგამდე. არაადეკვატური ენობრივი პოლიტიკა წარმოშობს ისეთ პრობლემებს, როგორებიცაა: შეუსაბამო სწავლების მეთოდების გამოყენება სახლის პირობებში, განათლება, რომელიც არ შეესაბამება არსებულ სტანდარტებს და თაობა, რომელსაც არ შეუძლია საკუთარი პოტენციალის სრული გამოვლინება და ვერ ინტეგრირდება საზოგადოებაში.

კვლევის მიზანია, გააანალიზოს და წარმოაჩინოს შემდეგი ორი კონცეპტის კავშირი: ენობრივი პოლიტიკა და ეთნიკური უმცირესობების საზოგადოებაში ინტეგრაცია. ნაშრომში ვეცდებით, ნათლად წარმოგიდგინოთ ყველა მთავარი პრობლემა, რომლებიც არარელევანტურმა ენობრივმა პოლიტიკამ შეიძლება გამოიწვიოს უმცირესობების საზოგადოებასთან ინტეგრაციასთან მიმართებით.

ნაშრომის მთავარი საკვლევი კითხვებია:

- როგორ შეიძლება არასწორმა ენობრივმა პოლიტიკამ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელს შეუშალოს ხელი ინტეგრაციაში?
- როგორ შეგვიძლია შევამციროთ ენობრივი პოლიტიკის ნეგატიური ეფექტები?

ნაშრომი დაფუძნებულია კვლევის თვისებრივ მეთოდებზე. კერძოდ, გამოყენებული იქნება ევროპის საბჭოსა და ევროკავშირის ენობრივი პოლიტიკის შემთხვევის შესწავლა.

კვლევის პროცესში აღმოჩნდა, რომ პირველ საკვლევ კითხვაზე პასუხი დადებითია. რაც შეეხება ენობრივი პოლიტიკის ნეგატიური ეფექტების შემცირებას, ვფიქრობთ, ევროპის ქვეყნების მაგალითია გამოსადეგი, როდესაც ენობრივი პოლიტიკის დაგეგმვაში უმრავლესობისა და უმცირესობების უფლება-მოვალეობები თანაბრად გათვალისწინებული. გამოყენებული იქნება მეორეული წყაროები, სამეცნიერო ჟურნალები და ნაშრომები, რომლებიც გაამდიდრებს კვლევას შესაბამისი არგუმენტებით.

*ანა ჭკუასელი (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი)*

## **პირველი ევროპელების მიერ ქართულის, როგორც უცხო ენის შესწავლის მეთოდები და სტრატეგიები**

ქართულის, როგორც უცხო ენის შესწავლის ტრადიციას საკმაოდ ღრმა ისტორიული ფესვები აქვს, ის მე-17 საუკუნიდან იწყება და საქართველოში ევროპელი მისიონერების მოღვაწეობას უკავშირდება. ქართული ენის შესწავლის თითქმის ორსაუკუნოვანი პრაქტიკა ფრანგმა და იტალიელმა მისიონერებმა საკუთარ ლექსიკონ-გრამატიკებში აღწერეს. მისიონერული საქმიანობა და მათი ლექსიკონ-გრამატიკები სხვადასხვა პერსპექტივიდან არაერთხელ შეფასდა და გაანალიზდა, თუმცა თანამედროვე მეთოდის გათვალისწინებით, ქართულის, როგორც უცხო ენის პირველი შემსწავლელების ემპირიული დაკვირვებები, მათი ინდივიდუალური გამოცდილება და მიდგომები დღემდე არ არის განხილული.

მისიონერების მასალებიდან დასტურდება, რომ ისინი ქართული ენის ათვისებისას აქტიურად იყენებდნენ ლექსიკონებს, რომლებშიც ადგილობრივ გარემოში ხშირი მოხმარების სიტყვებს იწერდნენ, ხოლო მოკლე გრამატიკებში ძირითადად კომუნიკაციისთვის საჭირო გრამატიკულ კატეგორიებს აღწერდნენ. ვფიქრობთ, ენის შესწავლის ამგვარი პრაქტიკა დღესაც აქტუალური და ღირებულია როგორც შემსწავლელებისთვის ისე ენის დიდაქტიკოსებისთვის, რომლებიც პრობლემურ საკითხად განიხილავენ ქართულის როგორც რთული მორფო-სინტაქსური სისტემის მქონე ენის სწავლებას. საკვლევად შევარჩიეთ ქართულ-იტალიური და იტალიურ-ქართული მე-19 საუკუნის ლექსიკონი (1852-1867წწ). ის დაცულია რომში, კაპუცინელების არქივში (ORDO FF. MIN. CAPUCCINORUM) და მისი ავტორია ემანუელე იგლესიასი. ჩვენი მიზანია, კონკრეტული ლექსიკონის გათვალისწინებით ვიმსჯელოთ, როგორი იყო ის ისტორიული გამოცდილება, რომელიც მისიონერებმა დაამკვიდრეს უცხო ენის შესწავლის პრაქტიკაში და რამდენად აქტუალური შეიძლება იყოს თანამედროვე ეტაპზე მისიონერი ავტორის მიერ შემოთავაზებული უცხო ენის შესწავლის მეთოდი და სტრატეგია. აღნიშნული ლექსიკონის ანალიზი საშუალებას გვაძლევს, საგანმანათლებლო ლინგვისტიკაში დამკვიდრებული ენის ფლობის დონეების სტანდარტული აღწერილობის შესაბამისად, ლექსიკური ნაწილის ანოტირება ვცადოთ, კერძოდ, თემატურად დავალაგოთ

ენობრივი ერთეულები და ცალკე გამოვყოთ მკურნალობასთან, წამლობასთან, რელიგიასთან, გენდერთან, მამულთან დაკავშირებული ტერმინები. გარდა ამისა, გავაანალიზებთ ლექსიკონის გრამატიკულ ნაწილს ფუნქციური გრამატიკის პერსპექტივიდან. კვლევის შედეგი გვიჩვენებს, რომ ლექსიკონ-გრამატიკებში აღწერილი ქართული, როგორც უცხო ენა, სხვადასხვა დროს სამისიონეროდ გამოგზავნილ მისიონერებს ეხმარებოდა როგორც ენობრივ, ისე სოციალურ ადაპტაციაში.

*გიორგი ჭაუჭიძე (ქ. მარნეულის მე-2 საჯარო სკოლა, საქართველო)*

### **ენობრივი პოლიტიკის დაგეგმვა და მისი მნიშვნელობა მულტიკულტურული განათლებისა და მეორე ენის სწავლების თვალსაზრისით**

მოხსენებაში წარმოდგენილი შეხედულებები ჩამოგვიყალიბდა მრავალწლიანი პრაქტიკული გამოცდილებისა და დაკვირვების, ასევე, სხვადასხვა საგანმანათლებლო ლიტერატურის გაცნობის შედეგად. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ დასკვნები ეფუძნება *ეთნოგრაფიული კვლევისა* (ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული რეგიონების ოჯახებში ცხოვრება, არქართულენოვან სკოლებში მუშაობა, არაქართულენოვან თემთან ურთიერთობა) და *სამაგიდე კვლევის* (თეორიული ლიტერატურის, არაქართულენოვანი სკოლების და სომხეთის, აზერბაიჯანისა და რუსეთის სკოლების საქართველოში მოქმედი სახელმძღვანელოების მიმოხილვა) მეთოდოლოგიას.

#### **არსებული სიტუაცია**

საქართველოში არსებული სკოლების 10 %-ში სწავლება მიმდინარეობს მოსწავლეთა მშობლიურ, არაქართულ ენებზე: სომხურ, აზერბაიჯანულ და რუსულ ენებზე. აღსანიშნავია, რომ რუსულ ენაზე სწავლების შემთხვევაში, ძირითადად, ეს ენა მოსწავლეთათვის არ არის მშობლიური - საბჭოთა პერიოდში არსებული ტრადიციის გაგრძელებით, რუსულ ენაზე განათლებას ჯერ კიდევ იღებენ უმეტესად ეთნიკური სომხები და ეთნიკური აზერბაიჯანელები (მაგალითად, ქ. ახალქალაქის მე-4 საჯარო, ქ. მარნეულის მე-2 საჯარო სკოლები და სხვ.).

ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლების შედეგების მიხედვით, ეს სკოლები შეიძლება დავეყოთ ორ კატეგორიად: სკოლები, რომლებშიც ქართული ენა ჯერ კიდევ სკოლაში შესვლამდე იციან ბავშვებმა (თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, სხვა ქალაქების მოსწავლეები, რომლებსაც ქართულენოვან გარემოში უწევთ ცხოვრება.) და სკოლები, რომლებშიც ბავშვები ქართულის, როგორც უცხოური ენის შესწავლას იწყებენ. რაც ყველაზე შემაფერხებელია, მეორე ჯგუფის სკოლის მოსწავლეებისთვის ქართული არ წარმოადგენს სკოლის გარეთ ურთიერთობის საშუალებას. მოსწავლეები ვერ ახერხებენ სკოლაში შესწავლილი ენის ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოყენებას. შესაბამისად, ამ ორი ჯგუფის სკოლების კურსდამთავრებულები, ქართულის ცოდნის თვალსაზრისით, მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისგან.

ერთ-ერთი საშუალება, რომელიც მოსწავლეს ქართული ენის გამოყენების არეალის გაფართოებას უზრუნველყოფს, არის ბილინგვური სწავლება: სხვადასხვა საგნის სწავლების ენად ქართულის შემოტანა გააფართოებს ამ მოსწავლის მიერ ქართულის გამოყენების არეალს.

ბილინგვური სწავლების შემოღების მცდელობა საქართველოში უკვე იყო, მაგრამ, სამწუხაროდ, ობიექტურ თუ სუბიექტურ მიზეზთა გამო, პილოტირების პროცესში მთელი რიგი არასწორი, გაუაზრებელი ნაბიჯი გადაიდგა, რამაც, გარკვეულწილად, ამ ხედვის დისკრედიტირებაც კი მოახდინა. არსებული კადრების არაკვალიფიციურობის პირობებში, 2011 წლიდან საყოველთაოდ დაინერგა ე.წ. „ბილინგვური სწავლების მოდელი“ დაწყებით საფეხურზე, რომლის ფარგლებშიც საგნობრივი სახელმძღვანელოების მესამედი ითარგმნა ქართულად. შეიძლება ითქვას, მას შემდეგ ამ მიმართულებით არც არაფერი გაკეთებულა.

#### **გასატარებელ ღონისძიებათა ჩამონათვალი:**

- საშეღვათო პოლიტიკის (ე.წ. 1+4 პროგრამის) გაღრმავება და ამ პროგრამის კურსდამთავრებულთა განათლების სფეროში მოზიდვა.
- ბილინგვური სწავლების სხვადასხვა მოდელის შეთავაზება სხვადასხვა სკოლისთვის. არაქართულენოვანი სკოლები განსხვავდებიან ერთმანეთისგან: შესაძლოა, ერთ სკოლას სათანადო კადრები მათემატიკის მიმართულებით ჰყავდეს, ხოლო მეორე სკოლას - ბუნებისმეტყველებისა თუ საზოგადოებრივ

მეცნიერებათა მიმართულებით... სკოლებს უნდა მიეცეთ არჩევანის საშუალება.

- სახელმძღვანელოებისა და სასწავლო რესურსების შექმნა. მნიშვნელოვანია, რომ ამ პროცესში აქტიურად იყოს ჩართული **მასწავლებელი** და შეეძლოს რესურსებით მანიპულირება, რადგანაც მის მიერ მოძიებული და გადაკეთებული რესურსი გაცილებით უკეთესი შეიძლება აღმოჩნდეს, ვიდრე რამდენიმე წლის წინ შექმნილი, თუნდაც კარგი, სახელმძღვანელო.
- მშობლიური ენების სწავლების რეორგანიზაცია: უკანასკნელ ხანებამდე საქართველოს განათლების სისტემას იგნორირებული ჰქონდა ეს მიმართულება. სომხური, აზერბაიჯანული, რუსული ენების, როგორც მშობლიური ენების სწავლება მიმდინარეობდა მეზობელ სახელმწიფოებში შექმნილი წიგნებითა და პროგრამებით. აუცილებელია, შეიქმნას ამ ენების თანამედროვე სახელმძღვანელოები და პროგრამები, რათა ჩვენმა თანამოქალაქეები სრულფასოვნად იცვნენ ინტეგრირებულები ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში.

*ნანა ხეცურიანი (საქართველოს უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო)*

### **შეპირისპირებითი ლინგვისტური ანალიზის შედეგების გამოყენება უცხო ენების სწავლებისას**

ენების შეპირისპირებითი კვლევა საკმაოდ ეფექტურია უცხო ენების სწავლების მეთოდის გაუმჯობესებისა და განახლებისათვის და ენობრივი ინტერფერენციის (უცხო ენების სწავლის პროცესში მშობლიური ენის გავლენის) დასაძლველი გზების დასადგენად.

ქართული ენა მიეკუთვნება სამხრეთ კავკასიურ ენათა ოჯახს. დღესდღეობით საქართველოში ინგლისურ ენას სწავლობს მეტი ადამიანი, ვიდრე სხვა უცხო ენებს და წარმოადგენს მსოფლიოსთან კომუნიკაციის ძირითად საშუალებას. მომხსენებელი განიხილავს ინგლისური, ქართული და ესპანური ენების შეპირისპირებითი კვლევის შედეგების გამოყენებას ინგლისური ენის სწავლებისას იმ ქართულენოვანი სტუდენტებისათვის, რომლებისთვისაც ესპანური არის მეორე უცხო ენა. პრეზენტაციისას ძირითადი ყურადღება მახვილდება

ინგლისურ, ქართულ და ესპანურ ენებში უარყოფითი კონსტრუქციების გამოხატვის სხვადასხვა გზებზე.

**სიახლე.** ეს არის ინგლისურ, ქართულ და ესპანურ ენებში უარყოფითი კონსტრუქციების გამოხატვის პირველი კომპლექსური შესწავლა, რომელიც მოიცავს აღნიშნულ ენებში უარყოფის ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორიის სრულ სპექტრს.

**მიზანი.** კვლევის მიზანია ქართულ, ინგლისურ და ესპანურ ენებში უარყოფის ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორიის უნივერსალური მახასიათებლების, იზომორფიზმის და ალომორფიზმის დადგენა.

**მეთოდი და მასალა.** კვლევის ძირითადი სფერო იყო შეპირისპირებითი გრამატიკა. აქცენტი გაკეთდა უარყოფის გრამატიკული კატეგორიების გამოხატვაზე განსხვავებული სისტემის ენებში (ინგლისური, ქართული და ესპანური ენები). კვლევისთვის გამოყენებულია ენების კომპლექსური ანალიზის მეთოდი. ტექსტობრივი ანალიზის მასალად გამოყენებული იყო ინგლისელ, ქართველ და ესპანელ მწერალთა ნაწარმოებები ორიგინალში და მათი შესატყვისი თარგმანები.

**შედეგები.** ქართული, ინგლისური და ესპანური ენების უარყოფის ველის სემანტიკურმა ანალიზმა საშუალება მოგვცა გაგვეკეთებინა დასკვნა უარყოფის ფუნქციათა მსგავსების და განსხვავებების შესახებ შეპირისპირებულ ენებში. უარყოფის ბირთვული საშუალებებით გამოხატვაში გამოვლინდა ასიმეტრია, რაც განპირობებულია ქართულ ენაში უარყოფით ნაწილაკთა სიმრავლით ინგლისურ და ესპანურ ენებთან შედარებით. ქართული და ესპანური ენები პოლინეგატიურია, ინგლისური კი - მონონეგატიური. სამივე ენაში უარყოფის საზღვრების გავრცელება ექვემდებარება მარცხნიდან მარჯვნივ წესს. სამივე ენაში გვხვდება შინაარსით უარყოფითი და ფორმით მტკიცებითი წინადადებები.

**დასკვნა.** ჩატარებული კვლევა საშუალებას იძლევა, გავაკეთოთ დასკვნა, რომ ქართული და ესპანური ენები პოლინეგატიურია, ინგლისური კი - მონონეგატიური. უარყოფის კატეგორია უნივერსალური კატეგორიაა. უარყოფის ფუნქციურ-სემანტიკური ველი არის გამოხატვისა და შინაარსის პლანის კომპლექსური ერთიანობა. გამოხატვის პლანის ფორმირება ხდება ენობრივი საშუალებებით, რომლებიც განეკუთვნება სხვადასხვა დონეს - მორფოლოგიურს, სინტაქსურს, ლექსიკურსა და კონტექსტურს.

*მზია ხვედელიძე, ლევან ჯინჯიხაძე, ჯემალ ჯინჯიხაძე (თსუ, საქართველო)*

## **ქართული ენისა და მათემატიკის ინტეგრაციის საკითხისათვის**

1. სწავლების პროცესში ინტერდისციპლინური მეთოდოლოგიის გატარების უდიდესი მნიშვნელობა საყოველთაოდ ცნობილია. ეს ყველა სასწავლო საგანს ეხება, მაგრამ ენისა და მათემატიკის საგანთაშორისი კავშირების დამყარება განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს. ამ განსაკუთრებულობას ქმნის ის გარემოება, რომ ენა ნებისმიერი შემეცნებითი პროცესის საფუძველს წარმოადგენს, რადგანაც ცნობიერება მხოლოდ ენის ფარგლებში არსებობს და ნებისმიერი პრობლემის გადაჭრისას მათემატიკური მიდგომა, მათემატიკური აზროვნების მოშველიება, შემეცნების მაღალ დონეს განაპირობებს. ამ მიმართებით საინტერესოა ქართული ენისა და მათემატიკის ინტეგრაციის მრავალი საკითხი.

2. უპირველეს ყოვლისა, უნდა ვთქვათ, რომ **ენა** არის ურთიერთობის საშუალება. ეს არის განსაზღვრული კოდი, ნიშნების სისტემა და მათი გამოყენების წესების ერთობლიობა. ეს სისტემა მოიცავს სხვადასხვა დონის ერთეულებს: **ფონეტიკურს** – ბგერები, **ინტონაცია** და **სხვ.**; **მორფოლოგიურს** – სიტყვის ნაწილები: **ფუძე**, **წინსართი** და **სხვ.**; **ლექსიკურს** – სიტყვები და მათი მნიშვნელობები; **სინტაქსურს** – წინადადებები. **მეტყველება** არის ადამიანთა საქმიანობა, ინდივიდუალური ფსიქოლოგიური მოვლენა, რომელშიც ენობრივი კოდი და ნიშანთა სისტემა გამოყენებული. **მეტყველება** – ეს არის ენა მოქმედებაში. **მეტყველებაში** ენობრივი ერთეულები, სრულიად სხვადასხვა ურთიერთმიმართებაში ყოფნით, ქმნიან შეუზღუდველი რაოდენობის კომბინაციებს. **მეტყველება** ყოველთვის დროშია გაშლილ-განფენილი და მოლაპარაკის თავისებურებებს ასახავს, დამოკიდებულია კონტექსტისა და საურთიერთობო სიტუაციებისაგან. ისმის საკითხი: რისთვის სჭირდება ადამიანს მათემატიკური **მეტყველება** და, საერთოდ, – მათემატიკა? იმისათვის, რომ მათემატიკოსი გახდეს? – სულაც არა! მათემატიკა და მათემატიკური **მეტყველება** სჭირდება ყველას. მათემატიკური აზროვნების პოზიციებიდან სულ სხვანაირად ჩანს რეალური საგნები, ბუნებაში მიმდინარე მოვლენები და პროცესები.

3. აზროვნებისა და მეტყველების პრაქტიკაში ჩვენ ხშირად ვიყენებთ სხვადასხვაგვარ დასტურსა და უარყოფას. მაგალითად, „ტრაპეციის ფუძეები პარალელურია“, „არ არსებობს სამკუთხედი, რომელსაც ორი მართი კუთხე გააჩნია“, „ზოგიერთი კავშირი მაერთებელია“ და სხვ. მსგავსი კონსტრუქციების საშუალებით ცნობიერებაში ფიქსირდება გარკვეული ობიექტის მიერ ამა თუ იმ ნიშნის ქონა თუ არქონა, ობიექტის სხვადასხვა მდგომარეობა, მიმართებანი ობიექტებს შორის. ასეთ დასტურსა და უარყოფას **მსჯელობები** ეწოდება. მსჯელობას უფრო რთული ფორმალური ორგანიზაცია გააჩნია, ვიდრე ცნებას. ეს იმიტომაც, რომ მსჯელობა ცნებებისაგან შედგება. იგი ორ ცნებას მაინც შეიცავს. ცნება მსჯელობის ელემენტია. მსჯელობაში შემავალი ცნებები გარკვეული სახით დაკავშირებულია ერთმანეთთან. თუ ცნება გამოიხატება სიტყვით, ან სიტყვათა ჯგუფით, მაშინ მსჯელობა ყოველთვის წარმოადგენს წინადადებას ან წინადადებათა ჯგუფსაც კი.

4. **კლასიფიკაცია** – საგნების (მოვლენების, ცნებების) დაყოფაა კლასებად, ჯგუფებად, თანრიგებად განმასხვავებელ ნიშანთვისებათა მიხედვით. კლასიფიკაციის დროს საგანთა სიმრავლე იყოფა კლასებად რომელიმე ერთი ან რამდენიმე ნიშანთვისების მიხედვით (გვაქვს, მაგალითად, ცხოველთა და მცენარეთა კლასიფიკაცია ბიოლოგიაში, ნივთიერებათა კლასიფიკაცია ქიმიაში და სხვ.). კლასიფიკაციის საფუძველია სიმრავლის დაყოფა თანაუკვეთ ქვესიმრავლეებად, ე. ი. აქ გასათვალისწინებელია იმ ნიშანთვისებათა ერთობლიობა, რომლის მიხედვითაც ხდება დაყოფა. კლასიფიკაციის სისწორისათვის საჭიროა: 1) სიმრავლეში შემავალი ყოველი საგანი კლასიფიკაციის რომელიმე კლასში შედიოდეს (ადეკვატურობის პირობა); 2) ერთი და იგივე საგანი არ უნდა შედიოდეს კლასიფიკაციის ერთზე მეტ კლასში ანუ კლასიფიკაციის კლასები ერთმანეთს უნდა გამორიცხავდეს (გამიჯნულობის პირობა). კლასიფიკაცია მჭიდრო კავშირშია ცნების დაყოფასთან.

5. ზემოთ განხილული და სხვა მრავალი საკითხი, რომლებიც სწავლებასთანაა დაკავშირებული, დიდაქტიკურ-მეთოდოლოგიური თვალსაზრისით შესანიშნავად წყდება ქართული ენისა და მათემატიკის ინტეგრირებული შესწავლის საფუძველზე. ჩვენი აზრით, ასეთ ინტეგრირებას, მულტილინგვური განათლების კონტექსტში, ბილინგვური განათლების პროცესის გააქტიურებისათვის, ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს. საქმე იმაში გახლავთ, რომ მათემატიკისა და



ქართული ენის ინტეგრირებული სწავლება ცხადად ავლენს მათემატიკისა და ქართული ენის საერთო ზოგად კანონზომიერებებს. ეს კი სტუდენტს, უბრალო დაკვირვებისა და ანალიზის საფუძველზე, ადვილად აპოვინებს ისეთივე კანონზომიერებებს თავის მშობლიურ ენაში, რაც, სწორედ რომ, ბილინგვური სწავლების ძირითადი მიზანია. აქ დაკვირვება, ანალიზი და აზროვნების სხვა მეთოდები პოულობს არა ხელოვნურ, არამედ ბუნებრივ გამოყენებას, და ეს განაპირობებს სტუდენტის მიერ ბილინგვური შემეცნების ბუნებრივ ხასიათს. მოვიყვანოთ მხოლოდ ერთი მაგალითი: ეილერ-ვენის დიაგრამები ავლენს მათემატიკურ და ქართულ ენობრივ ცნებათა შორის მიმართებების იზომორფულობას. ამის საფუძველზე სტუდენტი თავისთავად, ბუნებრივად, სრულიად ჩვეულებრივად დაინახავს ზუსტად იგივე მიმართებებს თავის მშობლიურ ენაში. ეს კი ბილინგვური სწავლების კარგი შედეგის აბსოლუტური გარანტია.

*ხატია ჯანგავაძე (პოლიციის აკადემია, საქართველო)*

### **ბგერათა შენაცვლება აზერბაიჯანელი და სომეხი სტუდენტების ქართულ მეტყველებაში**

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი სტუდენტებისათვის საქართველოს სახელმწიფო ენის სწავლებისას ერთ-ერთ პრობლემას წარმოადგენს ქართული სამეტყველო ბგერების არასწორად აღქმა, რაც შეიძლება აიხსნას იმით, რომ მეტნაკლებად განსხვავებულია უმცირესობების საარტიკულაციო ბაზაც და პერცეფციული ბაზაც. ნაშრომის მიზანია არსებული პრობლემის წარმოჩენა.

საკითხის შესწავლის პროცესში გამოყენებულია შედარება-შეპირისპირებისა და ანალიზის მეთოდები.

ჩემი პედაგოგიური პრაქტიკის პერიოდში დაგროვილი მასალა საფუძველს მამლევს ვთქვა:

1. სომეხ სტუდენტთა ქართულენოვან მეტყველებაში ხშირია ყ-ს შენაცვლება ღ, ხ-თი და ჭ-ს ჯ-თი, შედარებით ნაკლებია: წ-ს ძ-თი და ც-თი, დ-ს ტ-თი, ტ-ს დ-თი, ღ-ყ-თი (იყო-იღო, ძროხა-ძროღა, წყალი-ძღალი, ტაფა-დაფა, ბატონო-ბადონო, ძაღლი-ძაყლი, ბიჭი-ბიჯი...).

2. აზერბაიჯანელი სტუდენტების ქართულენოვან მეტყველებაში გარკვეულ პოზიციებში მკვეთრი ბგერები, ძირითადად, მომიჯნავე

მჟღერი ბგერებით იცვლება; კერძოდ: ყ > ლ, თ > ტ, ტ > დ, გ > კ, კ > გ, კ > ქ, წ > ც, წ > ძ, ჭ > ჩ, ფ > პ (იყო-ილო, ჩულურეთი-ჭულურეთი, კარგი-გარგი, გემი-კემი, ტირის-დირის, მოიტანა-მოიდანა, აინტრესებდა-აინდერესებდა, ისეთი-ისეტი, მეტრო-მეთრო, ჰკითხა-ჰიქითხე, პრობლემა-ფრობლემა, პროცესი-ფროცესი, წიწილი-ძიძილი, ჯაჭვი-ჯავვი, წავიდა-ცავიდა...).

აღსანიშნავია, რომ წარმოთქმის დარღვევა ყველაზე მეტად აზერბაიჯანელ სტუდენტებში შეინიშნება, ვიდრე სომხებში. უმეტესად, ეს ითქმის მკვეთრ (პ ტ წ ჭ კ ყ) და ზოგიერთ მჟღერ (დ, ძ, ჯ, გ...) ბგერაზე. სომეხ სტუდენტებში მსგავსი პრობლემის შედარებითი ნაკლებობა განპირობებულია სომხურში ქართულისათვის მსგავსი (მკვეთრი) ბგერების არსებობით.

მოხსენებაში გაანალიზებულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის სომეხ და აზერბაიჯანელ სტუდენტთა მეტყველების ნიმუშები. კვლევის ღირებულებას, პირველ რიგში, წარმოადგენს ის, რომ კვლევა ემყარება პირად პედაგოგიურ გამოცდილებას და შესაბამისი მაგალითებითაა გამყარებული.

პრობლემა, რომელიც მოხსენებაშია წარმოდგენილი, შესაძლოა, გადაიჭრას სხვადასხვა გზით; კერძოდ, სწავლების პირველ ეტაპზე, სტუდენტები პედაგოგმა სისტემატურად უნდა ავარჯიშოს თანხმომავნი ბგერების წარმოთქმაში სხვადასხვაგვარად:

- დამარცვლით (მაგალითად: წა, წე, წი, წო, წუ...);
- სხვა თანხმომავნებთან კომბინაციაში (თანხმომავნთკომპლექსთა) წარმოთქმით (წკ, წპ, წტ...);
- გაბმული ტექსტით თხრობის დროს, დაშვებული შეცდომების გასწორების მიზნით, კონკრეტული შეცდომილი ბგერების მრავალჯერ წარმოთქმით:

ა) დამარცვლით,

ბ) სხვა თანხმომავნებთან კომბინაციაში,

გ) მთლიანი სიტყვის არაერთხელ გამეორებით.

როცა სტუდენტები შეეჩვევიან საანალიზო ბგერების სწორად წარმოთქმას, მეტყველებაში რეალიზაციისათვის საჭიროა სპეციალური სავარჯიშოები, რომლებიც ხელს შეუწყობს ბგერების ავტომატიზაციას.

პირველ რიგში, ვარჩევთ ისეთ ტექსტს, სადაც მრავლადაა მცდარი ბგერები გამოყენებული და ვაკითხებთ სტუდენტებს სისტემატურად; ამასთანავე, ვასმენინებთ ვიდეომასალას, საიდანაც ვარჩევთ საანალიზო თანხმომავნებისაგან შედგენილ სიტყვებს და ვამეორებინებთ ცალკეული

სიტყვების სახით, შემდეგ მთლიან წინადადებაში. გარდა ამისა, ეფექტური იქნება თუ ანდაზებსა და ენის გასატეხებსაც გამოვიყენებთ სავარჯიშოების სახით.

ვფიქრობთ, ზემოთ ხსენებულ პრობლემას სახელმძღვანელოებში (A1, A2) მეტი სავარჯიშო უნდა დაეთმოს. სასურველია, მათ შედგენაში ჩაერთონ ფონეტიკის სპეციალისტები.

*თამარ ჯაყელი (თსუ, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, საქართველო); სალომე ომიადე (თსუ, საქართველო); ია აფთარაშვილი (თსუ, საქართველო); ნათია ჯოხაძე (გაეროს ბავშვთა ფონდი, საქართველო)*

### **რელევანტური ბილინგვური მოდელები სკოლამდელ საფეხურზე**

ა(ა)იპ განათლების განვითარების ცენტრის პროექტის – „ხელმისაწვდომი სკოლამდელი განათლება: ეთნიკური უმცირესობებისთვის ბილინგვური სკოლამდელი განათლების დანერგვის ხელშეწყობა“ – ფარგლებში ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული ორი რეგიონის – ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის – სკოლამდელ დაწესებულებებში ჩატარდა კვლევა, რომელმაც გამოავლინა ამ რეგიონების სკოლამდელ დაწესებულებებში მოქმედი მულტილინგვური განათლების განსხვავებული მოდელები.

ამ მოდელების ერთი ნაწილი შეიძლება მივაკუთვნოთ ბილინგვური განათლების ეგრეთ წოდებულ ძლიერ ფორმებს, რომლებიც ორენოვან წიგნიერებას ისახავენ მიზნად, მეორე ნაწილი კი – ეგრეთ წოდებულ სუსტ ფორმებს, რომლებიც საგანმანათლებლო პროცესიდან განდევნიან პირველ ენას, როგორც მეორე ენის ათვისების დამაბრკოლებელ ელემენტს.

**ისმის კითხვა:** რომელი ფორმის მოდელები უზრუნველყოფენ ბავშვში სათანადო ცოდნის კონსტრუირებას ხარისხიანი განათლების მისაღებად და სრულფასოვანი ინტეგრირების მისაღწევად?

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად მოხსენებაში მოკლედ მიმოვიხილავთ ადგილობრივად გავრცელებული ცალკეული მოდელის მიზანშეწონილობას საგანმანათლებლო პოლიტიკის პრიორიტეტებთან მიმართებით, მიმოხილვის შემდეგ ბილინგვურ მოდელებს ფსიქოპედაგოგიკური ასპექტით განვიხილავთ და კვლევის თეორიულ

მეთოდებზე დაყრდნობით, სახელდობრ, ჰიპოთეზურ-დედუქციური და ზოგადლოგიკური მეთოდების გამოყენებით, ვაჩვენებთ, რომ შედეგიანი ბილინგვური სწავლა-სწავლება ორ პირობას უნდა აკმაყოფილებდეს.

პირველი აუცილებელი პირობაა სკოლამდელ ასაკში წიგნური მეტყველების საფუძვლების პირველ ენაზე ფორმირება.

საქმე ისაა, რომ წიგნური მეტყველების უნარების განვითარება ხელს უწყობს სიტყვათა მნიშვნელობების განზოგადებას, კონკრეტული ხატოვანი წარმოდგენების ზოგად წარმოდგენებად ქცევას. სიტყვათა მნიშვნელობების განზოგადება კი ნიშნავს ვერბალური აზროვნების გაღრმავებას, ანუ იმ კოგნიტიურ-ენობრივი უნარების განვითარებას, რომლებიც, როგორც ამას ჯიმ კუმინსი ამტკიცებს, ფუნქციონირებს კოგნიტიური სისტემის სიღრმისეულ შრეებში, საიდანაც ხდება უნართა ტრანსფერი ერთი ენიდან მეორეში.

ასე რომ, პირველ ენაზე წიგნური მეტყველების დაუფლება კოგნიტიურ სისტემაში ქმნის მნიშვნელოვან ბაზას მეორე ენის ეფექტიანი ათვისებისათვის. ბავშვი, რომელსაც აზროვნება ერთ ენაზე განუვითარდება, ამ აზროვნების უნარს იმ ნებისმიერ სხვა ენაშიც გადაიტანს, რომელსაც შეისწავლის.

ბავშვისთვის, რომელსაც პირველ ენაზე არა აქვს წიგნური მეტყველების უნარი განვითარებული, ამ უნარის მეორე, მისთვის უცნობ ენაზე განვითარება გაცილებით უფრო პრობლემური ხდება, რადგანაც აზროვნების განვითარებისათვის აუცილებელი განზოგადებისა და სემანტიზაციის პროცესებს აფერხებს ენის არცოდნა – გონებას მთლიანად იკავებს დაბალი რანგის ოპერაციები, ანუ სიტყვიერი ინფორმაციის ლექსიკური და მორფოსინტაქსური დამუშავება, რაც სემანტიზაციის პროცესებს, ანუ მაღალი რანგის ოპერაციების წარმოებას უშლის ხელს. ასეთი ბავშვი დიდად ვერ გასცდება ყოფითი მეტყველების ფარგლებს და მოუშაადებელი შეხვედება სასკოლო განათლებას. მას არ ექნება განვითარებული ცოდნის ის სტრუქტურები, ის სათანადო ინსტრუმენტები, რომლებიც აუცილებელია სასკოლო პროგრამების დასაძლევად.

მეორე აუცილებელ პირობად წარმოვადგენთ საგანმანათლებლო პროცესში ენათა მონაცვლეობის ისეთი პრინციპის გამოყენებას, რომელიც ბავშვს დაეხმარება ერთ ენაზე კომუნიკაციის განწყობიდან გადავიდეს მეორე ენაზე კომუნიკაციის განწყობაზე. ამის უზრუნველსაყოფად საგანმანათლებლო პროცესში პირველი და მეორე ენები ერთმანეთს უნდა ენაცვლებოდეს ბავშვისათვის ადვილად ამოსაცნობი პრინციპით.

**დასკვნა:** თუ გვსურს ბილინგვური განათლება ვაქციოთ უმცირესობათა სრულფასოვანი ინტეგრირების ხელშემწყობ საშუალებად, უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში აუცილებელია სკოლამდელი განათლების საფეხურზე მშობლიურ ენაზე დაფუძნებული ბილინგვური მოდელების დანერგვა, რომლებიც ენათა მონაცვლეობის გამართულ მეთოდოლოგიას დაეფუძნება.

*ლენა ჯაჯანიძე (სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათმშობრის ურთიერთობების ცენტრი, საქართველო)*

### **წყვილებში მონაცვლეობითი ხმამაღალი კითხვის სტრატეგიის გამოყენების ეფექტურობა ქართულ ენაში მომზადების პროგრამის არაქართულენოვან სტუდენტებთან**

მოხსენება ეხება ქართული ენის საკომუნიკაციო ფუნქციებიდან ერთ-ერთის, კერძოდ, კითხვის კომპონენტის შესწავლას, წყვილებში მონაცვლეობითი ხმამაღალი კითხვის მეთოდის გამოყენების გზით.

მოხსენების ფარგლებში განხილული იქნება შემდეგი საკითხები:

- სამაგიდე კვლევა, სწავლების მეთოდის შესახებ ლიტერატურის დამუშავება;
- მეთოდის აღწერა;
- კვლევის მეთოდოლოგია - მონაწილე დაკვირვება;
- ფოკუსჯგუფი;
- მასწავლებლის როლი /კომპეტენცია;
- დაკვირვების შედეგები და მეთოდის მუშაობის ეფექტურობის განსაზღვრა.

სამაგიდე კვლევა მოიცავდა ხანგრძლივ პერიოდს: როგორც მეთოდის შემუშავების წინა მოსამზადებელ ფაზაზე, ასევე, მისი დანერგვის პროცესში. ლიტერატურის დამუშავების შედეგად შეირჩა კითხვის სწავლების კონკრეტული მეთოდი და კვლევის ჩატარების მეთოდოლოგია.

კითხვის სწავლების მეთოდის აღწერა:

ა) მონაცვლეობითი ხმამაღალი კითხვა წყვილებში: მეთოდის მუშაობის პრინციპი: ტექსტი დაყოფილია მოკლე აზნაცებად. ტექსტის

პირველ აზრზე მუშაობის დროს სტუდენტი A კითხულობს ტექსტს ხმამაღლა და სტუდენტი B ცდილობს გადმოსცეს წაკითხული ტექსტის შინაარსი. ტექსტის მეორე აზრზე სტუდენტები ცვლიან როლებს.

ბ) მეთოდის მიზანი: მოსწავლემ ისწავლოს სიტყვების უშეცდომოდ წაკითხვა, კითხვის დროს შესაბამისი ინტონაციების დასმა, ყურადღებით მოსმენა, მოსმენილის გაანალიზება და გააზრება, გუნდური მუშაობა და ხმადაბალი საუბარი.

გ) მეთოდის მუშაობის შემოწმება: სტუდენტებს შორის კითხვის უნარების გაუმჯობესების შემოწმების მეთოდები განსხვავებულია სალექციო თემატიკის მიხედვით და მოიცავს როგორც პრეტექსტსა და პოსტ-ტექსტს, ასევე სტანდარტულ ტექსტსა და ხმამაღალი წაკითხვის მეთოდს დროისა და შეცდომების კონტროლის მექანიზმით.

კვლევის მეთოდოლოგია: მონაწილე დაკვირვება - მასწავლებელი აძლევს ინსტრუქციას მოსწავლეებს, უწევს დახმარებას თითოეულ წყვილს საჭიროების მიხედვით, აკვირდება მუშაობის პროცესს და ინიშნავს მნიშვნელოვან ასპექტებს.

კვლევის ფოკუს-ჯგუფი: კვლევისათვის შეირჩა ორი, ენობრივი კომპეტენციის თავლსაზრისით განსხვავებული (ენის ფლობის B და C დონეები) ფოკუს ჯგუფი:

პირველ ჯგუფზე კვლევა ჩატარდა სწავლების მეორე სემესტრში, (ენის ფლობის კომპეტენციის დონე B, შერეული ჯგუფი: სომხურენოვანი და აზერბაიჯანულენოვანი სტუდენტები), ხოლო მეორე ჯგუფზე სწავლების პირველ სემესტრში (ენის ფლობის კომპეტენციის დონე C, ენობრივად ჰომოგენური ჯგუფი: სომხურენოვანი სტუდენტები). ჯგუფებს შორის წევრთა გენდერული ბალანსი დაცული არ ყოფილა.

დაკვირვების / კვლევის შედეგები: მოხსენების დასკვნით ნაწილში განხილული იქნება კვლევის პროცესში არსებული მიგნებები და გამოწვევები. მოხსენების ბოლოს შევაჯამებთ წყვილებში მონაცვლეობითი კითხვის ეფექტურობას ქართულ ენაში მომზადების პროგრამის არაქართულენოვან სტუდენტთა საკვლევ ჯგუფებთან.

*Ahmadova Ramila (Azerbaijan University of Languages, Azerbaijan)*

## **Strategies employed by teachers in the process of the second language acquisition**

